ლიბერალი
№ 105 / 3 - 9 სექტემბერი / 2012

„ნეტა, მშვიდობიანად გადავიტანოთ არჩევნები“ გვ. 22
რეკორდული საარჩევნო სია გვ. 26
„ყველა ბილბორდი დაკავებულია“ გვ. 30
ინტერვიუ მარინე ჩიტაშვილთან გვ. 32
ნათია მიქიაშვილის „ანატომია“ გვ. 36
თვალთვალი ინტერნეტში გვ. 38
ფოტორეპორტაჟი პანკისის ხეობიდან გვ. 40

ISSN 1987-7528
9 771987 752008
ფასი 2 ლარი

მთავარი თემა

სპეცოპერაცია ოპოტას ხეობაში

გვ. 14-21

ეცადე დაინახო მეტი

www.tv9.ge

MUST CARRY!

ᲔᲐᲠᲩᲐ 28

მოაწერე ხელი ონლაინ პეტიციას მისამართზე

tv9.ge/peticia

Must Carry-ს კანონის მოქმედების შეწყვეტისთანავე
"მეცხრე არხი" შეიძლება გაითიშოს.
2 ოქტომბრიდან თქვენ შეიძლება აღარ გქონდეთ ინფორმაციის
სანდო წყარო, რომელიც არჩევნების შედეგებს
ობიექტურად გააშუქებს.

ნუ დარჩები თავისუფალი სიტყვის გარეშე!

ლიბერალი

№ 105 / 3 -9 სექტემბერი / 2012

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნინო ბექიშვილი

ჟურნალისტები:
ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალდაძე, ლევან ახალაია, სალომე ცეცხლაძე

კონტრიბუცია:
ქეთი ქანთარია, ბექა ქურხული, დავით ბუხრიკიძე, შოთა იათაშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, ნინო ნატროშვილი

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი ნინო ბექიშვილი
კორექტორი თამარ ღონღაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვების და ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი

გაყიდვების მენეჯერი:
სოფო პაპუნაშვილი

მარკეტინგის მენეჯერი:
ელენე ხარაზაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ მამუჩიშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.

www.liberali.ge

რედაქტორისგან

ივლისის დასაწყისში ამერიკის საელჩოში დიდი მიღება იყო, ამერიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული სტუმრიანობა. თუმცა, არაოფიციალურად, ამერიკის უკვე ყოფილ ელჩს, ჯონ ბასს ვაცილებდით და წვეულებაც განსაკუთრებით ხალხმრავალი და წარმომადგენლობითი გახლდათ. პოლიტიკური ოპონენტები არ იმჩნევდნენ, ან ცალყბად ესალმებოდნენ ერთმანეთს.

ხელისუფლება ვარაუდობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საპარლამენტო პროპორციის დაახლოებით ორ მესამედს აიღებს, იმ შედეგზე თვლის, რაც NDI-ის ბოლო კვლევებშიცაა ასახული. შესაბამისად, „ქართული ოცნებისათვის“, ამ ეტაპზე, 20 %-ზე მეტი „არ ემეტება“.

ივანიშვილი კი დარწმუნებულია, რომ საპარლამენტო არჩევნებში ხმათა ორი მესამედი მისია და ეღიმება ხელისუფლების ვარაუდებზე.

თუ „ოცნება“ ხმათა 40 %-ზე ნაკლებს მიიღებს, მას გაუჭირდება არჩევნების ლეგიტიმურობის აღიარება. თუ „ნაციონალური მოძრაობა“, არჩევნების შედეგებით, ისევ საპარლამენტო უმრავლესობას მოიპოვებს, პოლიტიკური რეალობა თვისობრივად უცვლელი დარჩება, რამაც შეიძლება ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილის პროტესტიც გამოიწვიოს.

სამწუხაროდ, „ნაციონალურ მოძრაობას“ არ ეტყობა, რომ ის მზად არის სამართლიანი არჩევნების ჩატარებისათვის, ხელისუფლების გადანაწილებისა თუ არაერთპიროვნული მმართველობისათვის. ამას მოწმობს ხელისუფლების რიტორიკაც „ქვეყნის მტრებსა“ და „უწმინდურებზე“ და ის საკანონმდებლო თუ ფინანსური აგრესიაც, რასაც ყველაზე ძლიერ ოპონენტს უპირისპირებს.

ამ დროს ოპონენტის კრიტიკა ბევრი რამისთვის შეიძლება – როგორც მისი საკადრო პოლიტიკის, ისე ჯერ კიდევ დაუკონკრეტებელი სამომავლო ხედვების გამო. „რუსეთი, რუსეთის“ ძახილი კი, მარიკა ვერულაშვილის ყვარელში გამართული შეხვედრის დარად, უკვე ძალიან არასერიოზულია.

დასრულდა ზაფხული და დიპლომატიური კორპუსიც ბრუნდება არდადეგებიდან, მათ შორის ამერიკის ახალი ელჩიც. როგორც ყოველთვის, გვაქვს მოლოდინი, რომ ჩვენი პარტნიორები ობიექტური არბიტრის როლში იქნებიან და არ მოერიდებიან მკაფიო და კრიტიკულ შეფასებებს. მასალა უხვადაა.

თუმცა, ამ არჩევნების მთავარი არბიტრი ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ. ჩვენზე ამჯერად ბევრი რამეა დამოკიდებული, მათ შორის, საერთაშორისო თანამეგობრობის შეფასებებიც.

ლოპოტას ხეობის სპეცოპერაციამ უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა. იქნებ ამ კითხვებზე პასუხიც არჩევნებამდე ვიპოვოთ.

ვნახოთ, ოქტომბრამდე აღარაფერი დარჩა.

p.s. „ლიბერალი“ დაუბრუნდა თავის ბეჭდურ გამოცემას და ორშაბათობით კვლავ შეძლებთ ჩვენი ჟურნალის საგაზეთო ჯიხურებში ხილვას. დიდი იმედი მაქვს, ქვეყანაში ისე განვითარდება მოვლენები, რომ დამოუკიდებელი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის არსებობას აზრი ექნება.

შორენა შავერდაშვილი

ლიბერალი

№ 105 / 3 -9 სექტემბერი / 2012

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნინო ბექიშვილი

ჟურნალისტები:
ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალდაძე, ლევან ახალაია, სალომე ცეცხლაძე

კონტრიბუცია:
ქეთი ქანთარია, ბექა ქურხული, დავით ბუხრიკიძე, შოთა იათაშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, ნინო ნატროშვილი

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი ნინო ბექიშვილი
კორექტორი თამარ ღონღაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი

გაყიდვების მენეჯერი:
სოფო პაპუნაშვილი

მარკეტინგის მენეჯერი:
ელენე ხარაზაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ მამუჩიშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.

www.liberali.ge

რედაქტორისგან

ივლისის დასაწყისში ამერიკის საელჩოში დიდი მიღება იყო, ამერიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული სტუმრიანობა. თუმცა, არაოფიციალურად, ამერიკის უკვე ყოფილ ელჩს, ჯონ ბასს ვაცილებდით და წვეულებაც განსაკუთრებით ხალხმრავალი და წარმომადგენლობითი გახლდათ. პოლიტიკური ოპონენტები არ იმჩნევდნენ, ან ცალყბად ესალმებოდნენ ერთმანეთს.

ხელისუფლება ვარაუდობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საპარლამენტო პროპორციის დაახლოებით ორ მესამედს აიღებს, იმ შედეგზე თვლის, რაც NDI-ის ბოლო კვლევებშიცაა ასახული. შესაბამისად, „ქართული ოცნებისათვის“, ამ ეტაპზე, 20 %-ზე მეტი „არ ემეტება“.

ივანიშვილი კი დარწმუნებულია, რომ საპარლამენტო არჩევნებში ხმათა ორი მესამედი მისია და ეღიმება ხელისუფლების ვარაუდებზე.

თუ „ოცნება“ ხმათა 40 %-ზე ნაკლებს მიიღებს, მას გაუჭირდება არჩევნების ლეგიტიმურობის აღიარება. თუ „ნაციონალური მოძრაობა“, არჩევნების შედეგებით, ისევ საპარლამენტო უმრავლესობას მოიპოვებს, პოლიტიკური რეალობა თვისობრივად უცვლელი დარჩება, რამაც შეიძლება ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილის პროტესტიც გამოიწვიოს.

სამწუხაროდ, „ნაციონალურ მოძრაობას“ არ ეტყობა, რომ ის მზად არის სამართლიანი არჩევნების ჩატარებისათვის, ხელისუფლების გადანაწილებისა თუ არაერთპიროვნული მმართველობისათვის. ამას მოწმობს ხელისუფლების რიტორიკაც „ქვეყნის მტრებსა“ და „უწმინდურებზე“ და ის საკანონმდებლო თუ ფინანსური აგრესიაც, რასაც ყველაზე ძლიერ ოპონენტს უპირისპირებს.

ამ დროს ოპონენტის კრიტიკა ბევრი რამისთვის შეიძლება – როგორც მისი საკადრო პოლიტიკის, ისე ჯერ კიდევ დაუკონკრეტებელი სამომავლო ხედვების გამო. „რუსეთი, რუსეთის“ ძახილი კი, მარიკა ვერულაშვილის ყვარელში გამართული შეხვედრის დარად, უკვე ძალიან არასერიოზულია.

დასრულდა ზაფხული და დიპლომატიური კორპუსიც ბრუნდება არდადეგებიდან, მათ შორის ამერიკის ახალი ელჩიც. როგორც ყოველთვის, გვაქვს მოლოდინი, რომ ჩვენი პარტნიორები ობიექტური არბიტრის როლში იქნებიან და არ მოერიდებიან მკაფიო და კრიტიკულ შეფასებებს. მასალა უხვადაა.

თუმცა, ამ არჩევნების მთავარი არბიტრი ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ. ჩვენზე ამჯერად ბევრი რამეა დამოკიდებული, მათ შორის, საერთაშორისო თანამეგობრობის შეფასებებიც.

ლოპოტას ხეობის სპეცოპერაციამ უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა. იქნებ ამ კითხვებზე პასუხიც არჩევნებამდე ვიპოვოთ.

ვნახოთ, ოქტომბრამდე აღარაფერი დარჩა.

p.s. „ლიბერალი“ დაუბრუნდა თავის ბეჭდურ გამოცემას და ორშაბათობით კვლავ შეძლებთ ჩვენი ჟურნალის საგაზეთო ჯიხურებში ხილვას. დიდი იმედი მაქვს, ქვეყანაში ისე განვითარდება მოვლენები, რომ დამოუკიდებელი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის არსებობას აზრი ექნება.

შორენა შავერდაშვილი

ფოტო: გელა მიქელაძისი

სპეცოპერაცია ღოპოტას ხეობაში

„რას შვრებიან?“ „რა ხდება?“ „რას გვიპირებენ?“ „დადგმულია წინასაარჩევნოდ“, „რუსები“, „ამათ ეხლა ომი აწყობთ“, „ამერიკა ირანს ურტყამს და რუსეთი კორიდორს იკეთებს გიუმრში თავისი ბაზისკენ“, „არჩევნები გადაიდება“, „არა, არ გადაიდება“ „პიარი“... იყო ერთი რეკვა და „მე იცი, რას ვფიქრობ?“ „მე იცი, რა მიკვირს?“ „მე იმას დავურეკავ, შენ იმას დაურეკე!“

და წავედით.

გზაშიც ბევრი ვიმარჩიელეთ. გომბორის უღელტეხილზე, ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტრო განაცხადებდა, „ლიბერალმა“ დახურული წყაროსგან მიიღო ინფორმაცია ორი დაღუპული ქართველი ჯარისკაცისა და ერთი დაჭრილის შესახებ. უკვე გასაგები გახდა, რომ ეს ყველაფერი დადგმული არ იყო, ყოველ შემთხვევაში, განმუხური არ ხდებოდა, გაცილებით უარესად იყო საქმე.

ბექა ქურხული
ბ3.14

ხეჯოხიღელი საარჩევნო სია

3 621 251 ამომრჩეველი – ამ რაოდენობრივი მაჩვენებლით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები 1990 წლიდან საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს შორის პირველ ადგილს დაიკავებს. ცესკოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, შესაძლოა, კიდევ შეიცვალოს – საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანის პროცესი არჩევნებამდე ორი კვირით ადრე დასრულდება.

ზურაბ ვარდიაშვილი
ბ3.26

"ნეტა, მშვიდობიანად გადავიტანოთ არჩევნები"

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის გორის რაიონში კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატები განსხვავებულად ემზადებიან – თუ კოალიციის კანდიდატი სოსო ვახტანგაშვილი მოსახლეობას საჯაროდ ხვდება, „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი გიორგი ტატიშვილი ამომრჩევლებთან შეხვედრების

ფოტო: ბიორგი ჯიბვილი

გამართვას მედიის გარეშე ამჯობინებს.

არაერთგვაროვანია მოსახლეობის დამოკიდებულება ოქტომბრის არჩევნებისადმი – გორის რაიონის სოფლების მკვიდრთა ნაწილი არჩევნებს სკეპტიკურად უყურებს, ნაწილი კი შიშით ხვდება.

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, ისევე როგორც, „ნაციონალურ მოძრაობაში“ დარწმუნებულნი არიან, რომ არჩევნების სამართლიანად ჩატარების შემთხვევაში, პოლიტიკურ ოპონენტებს დიდი სხვაობით დაამარცხებენ.

გიორგი ჭეიშვილი
ბ3.22

"ყველა ბილბორდი დაკავებულია"

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსების წესი და სარეკლამო ტარიფები „საარჩევნო კოდექსით“ რეგულირდება. საარჩევნო კანონმდებლობაში გარერეკლამასთან დაკავშირებული ჩანაწერი არ არსებობს. წინასაარჩევნოდ, გარერეკლამის განთავსება კერძო კომპანიასა და პოლიტიკურ სუბიექტს შორის მოლაპარაკების საგანია და მასთან დაკავშირებული რაიმე წესი, ან პირობა, რითაც განთავსების დროს თანასწორობის პრინციპის დაცვა მოხდება, კანონით დადგენილი არ არის.

თათია ხალიანი
გვ.30

ფოტორეპორტაჟი

ჰოგორს საჯუთარ სახლში

ფოტო: გიორგი გოგუა

გიორგი გოგუას ფოტორეპორტაჟი
გვ.40–47

ნომერში:

ფოტო: ბარეკანზე
გელა მიქელაძისა

06 მოკლედ
08 რიცხვები, ციტატები
ორი აზრი
10 წარმოადგენს თუ არა რუსეთი ამ ეტაპზე საქართველოსთვის მთავარ საფრთხეს?
ნიკა ჩიტიძე vs *ზაზა შათირიშვილი*
კომენტარი
10 საქართველომ რუსული საქმე გააკეთა
პაატა ზაქარეიშვილი
მთავარი თემა
კომენტარი
20 ლოპოტას ხეობის ტრაგედიის გამო
არჩევნები 2012
26 რეკორდული საარჩევნო სია
მედია
30 „ყველა ბილბორდი დაკავებულია“
ინტერვიუ
32 „უნივერსიტეტი კრიტიკულ აზრს უნდა ემსახურებოდეს“
მარინე ჩიტაშვილთან
მედიაკრიტიკა
36 ნათია მიქიაშვილის „ანატომია“
ტექნოლოგიები
38 თვალთვალი ინტერნეტში
კრიტიკა
48 არჩევნები ჯერ კიდევ არ იყიდება!
ლიბერალის ვებგვერდიდან
50 საქართველო – „გმირთა მოედანი“

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge
სხვა გამოცემები:
„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა:
სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

წითელმა ჯვარმა პაკისტანში მუშაობა შეწყვიტა

წითელმა ჯვარმა, რომელიც პაკისტანში თავის მისიას 1947 წლიდან ასრულებს, თალიბების თავდასხმების გახშირებისა და ორგანიზაციის თანამშრომლების მკვლელობის გამო პაკისტანში მუშაობა შეწყვიტა. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მუშაობის შეჩერებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საბაბი მისიის ბრიტანელი თანამშრომლის გატაცება გახდა, რომლის უთავო სხეულიც ამ წლის აპრილში აღმოაჩინეს. მაისში ორგანიზაციამ მუშაობა პაკისტანის 4-დან 3 პროვინციაში შეწყვიტა, 29 აგვისტოს კი ორგანიზაციამ განაცხადა, რომ მართალია, ქვეყანაში ნაწილობრივ დარჩება, მაგრამ წყვეტს სხვადასხვა პროექტებს.
წითელი ჯვარი ისევ გააგრძელებს დაჭრილების დახმარებას და გახსნის საველე ჰოსპიტალს პეშავარში, რომელიც იანვარში ექიმ ჰალილა დალეს თალიბანის მებრძოლების მიერ მოტაცების და მოკვლის შემდეგ დაიხურა.
2011 წელს პაკისტანში წითელი ჯვრის 1300-მდე თანამშრომელი მუშაობდა და ეს მსოფლიოში უმსხვილესი მისია იყო.

"ფესი რაიოთის" წევრებს პატიმრობა მიესაჯეს

რუსული ფემინისტური პანკ-როკ-ჯგუფის „ფესი რაიოთის“ წევრები, ნადეჟდა ტოლოკონიკოვა, მარია ალიოხინა და ეკატერინა სამუცევიჩი სასამართლომ დამნაშავედ ცნო მოსკოვის მაცხოვრის სახელობის ტაძარში სიმღერის შესრულებისთვის „ღვთისმშობელო, განდევნე პუტინი“. ფემინისტები სასამართლომ რელიგიური შუღლის გაღვივებაში დაადანაშაულა და 2-2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. „ფესი რაიოთის“ წევრების მხარდასაჭერად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ათეულობით აქცია გაიმართა. საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-მა კი „ფესი რაიოთის“ წევრებს სინდისის პატიმრები უწოდა.

ასანჟმა პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო

Wikileaks-ის დამფუძნებელმა, ჟულიან ასანჟმა პოლიტიკური თავშესაფარი ეკვადორში მიიღო.
ასანჟი ლონდონში 2 წლის წინ დააპატიმრეს, ამ წლის 30 მაისს კი ლონდონის სასამართლომ მისი შვედეთში ექსტრადირების გადაწყვეტილება მიიღო. მას შვედეთის პროკურატურა სექსუალურ დანაშაულში სდებს ბრალს, თუმცა Wikileaks-ის

დამფუძნებელი თავს დამნაშავედ არ აღიარებს და მიაჩნია, რომ მისი დევნა პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და მის საქმიანობას უკავშირდება.
ჟულიან ასანჟმა Wikileaks-ზე 2010 წელს ათასობით საიდუმლო დიპლომატიური ჩანაწერი გამოაქვეყნა.
ასანჟი ფიქრობს, რომ შვედეთში ექსტრადირების შემდეგ მას ამერიკას გადასცემენ, სადაც შპიონაჟის ბრალდება ემუქრება.
ამჟამად ასანჟი ლონდონში, ეკვადორის საელჩოში იმალება. „შვედეთმა ვერ შეძლო ასანჟის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“, – განაცხადა ეკვადორის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რიკარდო პატინომ. „ერთი კვირის განმავლობაში ეკვადორის, შვედეთის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს მთავრობებს შორის კონსულტაციები მიმდინარეობდა. შვედეთს ვთხოვდით, ექსტრადირების შემდეგ არ მომხდარიყო ასანჟის მესამე ქვეყნისთვის გადაცემა. სტოკჰოლმმა ეს პირობა არ მიიღო, აშშ-მ კი Wikileaks-ის დამფუძნებლის მიმართ ძიების შესახებ ინფორმაციის წარდგენაზე უარი თქვა. ჩვენ მივიღეთ მტკიცე გადაწყვეტილება, რომელიც საერთაშორისო ნორმებითაა გამყარებული“, – ამბობს პატინო.
ეკვადორის მთავრობის გადაწყვეტილებას სიხარულით შეხვდნენ ასანჟის მხარდამჭერები და ჰაკერული დაჯგუფება Anonymous-ის წევრები. თუმცა, ეკვადორის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ბრიტანეთის მთავრობა ლონდონში ეკვადორის საელჩოს ტერიტორიაზე შეჭრით იმუქრება.

სირიაში დაპირისპირება გრძელდება

სირიაში უკვე მე-16 თვეა პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ გამოსვლები გრძელდება. შეტაკებებია დამასკოსა და მის გარეუბნებში, ასევე ალეპოში. უფლებადამცველი ორგანიზაციების ინფორმაციით, 2011 წლის მარტიდან დღემდე სირიაში 25 000-ზე მეტი ასადის მოწინააღმდეგე მოკლეს.
ასადის მთავრობა აღარ მალავს, რომ ქიმიური იარაღი აქვს, თუმცა ამბო-



ბს, რომ საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ არ გამოიყენებს.
პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა სირიაში მიმდინარე სისხლისღვრაში სატელევიზიო გამოსვლისას თურქეთს დასდო ბრალი – აგვისტოს დასაწყისში თურქეთმა განაცხადა, რომ მზად იყო სირიის ტერიტორიაზე საკუთარი მებრძოლები გაეგზავნა თუ იქ ჰუმანიტარული კატასტროფა დაიწყებოდა ან სირია ქურთების მუშათა პარტიის მებრძოლებს მისცემდა თავშესაფარს. მოგვიანებით, თურქეთმა სირიის მთავრობა ქურთი მებრძოლების მხარდაჭერაში დაადანაშაულა და გაეროს მოუწოდა დევნილების თავშესაფრად ჩრდილოეთ სირიაში ბუფერული ზონის დაარსებისაკენ. თურქეთში მოქმედებს სირიელ ამბოხებულთა დახმარების ცენტრიც, რომელსაც მხარს ვაშინგტონი და რამდენიმე არაბული სახელმწიფო უჭერს.
ამერიკა და ევროპის ლიდერები სირიაში ჩარევის აუცილებლობაზე საუბრობენ მას შემდეგაც, რაც რუსეთმა და ჩინეთმა ვეტო დაადო გაეროს რეზოლუციას, რომელიც ბაშარ ასადს გადადგომისკენ მოუწოდებდა.
ბაშარ ალ-ასადს პოლიტიკური თავშესაფარი შესთავაზა ტუნისმა, ხელშეუხებლობას შეპირდნენ არაბულ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრები, თუმცა ალ-ასადი დანებებას არ აპირებს, რეგიონულ და საერთაშორისო ბრძოლაზე საუბრობს და ამბობს, რომ მეამბოხეების სრულად გასანადგურებლად დრო დასჭირდება. ასადის მთავრობა სამოქალაქო დაპირისპირებას არ აღიარებს და მოვლენებს ისლამისტ ტერორისტებთან დაპირისპირებად აფასებს.

ბიძინა ივანიშვილმა დასავლეთისადმი სპეციალური მიმართვა გაავრცელა

ბიძინა ივანიშვილმა დემოკრატიული სამყაროსადმი სპეციალური მიმართვა გაავრცელა.
„თუ დღეიდან არჩევნებამდე ხელისუფლების ქმედებებში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოხდება, საქართველოში ვერ შედგება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები“, – ამბობს ივანიშვილი.
„ქართული ოცნების“ ლიდერის მიმართვაში, მოუგვარებელი საკითხები, პუნქტობრივად არის გამოყოფილი.
„ერთადერთი ქმედითი მექანიზმი, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი ჯერ კიდევ ანგარიშს უწევს, ეს არის საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის პოზიცია. ყველაფრის მიღწევა შეიძლება, თუ იქნება თქვენი ნება, მიუთითოთ სააკაშვილს და მკაცრად მოსთხოვოთ, შეწყვიტოს საკუთარ ხალხზე ძალადობა და საარჩევნო გარემო ოდნავ მაინც მიუახლოვოს საერთაშორისო სტანდარტებს“, – წერია მიმართვაში.

რიცხვები, ციტატები

11 დივერსანტი დაიღუპა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სოფელ ლაფანყურში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს. ამავე ოპერაციისას დაიღუპა სამი ქართველი სამართალდამცავი.

75 მსჯავრდებულმა საპატიმრო ვადაზე ადრე დატოვა. მათი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივმა საბჭოებმა ზეპირი მოსმენის დასრულების შემდეგ მიიღეს.

3 461 851
ამომრჩეველია ერთიან საარჩევნო სიაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო მონაცემებით.

17 მილიონამდე ლარით დაჯარიმდა კახი კალაძე „ქართული ოცნებისთვის“ უკანონო შემოწირულობის ბრალდებით. დაყადაღდა კახი კალაძის უძრავ-მოძრავი ქონებაც – კომპანიები „მაქს ბეტი“, „კალა კაპიტალი“, საცხოვრებელი სახლები და ავტომობილები. ასევე, სასამართლომ დააყადაღა კალაძის საბანკო ანგარიშები.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად 15 პარტია, 2 ბლოკი და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი 4 კანდიდატი დარეგისტრირდა.

„ლოპოტას ოპერაცია საქართველოს საბრძოლო მზადყოფნის გამოცდა იყო“.
საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ლაფანყურის მოვლენებზე ყვარლის რეზიდენციიდან

„თავდაპირველად მოტაცებული იყვნენ ახალგაზრდები, ადგილობრივი მცხოვრებლები. შემდეგ, მესაზღვრეთა პატრული, რომელსაც ინფორმაცია ჰქონდა მოტაცების შესახებ, აიყვანეს მძევლად ამ ახალგაზრდების ნაცვლად და ამას მათ თვითონაც შეუწყვეს ხელი.
ხოლო შემდეგ, შსს-მ ოფიცრები გაგზავნა ამ ჯგუფთან მოსალაპარაკებლად, რომლებმაც ამჯერად უკვე თვითონ დაიკავეს მძევლის ადგილი მესაზღვრეების ნაცვლად“.
საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია ლაფანყურის მოვლენებზე „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში

„ერთადერთი ქმედითი მექანიზმი, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი ჯერ კიდევ ანგარიშს უწევს, ეს არის საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის პოზიცია“.
„ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობას

„თუ არჩევნები უსამართლოდ ჩატარდა, შეერთებული შტატები საქართველოსთან თანამშრომლობის ინტერესს დაკარგავს“.
უილიამ კორტნი, ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში „მეცხრე არხთან“ ინტერვიუში

ლიბერალი

ეწვიეთ „ლიბერალის“
განახლებულ ვებგვერდს
www.liberali.ge

ლელა რეხვიაშვილის ბლოგი

„მომეცი/მოგეცის“ ენა – გენდერული იერარქიები ქართულში

ქართული ენის ერთ-ერთი მომხიბლავი მახასიათებელი მისი გენდერული დაყოფისგან თავისუფლებაა. გენდერის არარსებობა ენაში, უპირველესად, იმას გამოხატავს, რომ ადამიანებზე საუბრისას გენდერის ცოდნა/ცნობა/ გამოყოფა არარელევანტურია. თანასწორობაც მხოლოდ მაშინ არის სრულფასოვანი, როცა გარკვეულ მახასიათებელს მნიშვნელობა აქვს დაკარგული და მისი ხაზგასმა აღარ არის საჭირო.

თუმცა, ჩვენი ენა ასევე სავსეა ძველი და ახალი ტერმინებით, რომლებიც მუდმივად ხაზს უსვამს ქალის სუბორდინაციას და ქალის კომოდიფიკაციას ახდენს. ერთ-ერთი ასეთი შემაწუხებელი სიტყვაა „გათხოვება“. ჩემს თვალში „გათხოვების“, როგორც ზმნის ყველაზე ცუდი ფორმაა „გავათხოვე“.

გიორგი კიკონიშვილის ბლოგი

კულტურა გვშია?

შეიძლება კი კულტურა გშიოდეს? ვინმე მოვიდა და შენი წილი კულტურა შეგიჭამა? ჩართე ინტერნეტი, გადი ქუჩაში, აიღე ფუნჯი, აიღე გიტარა, იფიქრე, იხტუნავე, გაბრაზდი, იყვირე – გამოთქვი შენი სათქმელი, არა ისე, როგორც ამას ყველა აკეთებს... არამედ ისე, როგორც ამას გონება გიკარნახებს. ოღონდ, რესტარტის შემდგომი გონება. გადაარესტარტე გონება იმისგან, რაც უკვე ათეულობით წლებია ტრიალებს, გვესმის. დავიწმინდოთ იმისგან, რასაც ძალით გვაზეპირებინებენ, გვტენიან თავში და გავისროლოთ ახალი იდეა. სხვა კი არაფერია კულტურა – ადამიანთა კომუნიკაციის „ენა“... და როცა ენა „ჯოს! ჯოს“ და ყანწებს ვერ სცდება – ეს ნიშნავს, რომ ამ „ენამ“ ატროფია განიცადა.

ბექა ქურხულის ბლოგი

მათუსალიზმი ქართულ პოლიტიკაში

ამ ხუმრობა-ხუმრობაში, საარჩევნო წეწვა-გლეჯვაში, ცემა-ტყეპაში და ქვის სროლაში, ახალი პოლიტიკური მიმდინარეობაც გაჩნდა – მათუსალიზმი. ხომ გახსოვთ მათუსალა? შენ მოიყარე მათუსალას ხნისაო, ან მათუსალაა ეს ოჯახქორიო, თუ ვინმე იმქვეყნად წასვლას ძალიან დააგვიანებდა და ცოცხალი თავით არ სურდა უფლისთვის სული მიებარებინა. სწორედ ასეთი ახალი პოლიტიკური პლატფორმა წარმოგვიდგინა უკანასკნელ დღეებში დიდმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მათმა პრეზიდენტმა, ჩვენმა მიშა სააკაშვილმა! დიახ, არსადაც არ აპირებენ წასვლას. მათთვის ხელისუფლებიდან წასვლა პირდაპირ სიკვდილს ნიშნავს და ამიტომ მათუსალასავით ებღაუჭებიან მათი სიცოცხლის მთავარ გარანტს და სიმბოლოს – ძალაუფლებას! მერე რა, რომ პრეზიდენტს ყველანაირი ვადა ამოეწურა, კონსტიტუციური, იურიდიული, ეთიკური, მორალური, ფსიქოლოგიური, ფსიქიკური, მერე რა! რამეს მოიფიქრებენ!

დიას
ნიკა ჩიტიძე
პოლიტოლოგი

ნაჰმოადგენს თუ ა
საქართველოსთვის

საარჩევნო კონტექსტში გარკვეულწილად ძლიერდება ეს საფრთხე. კრემლთან დაახლოებული ექსპერტებისგან მომისმენია, რომ თუ საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება, რუსეთს და საქართველოს შორის ურთიერთობებიც შეიცვლება და რუსეთის მიზანია საქართველოში რუსეთისთვის მისაღები ხელისუფლება მოვიდეს.

რა თქმა უნდა, რუსეთი დღესაც საფრთხეს წარმოადგენს. ერთია, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის მიერ, მეორე ისაა, რომ რუსეთი საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასუსტებას მუდმივად ცდილობს. ამ მიზნით ის საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დივერსიული თუ ტერორისტული აქტების განხორციელებას გეგმავს. ადგილი ჰქონდა რამდენიმე ტერორისტულ და დივერსიულ აქტს ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე და ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოში ტერორისტები იგზავნებოდნენ. თუ გავითვალისწინებთ დღეს განვითარებულ მოვლენებს და გავრცელებულ ინფორმაციას, რომ დაღესტანი-საქართველოს საზღვართან რუსული ჯავშანტექნიკაა მობილიზებული, შეიძლება ითქვას – რუსეთი მთავარ პრობლემად რჩება დღესაც.

რუსეთის მიზანია „ბოევიკების“ გადმოსვლის ხელშეწყობა საქართველოს ტერიტორიაზე, დივერსიული ტერორისტული აქტების მოწყობა, ასევე საინფორმაციო ომის წარმოება საქართველოს წინააღმდეგ. მუდმივად იმის მტკიცება, რომ საქართველო აფინანსებს იმ ტერორისტებს, რომლებიც შემდეგში ჩრდილოეთ კავკასიაში ტერაქტებს ახორციელებდნენ. რუსეთის მიზანია, რაც შეიძლება მეტმა სახელმწიფომ ცნოს აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაციის წევრი გახდა, ის არ აპირებს საქართველოსთან ნორმალური ეკონომიკური კავშირების აღდგენას.

ჩემი აზრით, საარჩევნო კონტექსტში გარკვეულწილად ძლიერდება ეს საფრთხე. კრემლთან დაახლოებული ექსპერტებისგან მომისმენია, რომ თუ საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება, რუსეთს და საქართველოს შორის ურთიერთობებიც შეიცვლება და რუსეთის მიზანია საქართველოში რუსეთისთვის მისაღები ხელისუფლება მოვიდეს. ამ შემთხვევაში საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ვექტორს საქართველო დასავლეთიდან ჩრდილოეთისკენ გადახრის და ამგვარად, რუსეთს თავისი გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელება გაუადვილდება. რუსეთი ცდილობს წააქეზოს გარკვეული პრორუსული ძალები და არ არის გამორიცხული, რომ არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ დაძაბულობა ამას უკავშირდებოდეს. გარკვეული ძალების მიერ აქტიურად განიხილება არა მარტო არჩევნები, არამედ 2 ოქტომბერიც და შემდეგი პერიოდი, არჩევნების გაყალბების საბაბით გარკვეულ ძალებს რუსეთის ხელშეწყობით დესტაბილიზაციის შექმნა სურთ.

...ა ჩუსეთი ამ ეტაპზე მთავარ საფრთხეს?

ასეთი ტიპის ხელისუფლებას, როგორიც ჩვენია, მტერი აუცილებლად სჭირდება. მით უმეტეს – წინასაარჩევნოდ. აქ რომ ნორმალური პროცესი იყოს, მაშინ მტერი არ იქნება საჭირო – ვიღაც წააგებს, ვიღაც მოიგებს. ესენი ხომ მუდმივად უნდა იყვნენ – სწორედ ამიტომაა მუდმივად საჭირო რუსული არგუმენტი.

არა

ზაზა შათირიშვილი
ფილოსოფოსი

რუსეთი დღეს საფრთხე, შეიძლება მართლაც იყოს, შეიძლება – არა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს რუსული არგუმენტი გაუფასურებულია. როცა რაღაცას მრავალჯერ იმეორებ, იცვითება. არადა, ამ დროს, სინამდვილეში, რუსეთი შესაძლოა მართლაც იყოს საფრთხე.

ამ არგუმენტს ხელისუფლების წარმომადგენლები იმიტომ იყენებენ, რომ ეს ერთადერთი ენაა, რა ენაზეც ოპოზიციასთან ლაპარაკი შეუძლიათ. ხელისუფლების ენა რელიგიური და ფსევდორელიგიურია. რადგან ენა რელიგიურია, საარჩევნო კამპანია კი არ მიდის, არამედ – არმაგედონი. არგუმენტია, რომ რუსეთი არის ყველაზე დიდი ბოროტება და აქედან გამომდინარე – ყველა ცუდი ტიპი რუსეთის აგენტია.

ასეთი ტიპის ხელისუფლებას, როგორიც ჩვენია, მტერი აუცილებლად სჭირდება. მით უმეტეს – წინასაარჩევნოდ. აქ რომ ნორმალური პროცესი იყოს, მაშინ მტერი არ იქნება საჭირო – ვიღაც წააგებს, ვიღაც მოიგებს. ესენი ხომ მუდმივად უნდა იყვნენ – სწორედ ამიტომაა მუდმივად საჭირო რუსული არგუმენტი. მაგრამ ამ არგუმენტის დაუსრულებლად გამოყენება ცვეთს მას, ამ დროს შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ მგელი, მგელიო და საბოლოოდ არავის ეშინია მგლის.

არ არსებობს ძალა მიწაზე, რომელსაც ყველაფერი შეუძლია. როცა რაღაც არ გამოდის, ჩემი პასუხისმგებლობაა – ეს ევროპული არგუმენტია.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ხელისუფლების მენტალური წყობა არაევროპულია. აბსოლუტურად ინფანტილური მდგომარეობაა, როდესაც ჩემ გარშემო არსებობს რაღაც, რასაც ყველაფერი შეუძლია. ის რასაც რუსეთზე ვამბობთ, თურქეთზე, სომხეთზე ან ჩინელებზე რომ ვთქვათ, ქსენოფობია იქნება. რუსეთი ამ მხრივაც გენიალური არგუმენტია, შეგიძლია ყველაფერი თქვა და ეს არც რასიზმი იქნება, არც ქსენოფობია, არც ანტისემიტიზმი. ეს ნიშნავს, რომ თუ რასის და ეთნოსის ნიშნები არ აქვს, ე.ი. რუსეთი კი არა – რაღაც დემონური ძალაა.

საქართველომ ჩუსული საქმე გაარკვია

პაატა ზაქარეიშვილი
რესპუბლიკური პარტიის წევრი

ის ვერსია, რაც ხელისუფლებამ ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ გაავრცელა, სარწმუნო არ უნდა იყოს. როგორც წესი, საზოგადოების ინტერესების შემცველი მოვლენების შეფასებისას, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მოწოდებული ვერსიების უმრავლესობა ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას შეიცავს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, აშკარავდება ხოლმე მათ მიერ შემოთავაზებული ვერსიების ფარისევლური და ყალბი შინაარსი.

თუმცა, იმ დროისთვის საზოგადოება მორიგი სკანდალური მოვლენის ამოხსნით არის დაკავებული და წარსული ამბები ბურუსში იკარგება. ამის ნიმუშად შეიძლება გამოდგეს თუგინდ 2008 წლის 21 მაისს (საპარლამენტო არჩევნების დღე) ტერაქტის ინსცენირება ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში. იმ დღეს გალის რაიონის საზღვართან დაიწვა ორი ავტობუსი და სროლების შედეგად დაიჭრა ერთი ქალბატონი. არჩევნების მთელი დღის განმავლობაში ხელისუფლების პროპაგანდა ამტკიცებდა, რომ ავტობუსებს გალიდან ზუგდიდში ამომრჩევლები გადაჰყავდათ, ისინი აფხაზმა სეპარატისტებმა ააფეთქეს და სროლა აუტეხეს, რათა არ დაეშვათ გალელების მონაწილეობა არჩევნებში. მოგვიანებით ჩატარებულმა ჟურნალისტურმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ეს საქართველოს სპეცსამსახურების მიერ ინსცენირებული ტერაქტი იყო და არავითარი კავშირი არ ჰქონდა აფხაზური მხარის აქტიურობასთან.

ლოპოტის ხეობაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, საზოგადოებაში ძალიან ბევრი შეკითხვა ჩნდება:

როგორ აღმოჩნდნენ ჩრდილოკავკასიელი შეიარაღებული პირები საქართველოს ტერიტორიაზე? როდის გადმოვიდნენ? მაშინვე დაიწყო დევნა, როცა გადმოვიდნენ, თუ მოგვიანებით? რა ვითარებაში და რატომ აიყვანეს მძევლები? ამ კატეგორიის ჯგუფებს, როგორც წესი, მძევლები არ აჰყავთ, თუ არა გამოუვალი და ექსტრემალური ვითარება. როგორ მოხდა, რომ მძევლების გასათავისუფლებლად ჩვენს სამართალდამცველებს ბრძოლა არ დასჭირვებიათ და შემდეგ, დღენახევარი მიდიოდა ოპერაცია? მათი მხრიდან 11 კაცი დაიღუპა, რატომ დაიღუპა სამი ქართველი სამართალდამცავი?

რუსეთი დიდი ხანია ამტკიცებს, რომ საქართველოს ხელისუფლება თავის ტერიტორიაზე ტერორისტებს იფარებს. პირადად მე რუსეთის მთავრობის არასდროს მჯერა, მაგრამ როგორც ჩანს, ამჯერად მათ საქართველოს დისკრედიტაციისათვის საკმარისი არგუმენტი ჩაუვარდათ ხელში.

30 აგვისტოს დაღესტნის ვიალეთის მოჯაჰედებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სააკაშვილმა ისინი მოატყუა და მათ არანაირი მძევლები არ აუყვანიათ. მათ განცხადებაში მუქარაც გაისმა, მაგრამ არა მგონია, ეს მუქარა ქართველი ხალხის წინააღმდეგ იყოს მიმართული. შეიძლება, მუქარა იმ კონკრეტული ჩინოვნიკების მიმართ არის, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონდათ. ეს ჯგუფი ტერორისტულ აქტებს რუსეთის ტერიტორიაზე ახორციელებს, მათი მთავარი მტერი რუსეთია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ძალოვანმა სტრუქტურებმა ტერორისტები გაანადგურეს, ვფიქრობ, ეს ოპერაცია სააკაშვილის იმიჯზე დასავლეთში ძალიან უარყოფითად იმოქმედებს. აშკარაა, რომ შეიარაღებული პირები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე იყვნენ გადმოსული.

მსოფლიო იმდენად დადებითად აფასებს პუტინის ხელისუფლების ტერორიზმთან ბრძოლას, რომ მას მაშინაც კი არ აკრიტიკებენ, როცა ქალები, ბავშვები და მოხუცები იღუპებიან. გავიხსენოთ „ნორდ-ოსტის“ მოვლენები. როგორც წესი, რუსეთს ვერავინ უბედავს მკაცრ კრიტიკას ამის გამო, გარდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა. მსოფლიო, ზოგადად, მიესალმება რუსეთის ანტიტერორისტულ ოპერაციებს. სწორედ ამ კონტექსტში რუსეთის ხელისუფლებას უვარდება ხელში მტკიცებულება, რომ საქართველო ტერორისტების ბუდეა.

უცნაურია, რომ ქართული სახელმწიფო სტრუქტურები დაღესტნიდან გადმოსულ ადამიანებს „დივერსანტებს“ უწოდებენ. როგორ შეიძლება, მათ დივერსია განეხორციელებინათ საქართველოში? გამოდის, რომ ისინი რუსეთისგან იღებდნენ დავალებებს და რუსებთან არიან შეკრულები. რა ხდება, რუსეთი ვაჰაბიტებს აგზავნის საქართველოში ტერაქტებისთვის? თუ რუსეთი დევნის და საქართველო იფარავს მათ? ტერორისტები გავანადუ-

ფოტო: ბელა მეიბლიშვილი

რეთ და რუსული საქმე გავაკეთეთ, მაგრამ მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ ჩვენთან არიან ტერორისტები. სჯობდა, რამდენიმე მათგანი მაინც აგვეყვანა ცოცხლად და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე წარგვედგინა, როგორც კონტრარგუმენტი რუსეთის პროპაგანდის საწინააღმდეგოდ. ის, რომ ვერცერთი ტერორისტი ვერ დავატყვევეთ, ადასტურებს იმას, თუ რამდენად არაკომპეტენტურად ჩატარდა ოპერაცია. იქნებ საქართველოს ხელისუფლებას არცკი აწყობდა მათ შორის ვინმე ცოცხალი გადარჩენილიყო? ესეც კიდევ ერთი პასუხგაუცემელი კითხვაა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ეპიზოდსაც, როგორც სხვა ნებისმიერ სახელმწიფოს წინაშე მდგარ გამოწვევას, სააკაშვილი არჩევნების წინ სათავისოდ გამოიყენებს.

დაბოლოს, არ მგონია, რომ ამ ოპერაციას გაგრძელება უნდა მოჰყვეს. თუმცა, აშკარაა, ჩრდილოკავკასიელი ხალხები, ვისაც ეს ექსტრემისტები და მოჯაჰედები მოსწონთ, ჩვენს მიმართ გულს აიცრუებენ. ქართულმა ხელისუფლებამ, როცა ჩეჩენთა გენოციდის აღიარების კამპანია წამოიწყო (რაც, ჩემი აზრით, შეცდომა იყო), ჩრდილოკავკსიელების ნაციონალისტური და რელიგიური წრეების სიმპათია დაიმსახურა. ახლა, ამ სპეცოპერაციის შემდეგ, ეს წრეები საქართველოს ალბათ კვლავ გაუუცხოვდებიან.

უცნაურია, რომ ქართული სახელმწიფო სტრუქტურები დაღესტნიდან გადმოსულ ადამიანებს „დივერსანტებს“ უწოდებენ. როგორ შეიძლება, მათ დივერსია განეხორციელებინათ საქართველოში? გამოდის, რომ ისინი რუსეთისგან იღებდნენ დავალებებს და რუსებთან არიან შეკრულები. რა ხდება, რუსეთი ვაჰაბიტებს აგზავნის საქართველოში ტერაქტებისთვის?

ადგ. დიღომი
ადგ. ბოროტლები
ადგ. გალოანი
ადგ. კუპრუჭები
ადგ. დევის ხვრელი
ადგ. ბაბანოსვეკა
ადგ. ბრელის ხევი
ადგ. სათუთი გორა
ლაფანყური
ბერძნისწყალი
ბერძნისწყალი
ბერძნისწყალი



რეპორტაჟი

სპეცოპერაცია ლოპოტას ხეობაში

ბექა ქურხული

სოფელი ლაფანყური ლოპოტას ხეობაშია შემალული და თელავის რაიონს ეკუთვნის. ეს ხეობა საქართველო-დაღესტნის საზღვრიდან 30 კილომეტრში მდებარეობს.

ალაზნის ველისა და კავკასიონის ქედის შესაყარზე შეყუჟული, ფშაველებით დასახლებული ეს პატარა სოფელი საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისათვის უცნობი დარჩებოდა, მარიამობის ღამეს, მოულოდნელად დაწყებული სპეცოპერაცია რომ არა, რომელმაც მთელი საქართველო შეაშფოთა და კავკასია აალაპარაკა.

ლაფანყურისკენ მიმავალი გზა ნაფარეულიდან უხვევს და ისეა გადათხრილი და დანგრეული, რომ ეტყობა, ხელისუფლების წარმომადგენლებს აქეთ ჯერ არ გამოუვლიათ და არც არაფერი საქმე ჰქონიათ. შესაბამისად, სოფელი თავისთვის მშვიდად ცხოვრობდა. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველოს თავზე დატრიალებული დიდი თუ პატარა კონფლიქტი ამ სოფელს არასოდეს შეხებია. პირიქით, ჩრდილოეთკავკასიელებთან საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ.

„ჩვენ ფშავლები ვართ, მესაქონლე ხალხი, საქონელი გვაჭმევს პურსა და გვინახავს ოჯახს. საქონელს საძოვარი უნდა, ტყე. ჩვენც სულ ტყე-ღრესა ვართ მოდებული და აბა, რაც თავი გვახსოვს, ჯერ არ ყოფილა აქ კაცი დაკარგულიყოს“, – ამბობენ ლაფანყურელები. სწორედ ამიტომ შეაშფოთა სოფელი საქეიფოდ წასული 5 ბიჭის გაუჩინარებამ. ამ სოფლის შესასვლელ-გამოსასვლელი გზა მხოლოდ ერთია. ამიტომ, ის ვერსია, რომ ხევში „შლოპანცებით“ წასული 18-იდან 24 წლამდე ახალგაზრდები იქიდან კიდევ სადმე წავიდოდნენ, გამორიცხულია. ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ იქ დაბადებულ-გაზრდილ ბიჭებს გზა აბნეოდათ და დაკარგულიყვნენ.

როგორც ადგილობრივები ჰყვებიან, თითქმის ერთი დღე-ღამის ძებნის შემდეგ ე.წ. მარმარილოებთან, ანუ მარმარილოს კარიერებთან, ადამიანების კვალს და ნაბინავარს წასწყდომიან. ადგილობრივი მოსახლეობა დაჟინებით იმეორებს, რომ იმ ადგილას, სადაც ნაბინავარს წააწყდნენ, „ბარამბოს“ შოკოლადის ნაფცქვენები

ფოტო: გელა ბეჟიტაშვილი

დაკარგულების მოსაძებნად წასული ლაფანყურელები აცხადებენ, რომ მძევლების გამოხსნის დროს არ ყოფილა არანაირი შეტაკება ან სროლა. მძევლები გამოიხსნეს ძალიან მალე. რაც მთავარია, ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მესაზღვრეები იმავე მანქანებით და შემადგენლობით ჩამობრუნდნენ, როგორც აიარეს.

და ჩურჩხელები აღმოაჩინეს. გასაგებია, რომ მთაში მოსიარულე სხვადასხვა შეიარაღებულ დაჯგუფებებს საგზლად ძალიან ხშირად დააქვთ ტკბილეული. ალპურ ზონაში სასიარულოდ გლუკოზა აუცილებელია, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას უკვირს, საიდან გაუჩნდათ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულ დივერსანტებს ქართული წარმოების შოკოლადი და მით უმეტეს – ჩურჩხელა.

მას შემდეგ, რაც ადგილობრივი მოსახლეობა ნაბინავარს წააწყდა, ნაკვალევს მიჰყვა, რომელიც ზევით მთებში მიდიოდა. ახალგაზრდების საძებნელად წასულთა დიდი ნაწილი მონადირე იყო და ნაკვალევის ცნობა და იქაური ბილიკებიც ძალიან კარგად იცოდა, თან, ნაწვიმარიც ყოფილა.

ძებნის დროს ერთ-ერთი გატაცებულის ბიძამ გზაზე სამხედრო ქუდი და გულზე ჩამოსაკიდებელი პატარა ფარანი იპოვა. ცოტა ხანში, მოსახვევთან, სამი შეიარაღებული პირი შეუმჩნევიათ. სასწრაფოდ გამობრუნდნენ და სასაზღვრო პოსტს, ე.წ ლოპოტას სექტორს დაუკავშირდნენ.

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, მესაზღვრეებმა ძალიან ოპერატიულად იმოქმედეს. ორი სამხედრო „პიკაპით“ ამოვიდნენ, დაკარაგული ახალგაზრდების საძებნელად წასულ მოსახლეობას ადგილზე დარჩენა სთხოვეს და გზა გააგრძელეს. ადგილობრივი მოსახლეობა ქვევით, საგუშაგოსთან დარჩა და მოვლენების განვითარებას დაელოდა.

„ლიბერალთან“ საუბრისას გატაცებულის ბიძამ განაცხადა, რომ დაახლოებით ნახევარ საათში მესაზღვრეებმა საგუშაგოს აცნობეს: „ყველაფერი კარგადაა, დაკარგული და გატაცებული ბიჭები ვიპოვეთ და ყველაფერი ისე არის, როგორც ჩვენ გვინდაო“.

ცოტა ხნის შემდეგ მესაზღვრეებმა უკან ჩამოიარეს. მანქანებში, მესაზღვრეებთან ერთად, დაკარგული და გატაცებული ახალგაზრდებიც ისხდნენ. თუმცა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, ბიჭებთან არა მხოლოდ გასაუბრების, მიახლოების საშუალებაც არ მისცეს. დაველაპარაკებით და ცოტა ხანში უკან მოვიყვანთო. დახსნილი მძევლები ჯერ ნაფარეულში და შემდეგ თელავში (ზოგიერთი ინფორმაციით, თბილისშიც) გადაიყვანეს და არცთუ ცოტა ხანი, მთელი ორი დღე-ღამე ჰყავდათ იზოლირებული ისე, რომ ოჯახის წევრებმაც ვერ ნახეს. ადგილობრივები ვარაუდობენ, რომ ალბათ „ამუშავებდნენ“, რა ეთქვათ და რა – არა. უფრო სწორად – არაფერი რომ არ ეთქვათო.

დაკარგულების მოსაძებნად წასული ლაფანყურელები აცხადებენ, რომ მძევლების გამოხსნის დროს არ ყოფილა არანაირი შეტაკება ან სროლა. მძევლები გამოიხსნეს ძალიან მალე. რაც მთავარია, ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მესაზღვრეები იმავე მანქანებით და შემადგენლობით ჩამობრუნდნენ, როგორც აიარეს. ბიჭებიც ჩამოიყვანეს, მანქანებში დავინახეთო. ეს კი ეწინააღმდეგება ხელისუფლების ვერსიას, თითქოს მესაზღვრეები მძევლებს ჩაენაცვლნენ და თვითონ ჩაბარდნენ მძევლებად გამტაცებლებს.

ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ სპეცოპერაცია მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც მძევლები გათავისუფლდნენ. ამასვე ადასტურებს „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“, რომელმაც დღის 2 საათზე გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ საზღვრისპირა სოფლიდან დაკარგული 5 ახალგაზრდა იპოვეს. ამის შესახებ „კახეთის საინფორმაციო ცენტრს“ თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნუგზარ ხუცაიძემ განუცხადა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ღამის 12 საათზე გაავრცელა სპეციალური განცხადება. მათი ინფორმაციით, „საქართველო-რუსეთის საზღვართან, დაღესტნის მონაკვეთთან, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია შეიარაღებული ჯგუფი. შსს მიერ ხორციელდება

აღნიშნული ჯგუფის დევნის ოპერაცია“.

იმავე ღამით „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ „სოფელში პოლიციისა და სამხედროების დამატებითი ძალები შევიდნენ. ოპერაციაში რამდენიმე ვერტმფრენი ჩაერთო. დაჭრილების და გარდაცვლილების შესახებ ინფორმაცია ამ დრომდე არ ვრცელდებოდა.

ასევე გავრცელდა ამბავი, რომ თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურში, სადაც ქართული ძალოვანები სპეცოპერაციას ატარებდნენ, წინა დღეს სოფლის მცხოვრებმა, თავდაცვის სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა, თავი მოიკლა.

მოსახლეობაში გაჩნდა ბუნებრივი კითხვები, რა სპეცოპერაცია ტარდება? რომელი შეიარაღებული ჯგუფია საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილი და აღმოჩენილი? ვის ვებრძვით? მთელი დღის განმავლობაში ამ კითხვებზე კონკრეტული პასუხი არ იყო.

ამის შემდეგ გაჩნდა ბევრი ვერსია, ეჭვი და ვარაუდი.

29 აგვისტოს „ლიბერალი“ ესაუბრა ორ წყაროს, რომელიც სამთავრობო სტრუქტურებში მსახურობენ. მაგრამ მათ არა მარტო ის არ იცოდნენ, რა სპეცოპერაცია ტარდებოდა და ვის წინააღმდეგ, არამედ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ საერთოდ რაიმე ხდებოდა. არაფერი არ იცოდნენ მომხდარის შესახებ იქვე პანკისის ხეობაშიც, სადაც ძალიან ბევრი რამე მომხდარა და სულ „იციან“, სად რა ხდება.

ასეთმა საინფორმაციო ბლოკადამ ხელი შეუწყო მითქმა-მოთქმას და ჭორებს. პირველი, რაც ყველას გაახსენდა, ეს იყო 2008 წლის მაისის არჩევნების დროს ენგურზე, განმუხურთან მომხდარი ამბავი და გამაყრუებელი სროლა, როდესაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, დაცვის ანაბარამ, და ის დაცვაც რატომღაც უკან მისდევდა, შიშველი ხელებით გარეკა ენგურიდან შემოჭრილი, კბილებამდე შეიარაღებული რუსი ჯარისკაცები.

„რას შვრებიან?“ „რა ხდება?“ „რას გვიპირებენ?“ „დადგმულია წინასაარჩევნოდ“, „რუსები“, „ამათ ეხლა ომი აწყობთ“, „ამერიკა ირანს ურტყამს და რუსეთი კორიდორს იკეთებს გიუმრში თავისი ბაზისკენ“, „არჩევნები გადაიდება“, „არა, არ გადაიდება“ „პიარი“... იყო ერთი რეკვა და „მე იცი, რას ვფიქრობ?“ „მე იცი, რა მიკვირს?“ „მე იმას დავურეკავ, შენ იმას დაურეკე!“

და წავედით.

გზაშიც ბევრი ვიმარჩიელეთ. გომბორის უღელტეხილზე, ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტრო განაცხადებდა, „ლიბერალმა“ დახურული წყაროსგან მიიღო ინფორმაცია ორი დაღუპული ქართველი ჯარისკაცისა და ერთი დაჭრილის შესახებ. უკვე გასაგები გახდა, რომ ეს ყველაფერი დადგმული არ იყო, ყოველ შემთხვევაში, განმუხური არ ხდებოდა, გაცილებით უარესად იყო საქმე.

დაახლოებით ერთ საათში შსს-მ გაავრცელა ინფორმაცია 3 დაღუპული ჯარისკაცის და 5 დაჭრილის შესახებ. ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში სამხედრო ვერტმფრენი დაჯდა.

გამოიკვეთა ისიც, თუ ვის წინააღმდეგ მიმდინარეობდა სპეცოპერაცია. ჩრდილოეთ კავკასიელი დივერსანტები, იგივე მოჯაჰედები. თუმცა კვლავ უცნობი იყო მათი რაოდენობა. ათი, ოცი, ასი, რამდენი? როგორ გაჩნდნენ ისინი თელავის სოფლიდან 3 კილომეტრში, სადაც ხალხი მძევლად აიყვანეს? რას ითხოვდნენ? რის დივერსია? და ისევ მარჩიელობა. თითქოს ლოგიკური იყო ყველაფრის დაღესტანში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირება, სადაც ამ ბოლო დროს ძალიან დაძაბული ვითარებაა. იქაურობა წლების განმავლობაში საათზე დაყენებულ, მოწიკწიკე ნაღმს ჰგავს. როდის იფეთქებს, კაცმა არ იცის. სულ უნდა ელოდო.

სამშაბათს თვითმკვლელმა შაჰიდმა ქალმა დაღესტნის მუფტი ააფეთქა. ბუნებრივია, ამას დიდი ამბები მოჰყვა. საქართველოს მოსაზღვრე ბოთლიხისა და ბეჟტის რაიონში რუსებმა და ადგილობრივმა მილიციამ დამატებითი ძალები შეიყვანეს. ოფიციალური ინფორმაციით, მთებში გამაგრებული დოკუ უმაროვის კავკასიის იმარატის მებრძოლების – მოჯაჰედების საზამთრო ბაზების აღმოსაჩენად და მათ საბოლოოდ გასანად-

"დევნის ოპერაციის" ქრონოლოგია

28 აგვისტო

- **დილით ტელეკომპანიებმა „რუსთავი 2“-მა და „იმედმა“ სოფელ ლაფანყურის ტყიდან 5 ახალგაზრდის დაკარგვის შესახებ ინფორმაცია გაავრცელეს. პოლიცია 25 წლამდე მამაკაცებს – ლერი ხუცურაულს, ლევან გარაშვილს, ბესიკ მიჯახკაშვილს, ტატო ღაღოლიშვილს და თამაზ გამიერაშვილს ეძებდა. ახალგაზრდები საქეიფოდ სასაზღვრო სოფელ ლაფანყურიდან დაახლოებით 4 კილომეტრში, ტყეში წავიდნენ. მათი კვალი 26 აგვისტოს, დღის 4 საათიდან დაიკარგა.**
- **დღის 2 საათზე „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“ ინფორმაციას აქვეყნებს, რომ საზღვრისპირა სოფლიდან დაკარგული 5 ახალგაზრდა იპოვეს. ამის შესახებ „კახეთის საინფორმაციო ცენტრს“ თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნუგზარ ხუცაიძემ განუცხადა.**
- **ღამის თორმეტ საათზე შინაგან საქმეთა სამინისტრო სპეციალურ განცხადებას ავრცელებს. მათი ინფორმაციით, საქართველო – რუსეთის საზღვართან, დაღესტნის მონაკვეთთან, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია შეიარაღებული ჯგუფი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ხორციელდება აღნიშნული ჯგუფის დევნის ოპერაცია.**
- **იმავე ღამით „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ სოფელში პოლიციის და სამხედროების დამატებითი ძალები შევიდნენ. ოპერაციაში რამდენიმე ვერტმფრენი ჩაერთო. დაჭრილებისა და გარდაცვლილების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.**

გურებლად. შენდება ახალი სამხედრო საველე ჰოსპიტალები.

გამოითქვა ვარაუდი, რომ ამ სპეცოპერაციის დროს მოჯაჰედების, ან როგორც ოფიციალური ხელისუფლება აცხადებს, „დივერსანტების“ ჯგუფმა რუსებს გადმოასწრო და საქართველოს მთებს შეაფარა თავი. ასეთი რამ ადრეც ხშირად მომხდარა. გადმოდიოდნენ, მაგრამ ეს ჯგუფები იარაღს ყოველთვის და უპრობლემოდ აბარებდნენ, იმის იმედით, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსებს არ გადასცემდა. ხელისუფლებაც ხან გადასცემდა ამ ხალხს რუსებს, ხან – არა. გააჩნია, როგორ ხასიათზე იყვნენ და როგორ უჭირდათ.

ვთქვათ, მართლაც, გადმოვიდნენ დივერსანტები, რომლებიც დაღესტნის მუფტის აფეთქების შემდეგ ალყაში მოაქციეს. წააწყდნენ ლაფანყურელებს და მძევლებად აიყვანეს, მაგრამ ერთი ამბავი არ გამოდის: ეს ბიჭები კვირას დაიკარგნენ, ხოლო მუფტი სამშაბათს ააფეთქეს, ანუ როცა დაღესტნის საზღვარზე ვითარება გამწვავდა და ამის შემდგ „დივერსანტთა ჯგუფმა“ ლოპოტას ხეობაში შემოაღწია, ეს ბიჭები უკვე ორი დღის დაკარგულები იყვნენ.

ლაფანყურელები სხვა რამეებსაც ამბობენ, მაგალითად იმას, რომ ამ ფაქტამდე ორი-სამი კვირით ადრე ქართველი ძალოვანები აქტიურად მოძრაობდნენ ხეობაში, ატარებდნენ წვრთნებს. ადგილობრივები იქვე, სოფელ ართანასთან წააწყდნენ ახლად ამოთხრილ სანგრებს. თითქოს აქ არაფერია გასაკვირი, ერთი ფაქტი რომ არა – ადგილობრივები ირწმუნებიან, არასოდეს, არცერთი ომის დროს, 2008 წლის აგვისტოს ომის ჩათვლით, ჩვენი ძალოვანები ასე აქტიურად არ მოძრაობდნენ ამ ხეობაში და საერთოდ, აქ დისლოცირებული ლოპოტას სექტორის მესაზღვრეების გარდა, იშვითად შეხვდებოდით ფორმიან ადამიანს.

მეტიც, ამ მოვლენამდე ასევე რამდენიმე კვირით ადრე, თვითმხილველი აცხადებს, რომ ტყეში ორ საეჭვო უცხო ადამიანს შეხვდა და როდესაც მათი ვინაობა იკითხა, ერთ-ერთმა მკვეთრი ჩრდილოკავკასიური აქცენტით უპასუხა, რომ ქისტი მწყემსები იყვნენ და ამხანაგს ელოდებოდნენ. თვითმხილველი ამბობს, რომ უცნობები იტყუებოდნენ, რადგან ამ ხეობაში ერთადერთი ქისტი მწყემსია და ისიც ჩემი ახლობელი, ჩემს ოჯახში ხშირად მოდის და ძალიან კარგად ვიცნობო.

დღეს, როდესაც ლოპოტას ხეობაში სპეცოპერაცია დასრულებულია, უამრავი კითხვა და თეთრი ლაქა რჩება. რატომ იყო სრული საინფორმაციო ვაკუუმი? გასაგებია, რომ სპეცოპერაციის დროს აუცილებელია გარკვეული კონფიდენციალობის დაცვა, მაგრამ ახლა, როდესაც ყველაფერი დამთავრდა, რატომ არის ყველაფერი მკაცრად გასაიდუმლოებული? რატომ ჰყავთ ყოფილი მძევლები უმკაცრესი კონტროლის ქვეშ და რატომ უკრძალავენ ნებისმიერ კონტაქტს მედიასთან? არადა, ყველას კარგად გვახსოვს, რომ ცხინვალის 2008 წლის ომს ყველა საინფორმაციო არხი, ფაქტობრივად, თავიდან ბოლომდე გადასცემდა ღია ეთერში, ვინ იყვნენ სინამდვილეში ჩრდილოეთ კავკასიელი „დივერსანტები“ და რა დივერსიებს გეგმავდნენ? რა ბედი ეწია გადარჩენილ ექვს დივერსანტს? როგორ მოხდა, რომ შეტაკებისას თერთმეტივე დაიღუპა და არცერთი არ დაჭრილა და ეს მაშინ, როცა თუნდაც ერთი მათგანის ცოცხლად აყვანა უამრავ რამეს მოჰფენდა ნათელს. როგორ მოახერხა 17-მა შეიარაღებულმა პირმა სახელმწიფო საზღვრის დარღვევა და შუაგულ კახეთში, სოფლიდან სამ კილომეტრში, დღისით-მზისით, ადამიანების მძევლად აყვანა? ის არგუმენტი, რომ ტყე შეფოთლილია და ამიტომ ასეთ დროს საზღვრის დარღვევა ჩვეულებრივი ამბავია, არადამაჯერებელია, მით უმეტეს, საზღვრის ეს მონაკვეთი ალპურ ზონაზე გადის, ამიტომ იქ ვერაფერი შეფოთლილი ვერ იქნება. რა გამოდის, რუსეთ-საქართველოს ყველაზე რთულ, დაღესტნის მონაკვეთზე ფოთოლცვენას უნდა ველოდოთ?

რატომ არ გამოცხადდა სასაზღვრო სექტორში განგაში და საგანგებო მდგომარეობა, თუკი ჯერ ხუთი ახალგაზრდა აიყვანეს მძევლად და მით უმეტეს, თუ მათ მესაზღვრეები მართლა ჩაენაცვლნენ?

"დევნის ოპერაციის" ქრონოლოგია

29 აგვისტო

▸ **დაჭრილების შესახებ ინფორმაცია პირველად 29 აგვისტოს გავრცელდა. „სოფელ ლაფანყურის მიმდებარე ტერიტორიიდან სავარაუდოდ, ერთი დაჭრილი გამოიყვანეს“ – იუწყებოდა „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“.**

▸ **შსს მორიგ განცხადებას ავრცელებს: შეიარაღებული დაჯგუფების გაუვნებელყოფის მიზნით ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაცია გრძელდება. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით კრიზისების მართვის შტაბია შექმნილი, რომელშიც შინაგან საქმეთა, იუსტიციის და თავდაცვის სამინისტროები შედის. შემუშავებულია უწყებათაშორისი კოორდინირებული მოქმედების გეგმა, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს.**

▸ **12 საათიან გამოშვებაში ტელეკომპანია „რუსთავი 2“ იუწყება, რომ ლოპოტას ხეობაში შსს-ს სპეცოპერაციის შედეგად მოკლულია დივერსანტი, არიან დაჭრილებიც. ამავე საინფორმაციო საშუალების ცნობით, ოპერაციის მიზანი მძევალთა გათავისუფლებაა. დივერსიულმა ჯგუფმა მძევალთა სამი ჯგუფი აიყვანა, მათ შორის იყვნენ ის ახალგაზრდებიც, რომლებიც ლაფანყურიდან 26 სექტემბერს გაუჩინარდნენ.**

▸ **დღის 3 საათზე, თბილისში ღუდუშაურის კლინიკაში სამხედრო ვერტმფრენი დაეშვა. ადგილზე შეკრებილმა ჟურნალისტებმა დაინახეს, როგორ გადმოიყვანეს საავადმყოფოს ეზოში დაშვებული ვერტმფრენიდან ორი დაჭრილი.**

▸ **დღის 3 საათზე, „ლიბერალი“ მთავრობის პრესსპიკერს შოთა უტიაშვილს ესაუბრა. უტიაშვილის თქმით, სოფელ ლაფანყურში დაწყე-**

ფოტო გელა მეიფარაშვილი

ლაფანყურელები სხვა რამეებსაც ამბობენ, მაგალითად, იმას, რომ ამ ფაქტამდე ორი-სამი კვირით ადრე ქართველი ძალოვანები აქტიურად მოძრაობდნენ ხეობაში, ატარებდნენ წვრთნებს.

იმავე საღამოს, ერთ-ერთი მესაზღვრის დედა, რომლის შვილიც ამ დროს ალპურ ზონაში სასაზღვრო საგუშაგოზე იმყოფებოდა, შვილს დაუკავშირდა. მესაზღვრემ ოჯახის წევრებს განუცხადა, რომ იქ აბსოლუტური სიმშვიდე იყო და თავის თანამებრძოლის მძევლად აყვანის შესახებ არაფერი გაუგია. დაუჯერებელია, სასაზღვრო პერიმეტრზე მესაზღვრეები ჰყავდეთ მძევლებად და უახლოეს საგუშაგოს ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდეს.

ლაფანყურში თითქმის ვერ ვნახეთ ადამიანი, რომელიც ოფიციალურ ვერსიას ენდობა. მათ მოვლენების განვითარების საკუთარი სცენარი აქვთ: „საქეიფოდ წასულ ბიჭებს შემთხვევით შეიარაღებული დაჯგუფება შეეჩეხათ. მათ ასე თავისუფლად უკვე ველარ გაუშვებდნენ. თუმცა, ადგილობრივები ირწმუნებიან, რომ გამტაცებლები ძალიან კარგად ექცეოდნენ გატაცებულებს. როდესაც მესაზღვრეები წამოეწივნენ, მათ შორის ასეთი შეთანხმება მოხდა – გაუშვით ჩვენი ხალხი და თქვენს გზაზე წადითო. მოჯაჰედები ამაზე დათანხმდნენ, ბიჭები მესაზღვრეებს ჩააბარეს და თავის გზაზე წავიდნენ. ამის შემდეგ დაიწყო სპეცოპერაცია, რომელიც სროლით და ორმხრივი მსხვერპლით დამთავრდა“.

„ვეხვეწებოდით, გაგვიყოლეთ თან. ყველა ხე, ბუჩქი, ბილიკი ზეპირად ვიცით. ყველა ეხი და ხეობა. არა, არ გვჭირდებითო. აი, ასე აბუჩად აგვიგდეს და ეგრე გამოგვისტუმრეს. რომ წავეყვანეთ, არც ის სამი ახალგაზრდა ჯარისკაცი დაგვეღუპებოდა. თან სულ ჩვენებია, მთისები... ეჰ, ნეტავ, სულ არ დავბადებულიყავ, ამათ შემხედვარე...“

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამ დროს სატელევიზიო ბრიფინგს ატარებდა ყვარელში, ტრიბუნასთან იდგა და წარმატებული სპეცოპერაციის შედეგებს აჯამებდა.

„ლიბერალი“ სამძიმარს უცხადებს დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ოჯახებს და იზიარებს მათ ტრაგედიას.

ბული სპეცოპერაცია „ანტიტერორისტული ხასიათისაა“ და სპეცოპერაცია „ჩრდილოკავკასიელების წინააღმდეგ მიმდინარეობს.

▸ 4 საათისათვის „ლიბერალს“ დახურული წყარო ატყობინებს, რომ გარდაცვლილები არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები სოლომონ წიკლაური და არჩილ ჩოხელი და თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ძალების ექიმი, კაპრალი ვლადიმერ ხვედელიძე. ინფორმაციას მალევე ადასტურებს შსს-ც.

▸ საღამოს 6 საათისათვის, შსს გათავისუფლებული მძევლების ვიდეოს ავრცელებს, გათავისუფლებულები ტყვეობის შესახებ ჰყვებიან.

▸ საღამოს 6 საათისათვის, შსს სპეცრაზმის სამი თანამშრომლის დაღუპვისა და ხუთი დაჭრილის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. შსს ინფორმაციით, ლიკვიდირებულია შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრი და მიმდინარეობს 6 დივერსანტის „დევნის ოპერაცია“.

▸ „ლიბერალის“ კორესპონდენტის ცნობით, ღამის 1 საათზე ლოპოტას ხეობაში ჯარისკაცებით სავსე ცხრა სამხედრო მანქანა შევიდა და 20-მდე პოლიციის პიკაპი გამოვიდა. სოფელში სიმშვიდეა.

▸ საღამოს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია „მძევალთა სამი ჯგუფის“ შესახებ განმარტებებს აკეთებს. „თავდაპირველად მოტაცებული იყვნენ ახალგაზრდები, ადგილობრივი მცხოვრებლები. შემდეგ, მესაზღვრეთა პატრული, რომელსაც ინფორმაცია ჰქონდა მოტაცების შესახებ, აიყვანეს მძევლად ამ ახალგაზრდების ნაცვლად და ამას მათ თვითონაც შეუწყვეს ხელი. ხოლო შემდეგ, შსს-ს ოფიცრები“, – აღნიშნა გიგა ბოკერიამ.

კომენტარი

ლოპოტას ხეობის ტრაგედიის გამო

რამდენად რეალური იყო რუსეთის მხრიდან პოტენციური სპეცოპერაციის საფრთხე, შეიძლებოდა თუ არა, რაიმეს გაკეთება მსხვერპლის თავიდან ასარიდებლად?

ქეთი ქანთარია

ფოტო: გელა მესხელიშვილი

შეირაღებული ჯგუფი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ რუსეთ-საქართველოს დაღესტნის მონაკვეთი გადმოკვეთა, ლიკვიდირებულია. სამხედრო ოპერაციას 3 ქართველი სპეცრაზმელი და (31 აგვისტოს დილის მონაცემებით) 11 ჩრდილოკავკასიელი მებრძოლი შეეწირა. თუ რა მოხდა სინამდვილეში 26-29 აგვისტოს, რამდენიმეუცნობიან განტოლებას ჰგავს. სპეცოპერაციის დროს დაღუპული მებრძოლები, რომლებიც გაუგებარი მიზეზის გამო ქართველმა სამართალდამცავებმა თავიდანვე „დივერსანტებად“ მონათლეს, დიდოეთის წუნთის დაჯგუფების წევრები იყვნენ. წუნთა ბოლო ხანებში უკიდურესად მღვრიე დაღესტნის კვალობაზეც კი გამორჩეულად რთული პუნქტია. გასაკვირი არაა, რომ ანალიტიკოსები ამ ტრაგიკული ინციდენტის თაობაზე ჯერჯერობით მოკლე კომენტარით იფარგლებიან.

სამაგიეროდ, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლო ხანებში სიტუაციას არსად მიუღწევია ისეთი დაძაბულობისთვის, როგორც დაღესტანში. ერთ-ერთი ავტორი იმასაც წერს, რომ დაღესტანს ბოლო ასწლეულში ასეთი მძიმე დროება არასდროს დადგომია. ლოპოტის ხეობის ინციდენტამდე ერთი დღით ადრე რესპუბლიკაში რამდენიმე ტერორისტული აქტი მოხდა: ერთ-ერთ სამხედრო პუნქტთან დაღესტნელმა მესაზღვრემ რვა თანამშრომელი მოკლა. იმავე დღეს მომხდარმა ტერაქტმა, რომელიც ბრეიკდანსის ყოფილმა მოცეკვავემ, შემდგომ ოთხჯერ სხვადასხვა მუჯაჰედზე გათხოვილმა გამუსლიმანებულმა რუსმა ქალმა ჩაიდინა, დაღესტნის ახალგაჩენილი იმედები დაამსხვრია. ორსულად შენიღბულმა თვითმკვლელმა ტერორისტმა ცნობილი სუფია შეიხი, საიდ აფანდი ჩირქეელი (აცაევი) საკუთარ სახლში ააფეთქა.

საიდ აფანდიმ 2011 წლიდან სალაფიტებთან (ვაჰაბიტებთან) მძაფრ დაპირისპირებაზე ხელი აიღო და სუფიებთან დიალოგის საჭიროებაზე ალაპარაკდა. ერთი წლის განმავლობაში ბევრი მოახერხა და სწორედ მაშინ მოკლეს, როდესაც პროცესი შეიძლებოდა რეალური გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ შეიხის ფიგურაც არაერთგვაროვნად ფასდება, ეს უზარმაზარი დანაკარგია დაღესტნისთვის. ზოგს არ ავიწყდება, რომ პუტინისათვის დუას (ლოცვა) აღვლენის მოწოდებაც მისგან მოდიოდა და თავიდან სალაფიტების და სუფიების დაპირისპირებაშიც უარყოფითი როლი ითამაშა.

ზოგადად, ჩრდილოეთ კავკასიაში სუფიებს პრობლემა აქვთ: ეს არის ისლამის რბილი, არააგრესიული ფორმა, სამწუხაროდ, ისე გამოვიდა, რომ სუფიების ნაწილი რუსეთის ფედერალურ ხელისუფლებასთან კონფორმისტულ თანამშრომლობაზე წავიდა. რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ ტენდენცია ჩანს.

ყველა „სიამოვნებასთან“ ერთად დაღესტანს არც შიიტების და სუნიტების მძაფრი დაპირისპირება აკლია. სუფიებიცა და სალაფიტებიც (ვაჰაბიტები) სუნიტები არიან, შიიტები ორივე მიმართულებას მწვალებლურად მიიჩნევენ, მაგრამ აგრესიული ვაჰაბიტები მათ, სულ ცოტა, ვალში არ რჩებიან. წელს, 18 აგვისტოს, ხასავიურტის შიიტურ მეჩეთში ატეხილი სროლა და ჩაშლილი ტერაქტი, რომელიც 70 ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავდა, სავარაუდოდ, მათი ნახელავია.

საიდ აფანდის მკვლელს რუსული სპეცსამსახური რამდენიმე წელი უთვალთვალებდა, მაგრამ სწორედ ტერაქტამდე რამდენიმე დღით ადრე დაეკარგათ თვალთახედვის არედან. სალაფიტებს შეიხის მოკვლა მაშინაც კი არ განუზრახავთ, როცა მათთან დაპირისპირებაში იმყოფებოდა და ამ მკვლელობას საკუთარ თავზე არ იღებენ. შიიტური მეჩეთის ისტორიაც, როგორც წერენ, ძალზე საეჭვოდ გამოიყურება.

ზოგადად, დაღესტანში სიტუაცია 1999 წლის შემდეგ აიმღვრა, მეორე ჩეჩნური კამპანიის თანადროულად, როდესაც ჩრდილოკავკასიური ვაჰაბიზმის ერთ-ერთი იდეოლოგის, ბაჰაუდინ ქებედოვის და მისი თანამოზარეების მიერ დაღესტანში, წუმადის რაიონში, შარიათის ყაიდის მმართველობა გამოცხადდა. დღემდე სალაფიტების და მათთან მეტ-ნაკლებად მიახლოებული აზროვნების კავკასიელებისთვის ესაა იდეალური სახელმწიფო, კავკასიის იმარატი, რომელიც მათი სურვილით მთელ ჩრდილოეთ კავკასიას უნდა გადაწვდეს და მხოლოდ ვირტუალურად არსებობს. ჩრდილო-აღმოსავლეთ

კავკასიისთვის ტრადიციული ტარიყათული ისლამი, სუფიზმი, ისლამის შემწყნარე და ერთობ საინტერესო ფორმა, სალაფიტებისთვის ჩვეულებრივი წარმართობაა. ქებედოვი მუსლიმების ამნაირი სახელებით გამოყოფის წინააღმდეგი იყო, თვლიდა, რომ უმა ერთია, მაგრამ სულ სხვაგვარად კი მოხდა.

აი, ამ სულისშემხუთველ გარემოში გაიზარდა უპერსპექტივო, მუდმივი აგრესიით დამძიმებული, უფროსი თაობის კონფორმიზმზე ამრეზილი თაობა, რომელიც აქამდე ვაჰაბიზმს ისე ეტანებოდა, როგორც ჟანგბადის ერთადერთ წყაროს, გამაყუჩებელ ნარკოტიკს. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო აქამადე. ისტორიკოსი მაირბეკ ვაჩაგაევი შარშან წერდა, რომ სალაფიზმი ჩრდილოეთ კავკასიაში გაუნათლებელი ფანატიკოსების არეალიდან გადის და ინტელექტუალური ახალგაზრდობისათვისაც მიმზიდველი ხდება. ასეა თუ ისე, ესკალაციამ რეგიონში ბოლო ხანებში დუღილის ტემპერატურას მიაღწია. ფედერალური სამსახურები ამ ტემპერატურის შენარჩუნების მუდმივ რეჟიმში მოქმედებენ.

ამ ვითარებაში ე.წ. ტყის, ანუ მიწისქვეშა წინააღმდეგობის ძალების არსებობა ჯერაც ძალზე ანგარიშგასაწევი ფაქტორია. რაკი რუსეთისგან პროვოკაციის საშიშროება მუდმივად არსებობს, საქართველოს საზღვარი ამ სარისკო პერიმეტრზე დაცული უნდა იყოს. თუ საზღვარი არ არის კარგად დაცული, ახლა უნდა დგებოდეს შესაბამისი უწყებების და ამ უწყებათა პირველი პირების პასუხისმგებლობის საკითხი, ხოლო გიგა ბოკერიას არგუმენტი – რთული რელიეფური პირობები ამ მონაკვეთზე – არაადეკვატურია. თუ საზღვარი დაცული არ გვაქვს, სრულიად დაუჯერებელია, რომ მისი გადმოლახვის პრეცედენტები აქამდე არ ყოფილა. გულწრფელად ვთქვათ, ამ თუ არა, სხვა მონაკვეთებში, წლების წინ საზღვარზე გადმოსული ჩრდილოკავკასიელი მეომრები ადგილობრივ მცხოვრებლებს ერთხელ და ორჯერ არ უნახავთ. არ მინდა, ქართული სპეცსამსახურების და „ბოევიკებთან“ კონტაქტების შესახებ რუსულ ვერსიას ავყვე – მაგრამ დაუჯერებელია, რომ ქართულ სპეცსამსახურებს მსგავს პრეცედენტებთან დაკავშირებული გამოცდილება არ ჰქონდეთ. დაღესტნიდან გადმოსული მებრძოლების მძევლები მოწმობენ, რომ „დივერსანტებს“ საზღვრის გადალახვა და უკან დაბრუნება სურდათ.

ის ადამიანები, ვინც საზღვარი გადმოლახა, საქართველოსთვის რომ არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ, ამის მტკიცება მხოლოდ სრულიად გაუთვითცნობიერებელ ადამიანებს სჭირდებათ. ამისთვის არც „კავკაზცენტრის“ და არც vdagestan.com-ის ინფორმაცია არაა საჭირო. მათ ინტერესებში არ იყო მინიმალურად კონფლიქტური სიტუაციის შექმნა საზღვრის აქეთა მხარეს. ირაკლი ალასანია არაპროფესიონალურად ჩატარებულ სპეცოპერაციაზე საუბრობდა. მას მსგავს ვითარებაში მოქმედების გამოცდილება პანკისის ხეობიდან აქვს. რჩება კითხვები – რამდენად რეალური იყო რუსეთის მხრიდან პოტენციური სპეცოპერაციის საფრთხე, შეიძლებოდა თუ არა, თუნდაც მოლაპარაკების პროცესის გაჭიმვა და რომელიმე ნეიტრალური მხარის ჩართვა — ერთი სიტყვით, ყველაფრის გაკეთება მსხვერპლის თავიდან ასარიდებლად?

გაჩენილ პრეტენზიებზე საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა ჩვენგან „მინიმალური სტანდარტი საღი აზრის და პატიოსნების“ მოითხოვა. დიდი ხანია, ჩვენც იმავეს მოვითხოვთ ამ ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურებისგან, თუ ამ მოთხოვნებზე ისევ ღირს სერიოზულად საუბარი...

ბიძინა ივანიშვილის არაერთი უპატიებელი საკადრო შეცდომის, „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წევრის გაუაზრებელი, არაკორექტული, ქსენოფობიური თუ ზოგადად, ბრიყვული გამონათქვამების კვალდაკვალ (სხვა ოპოზიციურ ძალებზე მგონი საერთოდ არ ღირს ლაპარაკი) ცუდი ტენდენცია გაჩნდა: ე.წ. ლიბერალური განწყობის ბევრი ადამიანი დაეჭვებით ეკიდება მოსაზრებებს, რომლებიც ხელისუფლების, მისი ბინძური ხერხებით გამორჩეული ძალოვანი სტრუქტურების მიმართ დამსახურებულად ჩნდება. ამ დღეებშიც ასე იყო: ყოველ კითხვას, რომელიც კრიტიკული აზროვნების მქონე საზოგადოებაში ბუნებრივად უნდა გაჩნდეს, ხშირად უხეში კონტრშეტევა ხვდებოდა. ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპმა უნდა შეგვაჩეროს – ხელისუფლება არც ინდივიდია და არც სასიყვარულო ურთიერთობისთვის გვყავს დაქირავებული. სწორედ კითხვების მუდმივი დასმითაა შესაძლებელი მისი მეტ-ნაკლებად კონტროლირება. ამიტომ კორექტულობის სარქველს მოვიხსნი და კითხვას დავსვამ: საინტერესოა, როგორია პრაქტიკა, სახელმწიფოს ინტერესი იმდენად მაღლა დგას, რომ ადამიანების სიცოცხლეს საკუთარ პრესტიჟს ასე ადვილად სწირავს? ნუთუ სხვა ხერხი, თუნდაც გარკვეულ ნორმებზე თვალის წახუჭვით, ვერ მოიძებნა? სიცოცხლე იმდენად არად ფასობს, რომ მის შესანარჩუნებლად განსაკუთრებული მცდელობებისათვის მიმართვა არ ღირს? საინტერესოა, საქართველოს მოქალაქეებს სურთ ისეთი უსაფრთხოება, რომელსაც ადამიანები, ჩვენი სამართალდამცავები და სხვა ქვეყნის მოქალაქეები ტლანქად და დაუფიქრებლად ეწირებიან?

"დევნის ოპერაციის" ქრონოლოგია

30 აგვისტო

▸ დილით დაღესტნის ვილაითის ოფიციალური გამოცემა ხელმძღვანელობის განცხადებას აქვეყნებს, სათაურით „საქართველოში კავკასიის იმირატის მოჯაჰედებს ებრძვიან“. განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველოში ბრძოლა მოჯაჰედების, კავკასიის იმირატის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ მიდის.

▸ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შოთა ხიზანიშვილის განცხადებით, ლოპოტას ხეობაში ოპერაციის ძირითადი ფაზა დასრულებულია. მისივე ინფორმაციით, შეირაღებული დაჯგუფების 12 წევრიდან 11-ის გვამი უკვე ნაპოვნია. ხიზანიშვილის ცნობით, დაჯგუფების ზოგიერთი წევრი ჩრდილოეთ კავკასიიდან არის.

▸ 30 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, შსს დაღუპული 11 დივერსანტის კადრებს აქვეყნებს.

რეპორტაჟი გორიდან

"ნეტა, მშვიდობიანად გადავიტანოთ არჩევნები"

გორის რაიონის მოსახლეობის უმეტესობას უწყლობა, უგაზობა და უმუშევრობა აწუხებს. არჩევნებს ზოგი სკეპტიკურად უყურებს, ნაწილი კი შიშით ხვდება.

გიორგი ჭეიშვილი

პირველი, რაც ქალაქ გორში შესვლისას გხვდებათ თვალში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ბილბორდია, გზის გაყოლებაზე ჩამწკრივებული გარე განათების ბოძები კი კოალიცია „ქართული ოცნების“ მცირე ზომის პლაკატებითაა „გაფორმებული“.

სტალინის გამზირის №48-ში, „ქართული ოცნების“ ოფისთან ხალხია შეკრებილი, ამავე გამზირზე მდებარეობს „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბიც, რომელსაც მთავარი კონკურენტებისაგან პოლიტიკური შეხედულებების გარდა, „დიდი ბელადის“ მუზეუმიც ჰყოფს.

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, ისევე როგორც, „ნაციონალურ მოძრაობაში“ დარწმუნებულნი არიან, რომ არჩევნების სამართლიანად ჩატარების შემთხვევაში, პოლიტიკურ ოპონენტებს დიდი სხვაობით დაამარცხებენ. ამავეს გვამცნობს „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბში გამოკრული კალენდარი წარწერით „გამარჯვებამდე დარჩა X დღე“.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გორის რაიონში – 112 329 ამომრჩეველია დარეგისტრირებული. ქალაქ გორსა და რაიონის სოფლებში 106 საარჩევნო და დაახლოებით 6 დახურული სამხედრო უბანია. 106 საარჩევნო უბნიდან დევნილთა შვიდი და უმისამართო ამომრჩეველთა 1 უბანია. თითოეულ საარჩევნო უბანზე კომისიის 13 წევრი – 6 ოლქისმიერი და პარტიების 7 წარმომადგენელია განაწილებული. საერთო ჯამში 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე მოსახლეობას უბნებზე 1378 ადამიანი მოემსახურება.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ერთიან საარჩევნო სიაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რიცხვი 96 019-ს შეადგენდა. არჩევნებში მონაწილეობა სულ 59 406 ადამიანმა მიიღო. ამომრჩეველთა უმეტესობამ, დაახლოებით 72 პროცენტმა, 42 688 ადამიანმა, ხმა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მისცა.

გორში კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის ყოფილი წევრი სოსო ვახტანგაშვილია, „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით კი შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი გიორგი ტატიშვილი იყრის კენჭს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შიდა ქართლის კოორდინატორის – ზურაბ ჩინჩილაკაშვილის თქმით, შტაბში ჩვეულ რეჟიმში მუშაობენ, თუმცა პიარკამპანიაზე მეტად მოსახლეობასთან შეხვედრებსა და მათი პრობლემების გარკვევაზე ამახვილებენ ყურადღებას – „ადგილობრივთათვის სამი ძირითადი მიმართულება: უმუშევრობის აღმოფხვრა, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და სოფლის მეურნეობის განვითარებაა პრიორიტეტული.

სოსო ვახტანგაშვილის თქმით, მოსახლეობასთან შეხვედრების პარალელურად, ძირითადი აქცენტი ე.წ. შავ სამუშაოზე – იმ ადამიანების მოძიებასა და დატრენინგებაზე იყო გადატანილი, რომლებიც საარჩევნო კომისიებში კოალიციის წარმომადგენლები იქნებიან – „როგორი წინასაარჩევნო კამპანიაც არ უნდა გქონდეს, თუ კომისიებში ერთგული ხალხი არ გვეყოლება, შედეგს ვერ მიაღწევ“.

არჩევნებამდე თითქმის ერთი თვე რომ არის დარჩენილი, ამას ქალაქში მშვიდად მიმდინარე საარჩევნო პერიოდიც მოწმობს, თუმცა განსხვავებული მდგომარეობაა გორის რაიონის სოფლებში.

გორის რაიონის, ისევე როგორც, მთლიანად შიდა ქართლის სოფლების მოსახლეობას უმეტესად ბოსტნეული და ხილი მოჰყავს. ადგილობრივთა შემოსავლის ძირითადი წყაროც სწორედ სო-

ფოტო: ბორის ჯუბგილი

კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბები, გორი, აგვისტო 2012

ფლის მეურნეობაა. ამიტომაც მათთვის ყველაზე მწვავედ უწყლობის პრობლემა დგას. 2008 წლის ომის შემდეგ, გორის რაიონის სოფლების ნაწილს, ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან წყლის მიწოდება შეუწყვიტეს.

„მოდიან, მიდიან, პირობებს გვაძლევენ, ყველა თავისას გაიძახის, გამკეთებელი კი არავინაა. სარწყავი წყალი არ გვაქვს, გაზი არ გვაქვს, ხეხილი გვიხმება, უმუშევრობაა“, – ჩივიან გორიდან 15 კილომეტრის მოშორებით მდებარე სოფელ ქიწნისის მცხოვრებლები. „უგაზობაა, მაგრამ მიშა გვიყვარს შვილო“, – ამბობს შუა ხნის ქალბატონი და კარს მიღმა უჩინარდება.

ეზოში შესულს ლიანა ნაოჭაშვილი გაზის არქონით გამოწვეულ პრობლემაზე მესაუბრება, თუმცა, თემას მალევე ცვლის და მიხსნის – „მადლობლები ვართ მიშასი, რომ აბრალებენ ომი დაიწყოო, ერედვში და ზემო სოფლებში ხალხი ჩახოცეს, რა ექნა ამ კაცს? არც ოცნება და არც არაფერი, ჩემი ოცნება მიშაა“.

სოფელ მარანას შესასვლელში ხის სკამზე ასაკოვანი ბებია ზის. გვერდით შვილიშვილის სათამაშო – სამხედრო მანქანა უდევს, კითხვებზე მოკლედ მპასუხობს – „მარტო იმას ვიტყვი, ვინც არიან მთავრობაში, ისევ ისინი იყვნენ“. იქვე, „ბირჟაზე“, რამდენიმე ადამიანია შეკრებილი, ჩაწერაზე მხოლოდ ერთი მთანხმდება – „არცერთი პარტია არ ყოფილა მოსული და არავის მოუკითხავს ეს სოფელი, გზა გასაკეთებელია, გაზის გაყვანა დაიწყეს, ნახევრამდე მიიყვანეს და მას მერე აღარაფერი შეცვლილა“. „წყალიც არ გვაქვს“ – საუბარში მარანას ერთ-ერთი მკვიდრი ერთვება და თანასოფლელს მიმართავს – „რა გეშინია, ყველაფერი უთხარი!“

გორიდან 20 კილომეტრით დაშორებული ტყვიავი ერთ-ერთია იმ სოფლებიდან, რომლებიც 2008 წლის ომის დროს ყველაზე მეტად დაზარალდა. სოფელში ალაგ-ალაგ ჭურვების ჩამოყრის შედეგად დანგრეული სახლის ნარჩენებსაც შეამჩნევთ.

ტყვიავში შუა ხნის ქალს ვხვდები; კითხვის დასმის შემდეგ თავს მარიდებს და მიხსნის, რომ მისი შვილები „ისეთ ადგილას“ მუშაობენ, „ხმის ამოღების შემთხვევაში“ ხვალვე გაათავისუფლებენ. იმავეს ამბობს სოფელ ზეღდულეთში „ქართული ოცნების“ გორის მაჟორიტარობის კანდიდატთან გამართულ შეხვედრაზე მისული ქალბატონიც – „შვილის გამო მეშინია, ახალბედაა ჯერ. ხომ ხედავთ, ხალხსაც ეშინია, რა ცოტანი გამოვიდნენ, მეზობელი მეზობელს ვეღარ ენდობა“.

„კარდაკარ გვინდა ვიაროთ და თქვენი გასაჭირი გავიგოთ,“ – უხსნის „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი სოსო ვახტანგაშვილი შეკრებილ მოსახლეობას, რომელთა უმრავლესობაც მოზარდები და შუა ხნის ადამიანები არიან.

შეხვედრაზე მისული ზეღდულეთის მცხოვრები ბორის შიუკაშვილიც უმუშევრობასა და უწყლობაზე ჩივის და სოფლის რწმუნებულსა და გამგებელს უყურადღებობაში ადანაშაულებს – „კახეთში ხალხი სტიქიით დაზარალდა, ჩვენ კიდევ მოსავალი საერთოდ ვერ მოგვყავს“; „არც დასალევი წყალი გვაქვს და არც ნაკვეთების მოსარწყავი, სულ ტყუილი, ტყუილი“, – ამატებს ავთო ბერიანიძე.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მხარდამჭერი წინა ღამეს მომხდარ დაშინების ფაქტს იხსენებს და ამბობს, რომ ორმა გაჭირვებულმა ოჯახმა, რომლებთანაც სოსო ვახტანგაშვილი უნდა მისულიყო, მაჟორიტარობის კანდიდატთან შეხვედრა უცებ გადაიფიქრა – „ჯერ დააშინეს, შემდეგ კი ვიღაცამ დაურეკა, ფრთხილად იყავით, თორემ იმ პატარა დახმარებასაც დაკარგავთ, რაც დანიშნული გაქვთო“.

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, ისევე როგორც, „ნაციონალურ მოძრაობაში“ დარწმუნებულნი არიან, რომ არჩევნების სამართლიანად ჩატარების შემთხვევაში, პოლიტიკურ ოპონენტებს დიდი სხვაობით დაამარცხებენ. ამავეს გვამცნობს „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბში გამოკრული კალენდარი წარწერით „გამარჯვებამდე დარჩა X დღე“.

კოალიციის მაჟორიტარობის კანდიდატი სოსო ვახტანგაშვილი ქვემო სობისის მოსახლეობასაც შეხვდა. შეხვედრა სოფლის პროგრამით გათვალისწინებული თანხით აშენებულ სარიტუალო სახლის კარკასში გაიმართა. კარკასი ბეტონის ექვს ბოძზე დგას და გადახურულიცაა, თუმცა არცერთი გვერდი ამოშენებული არ აქვს და არც აქ ჩატარებული რაიმე რიტუალის „ნაკვალევი“ ეტყობა. დარბაზიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით კუსტარული ონკანია მოწყობილი, მილში წყალი ძლივს მონანწკარებს.

„ისეთი კაცი [ბიძინა ივანიშვილი] გვიდგას სათავეში, რომელიც დაპირებებით კი არა, გაკეთებული საქმეებით მოდის. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ცვლილებების დროა. ქართველი გლეხისთვის გასაღების ბაზარი არ უნდა მოესპოთ. დღეს სოფელში ყველაზე მდიდარი ადამიანი პენსიონერია“, – მიმართა ვახტანგაშვილმა მოსახლეობას.

„ეს რა ხალხია მთავრობაში? დიდებული კაცი რომ გვყავდა, მსოფლიოს რომ აზანზარებდა, სად წაიღეს? ძეგლი ჩამოგვიგდეს, სად წაიღეს სტალინი?“ – კითხულობს შეკრებილთაგან ყველაზე აქტიური.

„შეზღუდულები ვართ ყველანაირად, დაკნინებულია ხალხი, უყურებენ ტელევიზორს, ხედავენ, როგორ იჭერენ ადამიანებს და თვითონაც ეშინიათ“, – ამბობენ ქვემო სობისელები.

ცხინვალის რაიონის მოსაზღვრე სოფელ ფლავში შესასვლელად საგუშაგოს გავლაა საჭირო. გუშაგების თქმით, მიმდებარე სოფლებში სრული სიმშვიდეა. ფლავში რამდენიმე მოსახლეს ვხვდებით, თუმცა, მას შემდეგ, რაც ფრაზა „თბილისიდან ჩამოსული ჟურნალისტი“ ესმით, სხვადასხვა მიზეზით საუბრისაგან ყველა თავს იკავებს.

ფლავიდან გზა ბუფერულ ზონაში მდებარე სოფელ ფლავისმანში გადადის. დასახლების შესასვლელში, სტალინის ბიუსტის გვერდით გაზგასამართ ავზთან ნარდს თამაშობენ. საუბარი არც აქ სურთ, თუმცა მათგან ყველაზე აქტიური ჩამოსული სტუმარია – „აქაური არ ვარ, სამხრეთ ოსეთის სოფლიდან ვარ ჩამოსული და აქეთ რა ხდება, არ ვიცი. თუ საზღვრის იქით გაინტერესებს, თვეში ერთხელ ჩავდივარ ცხინვალში და იქ სრული სიმშვიდეა, მეტი რა გითხრა?!“ – მპასუხობს სტუმარი.

ფლავისმანის მკვიდრი ირმა თედაძე ამბობს, რომ სოფელი ბუფერულ ზონაში მდებარეობს, რაც პოლიტიკური პარტიების მოსახლეობასთან შეხვედრებს ართულებს – „ბევრი პრობლემა გვაქვს, აი, გაიხედეთ, გადმოგვცქერიან ზემოდან. წყალი არ გვაქვს ოჯახებში, საერთო ჭა გვაქვს ამოთხრილი და იმით ვსარგებლობთ. ზამთარში შეშაც რთული საშოვნელია. მთავრობის გვჯერა, საპაკაშვილი ბევრ რამეს გვპირდება, გუშინ „ქრონიკაში“ ყოფილა, ყველა უმუშევარ დიასახლისს, რომელიც პენსიას არ იღებს 80 ლარი დაენიშნებაო. აქ ოპოზიციის მომხრეებიც არიან და ხშირად ვკამათობთ, თუმცა მეც და ძალიან ბევრსაც ამ მთავრობის გვჯერა“.

საპირისპიროს ამტკიცებს ფლავისმანის მცხოვრები გოგი მესტუმრიშვილი, მისი თქმით, სოფელში არც არავინ ჩამოდის, არც არავინ პატრონობთ და ყურადღებასაც არავინ აქცევთ – „უპატრონო სოფელია, ტექნიკა ჩვენ არ გვაქვს, წყალი დაბინძურებულია, ქვემოთ მინდვრისკენ გზაც გაოხრებულია. ამ არჩევნებზეც არაფრის მოლოდინი არ გვაქვს“.

საქართველოს პრეზიდენტი 2012 წლის 6 აგვისტოს სოფელ კარალეთის მოსახლეობას შეხვდა. მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ დიდი ხნის მანძილზე უნდოდა მათთან მისვლა, რადგან მან, ისევე როგორც, მთელმა საქართველომ საკუთარი თვალით იხილა, თუ რა ღირსების მატარებელია აქაური ხალხი – „თქვენ მტერმა წაგართვათ პრაქტიკულად ყველაფერი სიცოცხლის გარდა... ჩვენ აუცილებლად გავათავისუფლებთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხეობებს, ჩვენს სოფლებს და ჩვენს სახლებს დავუბრუნდებით“.

მიხეილ სააკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ადგილობრივები „ვიღაცებს, თქვენ თვითონაც იცით, ვინ არიან ისინი, ვაშლის ხის ძირში მოკალათებული ხალხი ჰგონიხართ, მაგრამ ჩემთვის, ისევე როგორც, მთელი საქართველოსათვის, თქვენ გმირები ხართ“.

„ჩვენ ყველაფერს დავიბრუნებთ და საბოლოო გამარჯვებას მოვიპოვებთ“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის სტუმრობამდე 21 დღით ადრე კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა გორში აქცია გამართა. შეხვედრაზე ივანიშვილი 2008 წლის სამხედრო კონფლიქტსაც შეეხო და განაცხადა: „მე არ მიმაჩნია, რომ ომი საქართველომ დაიწყო. ჩვენ არ გადავსულვართ რუსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ქართული სოფლების დაბომბვის საპასუხოდ სამხედრო მოქმედებები წამოიწყო, თან ისე, რომ შესაძლო შედეგები ვერ გათვალა“.

მანამდე მოხდა კარალეთის ცნობილი ინციდენტი, რომლის დროსაც ერთმანეთს დევნილთა დასახლებისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები დაუპირისპირდნენ.

კარალეთის დევნილთა ჩასახლებაში მცხოვრები ცოტნიაშვილები კარალეთში მომხდარი ქვების სროლის ამბავს და

ფოტო: ბიორგი ძერგვაძისა

კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი სოსო ვახტანგაშვილი სოფელ ზეღდულეთის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს, აგვისტო 2012

პრეზიდენტის სტუმრობასაც იხსენებენ: „ამ ხალხის ნაწილი აქაური იყო, ნაწილი სხვადასხვა ჩასახლებიდან მოყვანილი. საერთო ზონდერ ჯგუფი ჰყავთ, რომლის წევრებიც ადგილობრივი თვიმმართველობის ორგანოებში მუშაობენ. ეს ზონდერ ჯგუფები მთელი დღის მანძილზე ჩასაფრებულები იყვნენ. მოვიდა „ქართული ოცნება“ და გამოლაგდნენ, საჩხუბრად წამოვიდნენ. ლაპარაკით რომ ვერაფერი გაარკვიეს, ქვების სროლა დაიწყეს“.

გია ცოტნიაშვილის მეუღლე კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო კომისიის წევრია. მისი თქმით, სოფელში ამბობენ, რომ ქვების სროლის მონაწილეებს 600-დან 1000 ლარამდე პრემიები მისცეს – „პრეზიდენტის ჩამოსვლისთვის დაახლოებით სამასი ადამიანი მოაგროვეს, ზოგი შავშვებიდან ჰყავდათ მოყვანილი, ნაწილი ბერბუკიდან, ზოგიც ხურვალეთიდან და წეროვანიდან. საწყალი ხალხი 3 საათი მზეზე გააჩერეს. ადგილობრივებიდან მხოლოდ ზონდერ ჯგუფები იყვნენ გასულები. პრეზიდენტთან შეხვედრაზე აქაურებიდან ვინმე თუ მივიდა, უმეტესად ინტერესისთვის“.

გია ცოტნიაშვილი დასახლებაში არსებულ შიშზე საუბრობს. მისი თქმით, დევნილთა მდგომარეობა განსაკუთრებულია, რადგან ზოგს სახლიდან გამოგდების ეშინია, ზოგს შვილის სამსახურიდან გათავისუფლების, ნაწილი ფიქრობს, რომ შემწეობას შეუწყვეტენ, ზოგს კი უბრალოდ სცემენ – „კონფლიქტს ვერიდებით, მეზობლებმაც იციან, ჩვენ ვინ ვართ და ჩვენც ვიცით, ვინ არიან ისინი. ვცდილობთ როგორმე გავიტანოთ ერთმანეთი. ყველა იმას ამბობს, ნეტა მშვიდობიანად გადავიტანოთ არჩევნებიო“.

ლევან გოგიძე საპარლამენტო არჩევნებისაგან კარგ ყოფასა და მშვიდობას ელის – „მიშა უნდა იყოს და უკეთესად იქნება ყველაფერი. არაფერი არ გვიჭირს, ბინები დაგვიდგა, ნაკვეთები მოგვცა, გაინძრეს ადამიანი და ყველაფერს იშოვის. ადრე სად იყო ივანიშვილი?! ერთხელ მოვიდეს და იკითხოს როგორ ვცხოვრობთ, რას ვჭამთ, რას ვსვამთ. „ქართული ოცნებიდან“ რომ იყვნენ მოსულები, მე არც გავსულვარ, ვიღაცებმა გარეკეს, საერთოდ რატომ ჩამოვიდნენ? ჯერ ეკითხათ, სად მოდიოდნენ“.

დასახლების გასასვლელთან საფიხვნოზე რამდენიმე ადამიანი ზის. პრობლემებზე საუბარს მხოლოდ ერთი თანხმდება და გვერდით მსხდომებს ეკითხება – „რა ძირითად პრობლემებზე ვესაუბრო, აბა? სიმინდის მოსავალი და კარტოფილი რომ არ მოვიდა?“ „რას ეკითხებით, დაეხმარებით? თქვენნაირები აქ ბევრნი მოსულან, მაგრამ არავის არაფერი გაუკეთებია“, – ამბობს „ბირჟაზე“ მსხდომთაგან ერთ-ერთი. დამშვიდობებისას მეძახიან – „დახმარება როცა შეგეძლება, მეორედ მაშინ მოდი“.

მომდევნო სოფელი, რომლის მოსახლეობაც 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალდა, ზემო ნიქოზია. სოფელში მისასვლელად საგუშაგოსთან ვჩერდებით, სადაც ზემო ნიქოზში ჩასვლის მიზანს გვეკითხებიან, მონაცემებს ამოწმებენ და გვთხოვენ, რამდენიმე წუთი მოვიცადოთ. საბოლოოდ, გუშაგი სოფლამდე მისასვლელ გზას გვიხსნის და მკაცრად გვაფრთხილებს, რომ გზიდან ხელმარჯვნივ ცხინვალის რაიონი იწყება და იმ მხარეს არ გადავუხვიოთ. აღმართის ავლის შემდეგ, ასფალტის საფარს ბუჩქებითა და ბუნებრივი ეკლებით „გადარაზული“ ლიანდაგი კვეთს, იქვე დგას უფუნქციო, საღებავაცლილი სადისპეტჩერო პოსტიც.

სოფლის ერთ-ერთ ჩიხში პატარა სკამზე ზემო ნიქოზელი ბიჭიკო მჭედლიძე ზის. „ლტოლვილებივით ვცხოვრობთ, წყალი ჩვენთან არ არის, არ გვაძლევენ; ვენახები არ ირწყვება, ვართ ასე უპატრონოდ. ადრე რაღაც პროდუქტები დაგვირიგეს, მას მერე არც არავინ გვკითხულობს, როგორ ვართ, რითი ვცხოვრობთ. წინასაარჩევნოდ კახი კალაძე იყო მოსული, მაგან თავისი თქვა, ხალხმა თავისი უთხრა“, ამბობს მჭედლიძე და იქვე ამატებს – „რა არის, იცი?! მე მიშასი მჯერა, კარგი პიროვნებაა, მაგრამ სახელმწიფოს მართვა სულ სხვა ყოფილა. აი, ახალგაზრდა ქალი მოდის, აბა, ნახე, ჩანთაში 5 ლარი მაინც თუ ექნება; არა აქვს ხალხს ფული. ადრე ცხინვალში გადაგვქონდა პროდუქტი, ახლა ესეც ჩაკეტილია და რა ვქნათ?! შიმშილობს სოფელი! ივანიშვილის საუბარიც მოვისმინე და მომეწონა, ხომ იყვნენ ესენი 8 წელი? ერთი ოთხი წელი სხვასაც აცადონ, იქნებ შეიცვალოს რამე“...

ილუსტრაცია რუსლან ბერიძე

ხეოხიღული საარჩევნო სია

ამომრჩეველთა სიების დაზუსტება გრძელდება და კოდექსის მიხედვით, არჩევნებამდე ორი კვირით ადრე დასრულდება.

ზურაბ ვარდიაშვილი

ერთიანი სია

3 621 251 ამომრჩეველი – ამ რაოდენობრივი მაჩვენებლით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები 1990 წლიდან საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს შორის პირველ ადგილს დაიკავებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, შესაძლოა, კიდევ შეიცვალოს – საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანის პროცესი არჩევნებამდე ორი კვირით ადრე დასრულდება.

რის ხარჯზე გაიზარდა ამომრჩეველთა რაოდენობა? ამ კითხვით „ლიბერალმა“ სიების დაზუსტების კომისიის ხელმძღვანელს მიმართა, მისი თქმით, ერთიანი სიის ზრდა სიაში იმ ამომრჩეველთა ასახვამ გამოიწვია, რომლებსაც მანამდე ხელისუფლებამ ხმის მიცემის უფლება უკანონოდ შეუზღუდა.

მამუკა კაციტაძე ე.წ. „მიწერილ“ ამომრჩევლებთან ერთად იმ პირებსაც გულისხმობს, რომელთაც სხვადასხვა მიზეზით ბინების დაკარგვასთან ერთად მისამართზე რეგისტრირების პრობლემა შეექმნათ, ამ უკანასკნელთა რაოდენობა კი 80 000-ს აღწევს.

საარჩევნო სიების საკითხი ბოლო წლებში ჩატარებული ყველა არჩევნების უმნიშვნელოვანეს პრობლემად მიიჩნეოდა. ამის მოსაგვარებლად პრეზიდენტის N726 ბრძანებულებით, 2011 წლის 15 ნოემბერს შეიქმნა სპეციალური ორგანო, რომელიც ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის სახელითაა ცნობილი.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, „ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის, კარდაკარ გადამოწმების პრინციპით“.

მთელი საქართველოს მასშტაბით კომისიის 12 200 რეგისტრატორი თითოეულ მისამართზე მიდიოდა და ამოწმებდა, იყვნენ თუ არა მისამართზე მცხოვრები პირები საარჩევნო სიაში, იყვნენ თუ არა ჩაწერილნი მისამართზე უცხო პირები, იყო თუ არა დარეგისტრირებული ამომრჩეველი გარდაცვლილი, საზღვარგარეთ გასული, შიდამიგრაციაში მყოფი და ა. შ.

კოდექსის 129\18 მუხლის საფუძველზე შექმნილ კომისიას პოლიტიკური პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე ხელმძღვანელობს. ის „ლიბერალთან“ იმ პრობლემებზე საუბრობს, რომლებმაც კომისიას მუშაობაში ხელი ყველაზე მეტად შეუშალა.

„პირველი პრობლემა რეგლამენტირებული რესურსები გახლდათ, ერთი მხრივ – ფინანსური, მეორე მხრივ კი დროის თვალსაზრისით. ამან საველე სამუშაოებზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა, რადგან ძნელია, ადამიანს სრულფასოვანი მუშაობა მოსთხოვო, როდესაც 110 ან 150 ლარს უხდი“.

კაციტაძე მეორე პრობლემად დაუმისამართებლობას ასახელებს, მისი თქმით, ამ მხრივ, განსაკუთრებული სირთულით რეგიონები გამოირჩეოდნენ.

„მაგალითად, ავიღოთ საგარეჯოს რაიონი. იორმუღალო, სადაც არის 12 უბანი, 4 თემი, 14 000 ამომრჩეველი და პირობითად ვამბობ – 2000 ალი მამედოვი. მისამართი არ არსებობს, ყველას უწერია „იორმუღალო“. და ასეთ პირობებში თითოეული მათგანი უნდა იპოვნო“.

მთელი მუშაობის მანძილზე ამომრჩეველთა ერთიანი სიის დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიას სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მხრიდან კრიტიკა არ აკლდა. კომისიის ხელმძღვანელი მამუკა კაციტაძე ამ კრიტიკას „პოლიტიკურ პოზას“ უწოდებს.

„ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისა თუ მათი სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესებში სახელმწიფო კომისიის პოზიტიური რეზულტატი არ შედის და არც მომავალში შევა. თუმცა, გარკვეული გამოხდომების მიუხედავად, ჩვენი საქმიანობის საფუძვლიანი კრიტიკა არ მსმენია. არავის მოუმართავს ჩვენთვის პრეტენზიით, რომ, ვთქვათ, მეთოდოლოგია, რეგისტრატორების მუშაობა, საზოგადოების ინფორმირებულობა ან ტრენინგი არ გვივარგოდა“.

„მიწერილები“

თუ ამომრჩეველი საარჩევნო სიაში საკუთარი თავის გადამოწმებისას აღმოაჩენს, რომ მის საცხოვრებელ მისამართზე უცნობი ადამიანები არიან დარეგისტრირებულნი, უნდა იცოდეს, რომ საქმე ე.წ. „მიწერილ“ ამომრჩევლებთან აქვს.

ამ კატეგორიის ამომრჩევლებს ხმის მიცემის უფლება აქამდე შეზღუდული ჰქონდათ და „რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებად“ მოიხსენიებდნენ, თუმცა, საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, მათ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა სრულფასოვნად შეეძლებათ.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი თათული თოდუა ამ გადაწყვეტილებას ძალადაკარგული მონაცემისთვის იურიდიული ძალის მინიჭებას უწოდებს და სამართლებრივად გაუმართლებლად მიიჩნევს.

საქმე ისაა, რომ „რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩეველი“ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთვის არ არსებობს, თუმცა იმ მისამართიდან, საიდანაც მოხსნეს, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ. თუ ასეთი ამომრჩეველი რეესტრს მიმართავს, სააგენტო მას ახალ მისამართზე დაარეგისტრირებს, ამ შემთხვევაში ამომრჩეველი ორ საარჩევნო უბანზე აღმოჩნდება – ერთზე ძველი (საიდანაც მოხსნეს და კოდექსი ხმის მიცემის უფლებას უკანონებს) და მეორეზე – ახალი მისამართის მიხედვით, რაც ამომრჩეველს ერთდროულად ორ საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის საშუალებას მისცემს.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, „მიწერილები“ სხვადასხვა მისამართებზე „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თაღლითური ქმედების შედეგად აღმოჩნდნენ, და ასეთ ადამიანთა რიცხვი დაახლოებით 190 000-ია“.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, „მიწერილები“ სხვადასხვა მისამართებზე „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თაღლითური ქმედების შედეგად აღმოჩნდნენ, და ასეთ ადამიანთა რიცხვი დაახლოებით 190 000-ია“.

საარჩევნო კოდექსში ზემოთაღნიშნული ცვლილების შეტანისას „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ „სამართლიანმა არჩევნებმა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ პარლამენტს რეკომენდაციით მიმართეს. არასამთავრობოები მიიჩნევდნენ, რომ პარლამენტს რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემის უფლების ავტომატურად მინიჭება არ უნდა დაეშვა, თუმცა საკანონმდებლო ორგანომ ეს რეკომენდაციები არ გაითვალისწინა.

თათული თოდუა შიშობს, რომ რადგანაც არჩევნებამდე უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება, შესაძლოა, სიების დაზუსტების კომისიამ ასეთ ამომრჩეველთა იდენტიფიცირება ვერ შეძლოს და პრობლემა არჩევნების დღემდე ვერ მოგვარდეს.

საიამ პარლამენტს კომპრომისული ვარიანტიც შესთავაზა. იურისტების აზრით, რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებს მაჟორიტარი კანდიდატებისთვის მაინც არ უნდა მიეცათ ხმა. ახალგაზრდა იურისტების ამ წინადადების წარდგენისას 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების გამოცდილებას ეყრდნობოდნენ: „მაშინ ამ ამომრჩევლებს ცესკომ ხმის მიცემის უფლება მისცა, თუმცა ეს უფლება კანონში არ ასახულა. მიუხედავად იმისა, რომ ცესკოს მაშინდელ გადაწყვეტილებას დიდი კრიტიკა მოჰყვა, თავისი არსით უფრო რბილი და მისაღები იყო. რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებს ხმის მიცემა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების პროპორციული სიისთვის შეეძლოთ, ამასთან სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ მოქალაქეთა რეგისტრაცია დროებით შეაჩერა, რაც გაორების პრობლემას ხსნიდა. თანაც ამ ადამიანებს არჩევნებში მონაწილეობა ავტომატურად კი არ შეეძლოთ, არამედ, მხოლოდ მაშინ, როდესაც საარჩევნო კომისიას სპეციალური განცხადებით მიმართავდნენ“, – ამბობს თათული თოდუა „ლიბერალთან“ საუბარში.

დამოუკიდებელი „კარდაკარი“

დამოუკიდებელ „კარდაკარს“ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ და საზოგადოებრივი მოძრაობა „ამომრჩეველთა ლიგა“ ატარებდნენ. „ამომრჩეველთა ლიგის“ ხელმძღვანელი კოკა გუნცაძე მიიჩნევს, რომ მამუკა კაციტაძეს არგუმენტები არ გააჩნია და გაცვეთილ ფრაზებს მიმართავს:

„ეს ძალიან ნაცნობი ტექსტია და ხელისუფლების ბოლოდროინდელ პრაქტიკაში ხშირად გვხვდება. შემთხვევითი არაა, რომ სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის ხელმძღვანელი ამ ფრაზებს იყენებს“, – ამბობს გუნცაძე „ლიბერალთან“ საუბარში.

მისი თქმით, ამომრჩეველთა რაოდენობის ამსახველი რიცხვი სინამდვილეს არ შეესაბამება და საქართველოში დღესდღეობით ორ მილიონ ნახევარზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება. გუნცაძე უცხოეთში გამგზავრებული ადამიანების რიცხვსაც არარეალურს უწოდებს: „ეს არის მეოთხედი იმ ადამიანებისა, რომლებიც ემიგრირებულნი არიან საქართველოდან“.

„ამომრჩეველთა ლიგა“ თბილისსა და ზუგდიდში დამოუკიდებელ „კარდაკარს“ ატარებდა და შედეგებს პერიოდულად აქვეყნებდა: „უცხოეთში გამგზავრებულები, დაუდგენელი პირები, გარდაცვლილები, ისინი, რომლებიც ჯერ სიაში არ არიან – ასეთების რიცხვი ამომრჩეველთა რაოდენობის 21%-ია. და ეს 21% ფალსიფიკაციის საფუძველია. რას ჩაასწორებს კომისია, ეს ჯერ არ ვიცით“, – აღნიშნავს გუნცაძე.

„ქართული ოცნების“ „კარდაკარის“ პროექტის ხელმძღვანელის, ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, მათი წარმომადგენლები 73 არსებული ოლქიდან 70-ში იმყოფებოდნენ.

მათ 17 აგვისტოს ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიაში საკუთარი „კარდაკარის“ მონაცემები შეიტანეს. მონაცემები შავი სამუშაო მასალაა და ძირითადი ნაწილი მოქალაქეების მიერ შევსებული განცხადებებია.

„კომისიის კარი ყოველთვის ღია იყო სხვადასხვა, მათ შორის, პარტიული ტიპის „კარდაკარისათვის“. თუკი ჩვენ მიერ შესწორებული სიისგან განსხვავებულ მონაცემებს აღმოვაჩენთ, ერთიან სიაში მათ აუცილებლად ავსახავთ. პირველ სექტემბრამდე კომისია იმსჯელებს, როგორ მოხდეს გადამოწმება, რაც მონაცემთა ბაზასთან შედარებას გულისხმობს. 15 სექტემბრამდე კი კომისია არა მხოლოდ პარტიული „კარდაკარების“ მონაცემებზე, არამედ თითოეული მოქალაქის განცხადებაზე მოახდენს რეაგირებას“, – განაცხადა კომისიის მდივანმა ბადრი ნიაურმა.

მამუკა კაციტაძე ორივე დამოუკიდებელი „კარდაკარის“ შედეგებს ეჭვით უყურებს:

„ქართული ოცნების“ „კარდაკარი“ პოლიტიკური კოალიციის ამოსაცნობი ნიშნებით მიმდინარეობდა, რაც, როგორც წესი, პრობლემებს ქმნის. ბევრი ადამიანი მათ უბრალოდ კარს არ გაუღებდა. მიუღებელია მათი გამოკითხვის მეთოდოლოგიაც, მაგალითად, რეგისტრატორები კითხულობდნენ: – „იღებდით თუ არა მონაწილეობას 2008 წლის არჩევნებში და ვის მიეცით ხმა?“ – ისინი თავის მხარდამჭერთა სიას ადგენდნენ“.

კაციტაძე „ამომრჩეველთა ლიგის“ მიერ დადებულ მონაცემებსაც არ ენდობა – „შეიძლება, რომ ორ ქალაქში, ზუგდიდსა და თბილისში გამოკითხვა ჩაატარო და ამომრჩეველთა სიის სრულყოფილებაზე გქონდეს პრეტენზია? ეს გამოკითხვა შესაძლოა სოციოლოგებს გამოადგეთ, ზოგადი ტენდენცია რომ გაარკვიონ. ამხელა კომისიის ხელმძღვანელი ტენდენციის დასადგენად არ ვარ. ზუსტი მონაცემები მჭირდება“.

მისი განცხადებით, კომისია პირველ სექტემბრამდე სიის სიზუსტეს კიდევ გადაამოწმებს. „მაგრამ ამის საფუძველი უნდა იყოს მოქალაქის განცხადება და არა რომელიმე გაურკვეველი ორგანიზაციის მომართვა“.

დღეისთვის არსებული მონაცემებით, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიამ „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი განცხადებების 45% გადაამოწმა, საიდანაც 18%-ში დაზუსტებები შევიდა. „რა შედეგს მოგვცემს დარჩენილი 55%-ის გადამოწმება, ამას კვირის ბოლომდე გავიგებთ“, – ამბობს კაციტაძე.

"ჯარჯარის" შედეგები

კომისიის მონაცემების მიხედვით, 2.160.608 ამომრჩევლის შემთხვევაში მონაცემები ზუსტია, დაზუსტებები შევიდა 39.426 ამომრჩევლის პირად მონაცემში. გარდაცვლილია – 25.949, საზღვარგარეთ გასულია – 291.471, რეგისტრაციის მისამართიდან მოხსნილია – 132.156, შიდა მიგრაციაშია – 649.839, ხოლო კონტაქტი ვერ დამყარდა – 183.621 ამომრჩეველთან.

კომისიის ფინანსები

21 წევრისგან შემდგარი კომისიის საქმიანობა მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა. შრომის ანაზღაურებას 935 000.00 ლარი დასჭირდა, ოფისის ხარჯი 105 000.00 ლარი დაჯდა. პროექტ „კარდაკარის“ რეგისტრატორთა ანაზღაურების თანხამ 2 112 000.00 ლარი შეადგინა. ტექნიკურ აღჭურვილობას და მომსახურებას 147 000.00 ლარი მოხმარდა. 165 000.00 გახდა საჭირო სატრანსპორტო მომსახურების დასაფარად. რეკლამაში 690 000.00 ლარი დაიხარჯა, კადრების მომზადებასა და ტრენინგებში 58 000.00 ლარი. მივლინებისთვის საჭირო თანხამ 4 000.00 ლარი შეადგინა. წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის 40 000.00 ლარი გამოიყო. 2012 წლის 31 ივლისის ჩათვლით სულ 4,256,000.00 ლარი დაიხარჯა.

მედია

"ყველა ბილბოჰდი დაკავებულია"

წინასაარჩევნოდ გარერეკლამის განთავსება კერძო კომპანიასა და პოლიტიკურ სუბიექტს შორის მოლაპარაკების საგანია. მასთან დაკავშირებული რაიმე წესი, ან პირობა, რითაც განთავსების დროს თანასწორობის პრინციპის დაცვა მოხდება, კანონით დადგენილი არ არის.

თათია ხალიანი

სამარშრუტო ტაქსებზე, ყვითელ ავტობუსებზე, მეტროში, ბილბორდებზე, განსაკუთრებით ცენტრალურ უბნებში თვალში არჩევნებში მონაწილე მხოლოდ ერთი პარტიის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" – რეკლამა გვხვდება. სხვა პოლიტიკური პარტიების რეკლამებს კი ქუჩებში თითქმის ვერსად ნახავთ.

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსების წესი და სარეკლამო ტარიფები „საარჩევნო კოდექსით" რეგულირდება. საარჩევნო კანონმდებლობაში გარერეკლამასთან დაკავშირებული ჩანაწერი არ არსებობს. წინასაარჩევნოდ, გარერეკლამის განთავსება კერძო კომპანიასა და პოლიტიკურ სუბიექტს შორის მოლაპარაკების საგანია და მასთან დაკავშირებული რაიმე წესი, ან პირობა, რითაც განთავსების დროს თანასწორობის პრინციპის დაცვა მოხდება, კანონით დადგენილი არ არის.

ქალაქში პოლიტიკური რეკლამების განთავსებას კერძო კომპანია „აუთდორ.ჯი", საზოგადოებრივ ტრანსპორტზე კი სარეკლამო კომპანია „ელეფანტი" უზრუნველყოფს.

კომპანია „აუთდორ.ჯი" 2008 წელს დაარსდა. ის ფლობს უფლებას რეკლამები განათავსოს ბილბორდებზე, მონიტორებზე, თბილისის ლიფტებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე (ავტობუსი, მეტრო) და ქალაქში არსებულ საფეხმავლო ხიდებზე.

2011 წლის დეკემბერში არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" ქვეყნის სარეკლამო ბაზრის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. ანგარიშში გარერეკლამების ბაზარიც მოხვდა.

კვლევის მიხედვით, გარერეკლამების ბაზარზე მთავარი მოთამაშე „ალმა+" იყო. 2009 წელს რეკლამების დიდი ნაწილი კომპანია „აუთდორ.ჯის" ხელში გადავიდა. ამავე წელს თბილისის მერიამ აუქციონის წესით ორი ნებართვა გასცა, რომელიც გარერეკლამების 12 წლით განთავსებას ითვალისწინებს.

მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე აბრები „აუთდორ.ჯის" გადაეცა, მარცხენა სანაპიროზე კი „მაგი სტილ მედიამ" მიიღო. 2011 წლის დასაწყისში, „მაგი სტილ მედია" კომპანია „სმოდ ედვერთაისინგმა" ჩაანაცვლა. მისი ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში ალექსანდრე გოგოხია, რომელიც 2008 წელს „აუთდორ.ჯის" მთავარ ფინანსურ დირექტორად მუშაობდა.

> **„ყველა ბილბორდი დაკავებული იყო. მათ ჰქონდათ მზა პასუხი და გვეუბნებოდნენ,** რომ შეკვეთები უკვე მიიღეს და ჩვენთვის ადგილი არ ჰქონდათ", – ამბობს მანანა ნაჭყებია.

როგორც კვლევაშია ნათქვამი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" თბილისის მერიაში განუცხადეს, რომ გარერეკლამებზე გაცემული ყველა ნებართვის ვადა 2010 წელს ამოიწურა და ბაზარზე დომინანტი პოზიცია სწორედ ამ ორმა კომპანიამ – „აუთდორ.ჯი"-მ და „სმოდმა" – დაიკავა.

არჩევნებში მონაწილე სამი პოლიტიკური პარტია: „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა", „ქართული ოცნება", „ახალი მემარჯვენეები" ბილბორდებსა და ყვითელ სამარშრუტო ავტობუსებზე რეკლამის განთავსებას არ გეგმავს.

„ქართული ოცნების" პრესსამსახურის უფროსის ნონა ყანდიაშვილის განცხადებით, „აუთდორ.ჯი"-მ კოალიციას მათ სულ რვა თავისუფალი ადგილის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. „მხოლოდ ერთი-ორი იყო ცენტრალურ ადგილას, დანარჩენი კი – გარეუბნებში", – გვიპასუხეს კოალიციაში. ბილბორდებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე რეკლამის განთავსებაზე უარს კოალიცია ფინანსების არქონის გამო ამბობს.

პარტია „ახალი მემარჯვენეები", გარერეკლამაზე უარს, მაღალი ტარიფების გამო ამბობს. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა მანანა ნაჭყებიამ 2010 წლის არჩევნები გაიხსენა, მაშინ პარტიამ ბილბორდებზე რეკლამის განთავსების მოთხოვნაზე კომპანიისგან უარი მიიღო.

„ყველა ბილბორდი დაკავებული იყო. მათ ჰქონდათ მზა პასუხი და გვეუბნებოდნენ, რომ შეკვეთები უკვე მიიღეს და ჩვენთვის ადგილი არ ჰქონდათ", – ამბობს მანანა ნაჭყებია.

ნაჭყებიას თქმით, გარერეკლამის განთავსების დროს თანაბრობის პრინციპი დაცული არ არის და მიაჩნია, რომ საკითხი კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პრესსპიკერის განმარტებით, სარეკლამო ბილბორდებზე რეკლამის განთავსება ყველა პოლიტიკურ პარტიას შეუძლია და მისთვის არცერთი კონკრეტული შემთხვევა არ არის ცნობილი, როცა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას სარეკლამო ბანერის განთავსებაზე უარი ეთქვა.

„ქალაქში არაერთი ცარიელი ბილბორ-

ფოტო: გიორგი ვეფხვა

დია, არ მესმის, რატომ არ არის მათზე რომელიმე პოლიტიკური პარტიის რეკლამა განთავსებული“, – ამბობს ჩიორა თაქთაქიშვილი. ის კოალიცია „ქართული ოცნებისთვის“ ყველა ანგარიშის დაყადაღების ფაქტსაც უარყოფს და ამბობს, რომ „ქართულ ოცნებას“ რეკლამის განთავსებისთვის საჭირო ფინანსები შემოწირულობის სახით აქვს მიღებული.

ჩიორა თაქთაქიშვილის თქმით, საორგანიზაციო პრობლემების თავიდან აცილების მიზნით შესაბამის კომპანიებს ნაციონალურმა მოძრაობამ „დროზე ადრე მიმართა“.

მაისში, კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში, არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებმა საქართველოს პარლამენტს „საარჩევნო კოდექსში“ შესატანი საკანონმდებლო წინადადებები წარუდგინეს.

ერთ-ერთი საკითხი წინაასაარჩევნო რეკლამას, კერძოდ, პოლიტიკური სუბიექტებისთვის გარერეკლამის თანაბარ ხელმისაწვდომობას ეხებოდა. ინიციატივაში ყველა ის მექანიზმი იყო გაწერილი, რომელიც ერთი პოლიტიკური სუბიექტის მიერ წინასაარჩევნოდ გარერეკლამის მონოპოლიზებას გამორიცხავდა. საკანონმდებლო წინადადებაში რეკლამაზე ტარიფების დადგენის წესიც იყო განსაზღვრული.

„პოლიტიკური რეკლამის ტარიფები წინასაარჩევნო პერიოდში საგრძნობლად და შეუსაბამოდ მატულობდა, რის გამოც აუცილებელია დარეგულირდეს, როგორც სატელევიზიო, ისე გარერეკლამის განთავსების წესები, მათი განაწილების თანასწორობის პრინციპი და ტარიფების სტაბილურობა“ – აღნიშნულია საკანონმდებლო წინადადებაში.

საიას იურისტის ირმა პავლიაშვილის თქმით, კერძო კომპანიებს სარეკლამო აბრების და თავისუფალი ბილბორდების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის უნდა მიეწოდებინათ. ცესკო კი თანაბრობის პრინციპის დაცვით გარერეკლამას არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურ პარტიას შესთავაზებდა.

„ეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა გაეკეთებინა და ჩვენი ინიციატივაც ამას ეხებოდა“, – გვითხრა ირმა პავლიაშვილმა.

ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში რამდენიმე სამუშაო შეხვედრაც გაიმართა. პარლამენტმა „ეს შენ გეხებას“ ინიციატივა გარერეკლამების რეგულირებასთან დაკავშირებით არ გაითვალისწინა. საკანონმდებლო ინიციატივების განხილვაში ჩიორა თაქთაქიშვილიც მონაწილეობდა, რომელიც დღეს ამბობს, რომ არასამთავრობოებისთვის პრიორიტეტული „მასთქერი“ იყო: „ჩვენ ვაპირებდით ამ საკითხის განხილვას. მაგრამ რამდენადაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა ჩათვალეს, რომ ეს საკითხები მეორეხარისხოვანი იყო და კონცენტრაცია უნდა გაკეთებულიყო „მასთქერიზე“, ბუნებრივია, საქართველოს პარლამენტმა მთელი ძალისხმევა ამ საკითხის მოგვარებას დაუთმო“.

წინასაარჩევნო პერიოდში გარერეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები ისევ რეგულაციის მიღმა რჩება. უცნობია გარერეკლამისთვის გადახდილი ხარჯების მოცულობაც.

რა დაუჯდა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ გარერეკლამის განთავსება? რამდენ ბილბორდზეა მმართველი პარტიის რეკლამა განთავსებული და არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკურ პარტიებმა თუ მიმართეს რეკლამის განთავსებაზე პასუხისმგებელ კომპანიებს? – ამ კითხვებით „ლიბერალმა“ ორივე სარეკლამო კომპანიას მიმართა. როგორც აღმოჩნდა „აუთდორ. ჯი“-ს ყველა თანამშრომელი შვებულებაშია და ერთი თვის შემდეგ დაკავშირება გვთხოვეს. სარეკლამო კომპანია „ელეფანტის“ მონიტორინგის სამსახურის უფროსმა კი ინფორმაციას კონფიდენციალური უწოდა და კითხვებზე არ გვიპასუხა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრესსპიკერის ჩიორა თაქთაქიშვილის განმარტებით, რეკლამაში გადახდილი ფინანსები საჯარო კანონით დადგენილ ვადებში გახდება. რადგან „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონი არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურ პარტიას არჩევნების დანიშვნის დღიდან სამ კვირაში ერთხელ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ფინანსური ანგარიშის წარდგენას ავალდებულებს.

საარჩევნო კამპანია 1 აგვისტოს გამოცხადდა, მას შემდეგ ოთხი კვირა გავიდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე კი პარტიების წინასაარჩევნო ფინანსური ანგარიშები ამ დრომდე არ არის განთავსებული.

"უნივერსიტეტი ხარისხიან აზრს უნდა ემსახურებოდეს"

ინტერვიუ პროფესორ

მარინე ჩიტაშვილთან

ნიშნავენ თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაღალ აკადემიურ თანამდებობებზე პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. თუ თქვენ აკადემიურ პერსონალს გულისხმობთ, აკადემიური პერსონალი გადის კონკურსს და შესაბამისად, ამ კონკურსის კვალობაზე ირჩევიან. სხვა თემაა, როდესაც შერჩევის დროს აკადემიური თანამდებობის დაკავების საშუალებას უფრო ღირსეულს არ მისცემენ, მაგრამ პოლიტიკური ლოიალობა ამასთან კავშირში არ არის. უნივერსიტეტის პროფესურას თუ გადავხედავთ, ვერ ვიტყვით, რომ იქ პოლიტიკური ლოალობის ნიშნითაა დანიშნული ხალხი.

თუმცა, შერჩევის კრიტერიუმები გამართული არ არის. როდესაც ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კრიტერიუმად სწავლების გამოცდილებას ითხოვენ, ეს უნივერსიტეტში ახალი კადრების შემოსვლას უშლის ხელს. იშვიათია, რომ სხვა უნივერსიტეტიდან კვალიფიცირებული კადრები მოვიდნენ, ისევ ძველი კადრები რჩებიან ახალ თანამდებობებზე.

დებულების მიხედვით, საკონკურსო კომისიის ექსპერტულ დასკვნებს გადაწყვეტილების მიღებაზე არანაირი გავლენა არ აქვს. ისინი აძლევენ რეკომენდაციებს და მერე საბჭო ან ამტკიცებს ან – არა. კითხვაზე უნდა გადაიხედოს თუ არა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შერჩევის კრიტერიუმები, ჩემი პასუხია ერთმნიშვნელოვნად – დიახ. მაგრამ პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახებ არ მსმენია.

შერჩევის კრიტერიუმები ადეკვატური არ არის?

დიახ, სწორედ ამაზე ვსაუბრობდი. კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც პროფესურას არჩევენ, არ არის ადეკვატური იმისათვის, რომ მაღალი კვალიფიკაციის კადრები მოიზიდო და შეინარჩუნო.

ფიქრობენ თუ არა უნივერსიტეტში შერჩევის კრიტერიუმების გადახედვაზე?

რამდენჯერმე დავაყენე კრიტერიუმების გადამუშავების საკითხი, მაგრამ სერიოზულად არ განხილულა. ფაკულტეტების მიხედვით არ არის გათვალისწინებული სპეციფიკა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თვალსაზრისით ყველაზე უფრო ძლიერად საბუნებისმეტყველო ფაკულტეტია წარმოდგენილი. ე.წ. იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში ყველაზე მეტი პუბლიკაციები და საერთაშორისო გრანტები მათ აქვთ. როდესაც იწერება, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატია, ეს აბსოლუტურად არარელევენტურია ჰუმანიტარებისათვის, სოციალური მეცნიერებებისათვის, იურისტებისთვის ეკონომისტებისა და ბიზნესის ფაკულტეტისათვის. ეს არ ნიშნავს, რომ სხვაგან სტანდარტი დავწიოთ. სოციალურ მეცნიერებებში ყველაზე მაღალი იმპაქტფაქტორი გულისხმობს 1.8-ს, მაშინ როდესაც საბუნებისმეტყველოებისათვის – 6.0-ია. თუ მოთხოვნაა, რომ სოციალური მეც-

ფოტო: ლევან ნარიკაშვილი

ნიერების წარმომადგენლის სტატია მაინცდამაინც 6.0. კოეფიციენტის მქონე ჟურნალში დაიბეჭდოს, ასეთი ჟურნალი უბრალოდ არ გვაქვს.

ესტონეთში ყველა დარგში არჩეულია დაახლოებით 100-დან 150-მდე ჟურნალი და აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში ერთ-ერთი კრიტერიუმი ბოლო 5 წლის განმავლობაში ამ ჩამოთვლილი ჟურნალებიდან ერთ-ერთში მაინც გამოქვეყნებული სტატიის ქონაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა დარგისათვის შერჩევის კრიტერიუმი ადეკვატურია. ჩვენთან არსად არაა ჩამოწერილი ის ჟურნალები, სადაც კარგი იქნებოდა, რომ სტატია გამოქვეყნებულიყო. ესტონეთში ეს კრიტერიუმები აკრედიტაციის ცენტრმა აკადემიურ პერსონალთან ერთად შექმნა.

მეორეცაა, ჟურნალში სტატია რომ გამოვაქვეყნო, სამეცნიერო კვლევისთვის დრო უნდა მქონდეს. უნივერსიტეტის ანაზღაურების სისტემა

მიბმულია საათობრივ დატვირთვაზე, რომლის კვალობაზეც სამეცნიერო საქმიანობისათვის დრო, უბრალოდ, აღარ გრჩებათ.

რა როლი აქვს უნივერსიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში აკადემიურ პერსონალს? ვინ მართავს უნივერსიტეტში პროცესებს?

გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იღებს და არა ლექტორებისა და სტუდენტების ჯგუფი. ადმინისტრაციას ჰგონია, რომ მან რაღაც უნიფორმა უნდა შექმნას, რომელსაც ყველას და ყველაფერს მოარგებს. აკადემიური პერსონალი კი ვალდებულია, დაემორჩილოს. თუ არადა – ეუბნებიან, თავისუფალი არიან სამსახურიდანო. 3-წლიანი კონტრაქტები, რომელიც ახლა 6-მდე გაიზარდა, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სწავლებასა და კვლევაში ადამიანი თავისუფლად იყოს ჩართული. ასეთ შემთხვევაში პერსონალი დამოკიდებულია იმაზე, განუახლებენ თუ არა კონტრაქტს. აკადემიური პერსონალი ჩაყენებულია ისეთ სიტუაციაში, რომ მიყვეს ფორმალურ მოთხოვნებს და არ იზრუნოს ახალი ცოდნის გენერირებაზე.

რამდენად აქვს ფინანსურად უნივერსიტეტს იმის საშუალება, რომ დამოუკიდებელი იყოს?

უნივერსიტეტს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ დამოუკიდებელი იყოს. მის განკარგულებაში არსებული ფინანსები უკეთესად რომ გადაალაგოს, თავისუფლად შეეძლება კარგი სასტარტო პირობებით დაახლოებით 5 წელიწადში კვლევისა და სწავლების პროცესი უზრუნველყოს.

მთავარი არგუმენტი უნივერსიტეტის სისუსტისა და კვლევითი პროცესების არარსებობის გასამართლებლად ფინანსების სიმწირეა. თუ ფინანსური პრობლემა არ დგას, მაშინ რატომ ვერ ხერხდება სიტუაციის გამოსწორება?

ფინანსების არქონა ელემენტარული ტყუილია. ძალიან მარტივ მაგალითს მოვიყვან. კანონში მოცემული დეცენტრალიზაციის პრინციპი ფაკულტეტების მიხედვით არაა განხორციელებული. ეს ნიშნავს იმას, რომ ფაკულტეტს უნდა ჰქონდეს თავისი ბიუჯეტი და თვითონ უნდა განკარგავდეს საკუთარ ბიუჯეტს. ჩვენ გვაქვს ცენტრალიზებული ბიუჯეტი, პირდაპირ გეუბნებიან, რაში რამდენი დაიხარჯება.

ფული უნივერსიტეტში სტუდენტებისა და სამეცნიერო გრანტებიდან შემოდის. სამეცნიერო გრანტებს თავი დავანებოთ, სტუდენტების ფული ავიღოთ. დაფარული უნდა იყოს ყველანაირი ხარჯი და პარალელურად, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ პირობები სწავლისა და სამეცნიერო კვლევის. არსებობს ცენტრალური ადმინისტრაცია, სადაც უნდა წავიდეს ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი, ჩვენ შემთხვევაში ეს დაახლოებით 50 პროცენტამდე იყო. ანუ ცენტრალურ ადმინისტრაციას ფაკულტეტის გენერირებული ბიუჯეტიდან თითქმის ნახევარი თავისთვის მიჰქონდა. თუ მოწესრიგებული მექნება რეგისტრაციის, განაწილების, ბიბლიოთეკის და ა.შ ხარჯები, მართვა არაა პრობლემა. რა მოსდის დანარჩენ 50%, რაც ფაკულტეტს დარჩა?

დოქტორანტებს, რომლებიც თავისი შემოსავლით არიან (მათი რაოდენობა დავუშვათ 100-ია), ბიუჯეტში შემოაქვთ 50 000 ლარი, მათ გრაფაში 50 000-ის ნაცვლად ხომ უნდა ეწეროს 25 000? სინამდვილეში წერია პირობითად 10 000, სად მიდის დანარჩენი 15 000? მეორეც, ამ 25 000 ლარიდან ან კვლევა უნდა წაახალისო, ან ხელი შეუწყო სწავლებას. რაში მიდის ამდენი ფული? 2005 წლიდან არანაირი ანგარიში დღევანდელ დღემდე არ მინახავს.

უნივერსიტეტში ფინანსების ხარჯვა გამჭვირვალე არ არის?

ნამდვილად, გამჭვირვალე არაა ხარჯვა. მაგალითად, ძალიან ბევრი დადის მივლინებაში. ვინ დადის მივლინებაში, რატომ დადის, რა პრინციპით ირჩევიან და რამდენი იხარჯება? ეს არაა ჩვენთვის ცნობილი.

ოფიციალურად პროფესორის ხელფასი 920 ლარია, დანამატით 1150. თუ ორჯერ მეტად შეუძლიათ მუშაობა, მათი შემოსავალი ორმაგდება. ვინ არიან ეს ადამიანები, რა კრიტერიუმებით აირჩნენ? არ ვამბობ, რომ ეჭვი შემაქვს მათში, მაგრამ მაინტერესებს, ვინ აირჩია, სტუდენტებს მოსწონდათ თუ არა, როგორც მასწავლებლები? თუ მათ ამდენს უხდი, მაშინ მეორეს რატომ უხდი ნაკლებს? გარდა ამისა, ჩემთვის სრულიად გაუგებარია კიდევ ერთი პრინციპი: თუ ახლა ვინმეს მოუნდება გადავიდეს ორმაგ სასწავლო პროცესზე, აღმოჩნდება, რომ ადგილები შევსებულია. აქაც ჩნდება კითხვები, რა კონკურსის საფუძველზე შეივსო ადგილები? ჩემი აზრით, აქ საუბარი არაა პოლიტიკურ ლოიალობაზე, არამედ, მთავარი ისაა, რომ უნივერსიტეტი უნდა ემსახურებოდეს კრიტიკულ აზრს და თავისუფალი აზროვნების ხელშეწყობას უნდა ცდილობდეს. პროფესორები, ვინც თვალს ხუჭავენ სხვის დისკრიმინაციაზე, ძალიან საეჭვოა, კრიტიკული აზროვნების მქონენი იყვნენ.

როდესაც უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების რაღაც ნაწილს, ვგულისხმობ თუნდაც აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებს, აკრედიტაციის ცენტრი წერს, აყენებს თუ არა ეს უნივერსიტეტის ავტონომიურობას ეჭვქვეშ?

სადაა უნივერსიტეტის ავტონომიურობა? ბოლონიის პროცესის პრინციპი უნივერსიტეტის ავტონომიურობის შესახებ საქართველოში რეალურად არსად მუშაობს. 1921 წლიდან უნივერსიტეტს აღარ უფუნქციონირებია სრულად.იმ სამი წლის ნამუშევარმა დღემდე მოიტანა უნივერსიტეტი. ერთადერთი, რაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ხდება [კვლევითი სამუშაო], ესაა უნივერსიტეტის იდეა. ვებგვერდზე რომ შეხვიდეთ, ნახავთ, რამდენი ადამიანია წასული საზღვარგარეთ და რა თანამდებობებზე

არიან, ისინი ყველანი უნივერსიტეტელები არიან.

ჩვენი ხელისუფლების დაახლოებით 80% თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. დიდი ბრიტანეთის მთავრობაში 65% ოქსფორდის ბაკალავრიატდამთავრებულია, როცა ხელისუფლება უნივერსიტეტში მოდის და მოაქვს ქვეყნის განვითარების იდეები, ოქსფორდის პროფესურა სვამს კრიტიკულ შეკითხვებს, ეჭვქვეშ აყენებს მათი გეგმების ადეკვატურობას. არ უნდა იყოს ისე, რომ ხელების ქნევა დაიწყოს მთავრობის წარმომადგენელმა კრიტიკული კითხვების მოსმენისას, ჩვენ ყველანი ქვეყნის განვითარებაზე უნდა ვფიქრობდეთ.

უნივერსიტეტმა ახალი სტატუსი მიიღო, კერძო სამართლის იურიდიულ პირად იქცა, რაც მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. არცერთ უნივერსიტეტს, რომელიც ახალი სტატუსი მიიღო, წესდების დოკუმენტი შესაბამისად შეცვლილი არ აქვს. რა აზრი აქვს ამას, თუ უფრო მეტს არ დავითვლით, უფრო მოქნილს არ გავხდით. არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ შესყიდვები მარტივი გახდა.

ის ფული, რაც უნივერსიტეტში მოდის, ჩვენი ჯიბიდანაა და ანგარიშვალდებულები არიან გვითხრან, სად ხარჯავენ ამ ყველაფერს. იმას არ ვამბობ, რომ თვითონ იდებენ ჯიბეში ფულს, მაგრამ იქნებ არასწორად იხარჯება?

ადმინისტრაციის მაღალ თანამდებობებზე რა პრინციპით ინიშნებიან?

ადმინისტრაციის პოლიტიკურ ლოიალობას თუ შევეხებით, დიახ, ერთმნიშვნელოვნად ამ ნიშნით ინიშნებიან.

განათლების კანონის პირველი ვარიანტის მიხედვით, რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ორი წლით პრეზიდენტის ბრძანებით ინიშნებოდა. დროებით არჩეულ რექტორს პირველ ჯერზე არჩევნებში მონაწილეობა ვერ უნდა მიეღო, ეს კანონის პირველ ვარიანტში ეწერა. მაგრამ ეს მუხლი უცებ ამოვარდა. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ ყველა პრეზიდენტის დანიშნული დროებითი რექტორი შემდეგ არჩეული რექტორი გახდა. პოლიტიკური ლოიალობის პირველი ნიშანი! როცა ამ რექტორებმა 2 ციკლი ჩაამთავრეს, შეიცვალა კანონი და თურმე რექტორს სულ აღარ სჭირდება აკადემიური გამოცდილება. ამ რექტორების ნაცვლად

როცა ხელისუფლება უნივერსიტეტში მოდის და მოაქვს ქვეყნის განვითარების იდეები, ოქსფორდის პროფესურა სვამს კრიტიკულ შეკითხვებს, ეჭვქვეშ აყენებს მათი გეგმების ადეკვატურობას. არ უნდა იყოს ისე, რომ ხელების ქნევა დაიწყოს მთავრობის წარმომადგენელმა კრიტიკული კითხვების მოსმენისას, ჩვენ ყველანი ქვეყნის განვითარებაზე უნდა ვფიქრობდეთ.

მოვიდნენ სხვები, ისევ დაინიშნა პოლიტიკური ლოიალურობის ნიშნით შერჩეული ხალხი. ამიტომ, თუ თქვენ მეკითხებით, ინიშნებიან თუ არა პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით ადმინისტრაციაში ადამიანები, პასუხი ერთმნიშვნელოვნად დადებითია. არცერთი შემთხვევა არ ვიცი, რომ ხელისუფლების მიმართ არალოიალურად განწყობილი რექტორი არსებობს საქართველოში.

როგორ შეაფასებთ ალექსანდრე კვიტაშვილის რექტორობის ორ წელს? აქვს თუ არა მას უნივერსიტეტის განვითარების განსაზღვრული სამოქმედო კონცეფცია?

კვიტაშვილს, როგორც პიროვნებას დადებითად შევაფასებდი, ადეკვატური და უცხოელებთან და თანამშრომლებთან საკმაოდ კონტაქტურია. შეუძლია კარგი კონტაქტი დაამყაროს სტუდენტებთან და შეინარჩუნოს უნივერსიტეტი, როგორც „წყნარი“ ადგილი – ეს მას კარგად გამოსდის. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არანაირი პრინციპული ცვლილება არ მომხდარა. რაიმე განსაკუთრებული სტარეგიული გეგმა, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტი უნდა განვითარდეს, მე არ მინახავს. კარგია, რომ კონტაქტები გაიზარდა, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებაც განახლდა უნივერსიტეტში, მაგრამ პროფესურის მიმართ დამოკიდებულება არ შეცვლილა.

შეიმჩნევა თუ არა უნივერსიტეტის გაძლიერებისა და გაუმჯობესების ნიშნები?

ნამდვილად ვერ გეტყვით, რომ ამისაკენ მივდივართ. სრულიად შესაცვლელია უმაღლესი განათლების კანონი. იმდენი ცვლილებაა შეტანილი, რომ აღარ იკითხება. ამის პარალელურად ერთმნიშვნელოვნად შესაცვლელია აკრედიტაციის სამსახურის დებულება. რამდენიმე აკრედიტაციის სამსახური უნდა იყოს და სახელმწიფოს კრიტერიუმები უნდა ჰქონდეს შემუშავებული. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა გაიარეს ეს უკვე, გაკეთებულია. აქაც უნდა გაკეთდეს.

განათლება არასოდას არ ყოფილა ამ ქვეყანაში პრიორიტეტი. ის მხოლოდ დეკლარირებული მიზანი იყო. სწორედ ესაა ჩვენი ქვეყნის ძირითადი პრობლემა.

ესაუბრა თინა ყიფშიძე.

ნათია მიქიაშვილის "ანატომია"

მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა „ანატომია“ არღვევს არაერთ ჟურნალისტურ სტანდარტსა თუ ეთიკის ნორმას, ის მაინც პოპულარობით სარგებლობს.

გიორგი გოგუა

ჩამუქებულ ეკრანზე ღამის თბილისის კადრი ჩანს. წამყვანი მძიმე, მონოტონური მუსიკის თანხლებით გადაცემის შესავალი ტექსტის კითხვას იწყებს:

„ხელისუფლება საზოგადოებას მუდმივი კრიზისის რეჟიმში ამყოფებს... მაგრამ კრიზისს, რომელსაც სააკაშვილი გვთავაზობს, აჩრდილიც დაჰყვება. სწორედ ამ აჩრდილთან, რუსეთთან ომში აღმოვჩნდით ჩვენ ხელისუფლების წყალობით და გადავაბარეთ ამ აჩრდილს ასეულობით ჯარისკაცის სული“ – უკვე ერთი თვეა, ტელეკომპანია „მე-9 არხის“ ეთერში ნათია მიქიაშვილის საავტორო გადაცემა „ანატომია“ მსგავსი პათოსით იწყება. გადაცემა ამავე არხის ვებგვერდზე გამოქვეყნებული აღწერილობის მიხედვით, „საგამოძიებო-ანალიტიკური შინაარსისაა“.

„ანატომიის“ ავტორისა და წამყვანის ტექსტში ხშირად ვხვდებით ისეთ მოსაზრებებს, როგორიცაა: „საზოგადოებამ სააკაშვილს საკუთარი ჰალსტუხის ღეჭვიდან დაწყებული, გორის ქუჩებში ხოხვით დამთავრებული, ყველაფერი აპატია“; „არ გამიკვირდება, უახლოეს მომავალში სააკაშვილის ბიზნესინტერესები „გაზპრომშიც“ რომ აღმოვაჩინოთ“; გადაცემაში ასევე უხვადაა ისეთი სიტყვათშეთანხმებები, როგორიცაა: „ნაციონალური სამართალი“, „ნაციონალური აზრი“ და ა.შ., რომელიც, ჩვეულებრივ, პრეზიდენტ სააკაშვილისა და მასთან დაახლოებული პირებისკენაა მიმართული. ეს კი ბადებს კითხვას: ემსახურება თუ არა ეს გადაცემა მიზანმიმართულ პროპაგანდას?

ჟურნალისტი ია ანთაძე ფიქრობს, რომ გადაცემა საინტერესოა, თუმცა, სწორედ ასეთი შეფასებებისა და სპეციალური ეფექტების გამო, გაურკვეველია ჟანრი — „აქ ვხვდებით ისეთ ადამიანებს, რომლებსაც კავშირები აქვთ სახელმწიფო მოხელეებთან, ვიგებთ ელიტური კორუფციის შესახებ, მაგრამ ჟანრი არ ვიცი, რა არის: ზოგჯერ ძალიან საინტერესო ფაქტების ნაკრებია, ზოგჯერ კი გაჯერებულია სპეციალური ეფექტებით, რომლებიც გიბიძგებს ზედმეტი დრამატიზებისკენ“. გარდა ამისა, ჟურნალისტის თქმით, არ შეიძლება, ანალიტიკურ გადაცემაში გვხვდებოდეს ავტორისეული შეფასებები, რადგან ანალიზი და თვალსაზრისი მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული ერთმანეთისგან.

ჟურნალისტ დავით პაიჭაძიძის შეფასებით, ამ გადაცემას არც ჟურნალისტურ გამოძიებასთან აქვს რამე საერთო: „ავტორს არ აქვს ნაკვლევი არცერთი ისეთი ფაქტი, რომელიც აქამდე უცნობი იყო საზოგადოებისათვის – არ არის არცერთი ექსკლუზივი“, – ამბობს პაიჭაძე. მისივე თქმით, ეს სხვა არაფერია, თუ არა „მტრული გადაცემა საქართველოს ხელისუფლებისთვის“: „გადაცემა გათვლილია პროპაგანდაზე და არა მაყურებლისთვის უტყუარი ინფორმაციის მიწოდებაზე“, – მიიჩნევს პაიჭაძე.

გადაცემაში გვხვდება ფაქტობრივი შეცდომებიც. მაგალითად, ფილმში, რომელიც მარკ მალენს მიეძღვნა, ავტორი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარესთან დაკავშირებული კომპანიის, „ვორდროპ ენდ ალექსანდერის“ მიერ აშენებულ ობიექტებზე მოგვითხრობს. ჩამონათვალში ერთ-ერთი ობიექტი საჰაერო ნავიგაციის კოშკია, რომელიც, გადაცემის ავტორის მტკიცებით, სწორედ ამ კომპანიამ ააშენა მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ 4.5 მილიონი აშშ დოლარი გადაუხადა. გარდა ამისა, შენობის არქიტექტორი, გიგა ბოკერიას მამა, ლევან ბოკერიაა. აქედან გამომდინარე, ნათია მიქიაშვილი მიუთითებს მარკ მალენისა და ხელისუფლების ახლო კავშირზე.

სინამდვილეში, სამოქალაქო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანია „ვორდროპ ენდ ალექსანდერ“-ი 2010 წელსაა დარეგისტრირებული, მაშინ, როდესაც საჰაერო ნავიგაციის მართვის კოშკი (რომლის არქიტექტორიც მართლაც ლევან ბოკერიაა), 2004 წელს, კომპანია „არქითრეიდმა“ ააშენა. ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტობრივი სპეკულაციები გადაცემაში მოხმობილ უტყუარ ფაქტებსაც ეჭვქვეშ აყენებს და მთლიანად გადაცემას უკარგავს სანდოობას.

„ვინ არის ის ადამიანი, ვისაც ეს ომი უნდოდა? თქვენთვის ჩუმად, უთქმელად გადაწყვიტეთ, ვინ დაიწყო ომი“ – ამ ფრაზით გახსნა ნათია მიქიაშვილმა გადაცემა რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ. დაახლოებით 40 წუთის განმავლობაში, საარქივო მასალებზე დაყრდნობით, ავტორი ცდილობდა მაყურებლისთვის ეჩვენებინა, რომ ამ ომის წამოწყებაში დამნაშავე სხვა არავინაა, თუ არა საქართველოს ხელისუფლება.

გადაცემამ სოციალურ ქსელებში მძაფრი რეაქციები გამოიწვია. გარემოს დაცვის მინისტრი, გოგა ხაჩიძე თავის „ფეისბუქის“ გვერდზე წერდა: „თუ ჩვენი კანონმდებლობა ამას ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდის და ღალატის კვალიფიკაციას არ აძლევს, მაშინ კანონია დასახვეწი. დარწმუნებული ვარ, მომავალი პარლამენტი გამოასწორებს ამ საკითხს. ესენი ჩვეულებრივი, მარტივი მოღალატეები არიან, ადრე ასეთებს ცხენის კუდზე აბამდნენ... ფუჰ!“

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს თავმჯდომარე, ზვიად ქორიძე მიიჩნევს, რომ „ანატომიის“ ეს გამოშვება, მართალია, თავისი შინაარსით პროპაგანდისტულია, მაგრამ იქ თავმოყრილი ფაქტები მაინც საინტერესო და სასარგებლოა: „ავტორს უნდოდა, ეჩვენებინა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თავისი 8-9 წლიანი მოღვაწეობის შედეგად სრული კაპიტულაცია გამოუცხადა რუსეთს“, – ამბობს ქორიძე და დასძენს, მიუხედავად იმისა, რომ, გადაცემაში ნაჩვენები ფაქტები ანალიტიკური თვალსაზრისით ამყარებდა ავტორის მთავარ სათქმელს, მეტი სარწმუნოობისათვის აკლდა წყაროებისა და დოკუმენტების მრავალფეროვნება.

კრიტიკის მიუხედავად ჟურნალისტები ამბობენ, რომ სიტყვის თავისუფლების პირობებში არ შეიძლება „ანატომიის“ მსგავსი გადაცემები კანონით შეიზღუდოს: „შეიძლება, გადაცემა, ზოგ შემთხვევაში, ეთიკის ნორმებს არღვევს, თუმცა, ეს არ შეიძლება, კანონდარღვევად ჩაითვალოს“, – მიიჩნევს ჟურნალისტი ია ანთაძე. მისივე თქმით, „პროდუქტი „ანატომია“ შვა იმ გარემოებამ, რომ ჩვენთან ინფორმაცია დახურულია. ელიტური კორუფციის პირობებში საგამოძიებო ჟურნალისტიკისათვის ცუდი ნიადაგია, ამიტომაც ჟურნალისტს, ზოგ შემთხვევაში, მუშაობა ეთიკის სტანდარტების გვერდის ავლით უწევს“, – ამბობს ანთაძე.

ერთი თვის მანძილზე „ანატომია“ საკმაოდ რეზონანსული გადაცემა გახდა. შეფასებები მრავალფეროვანია: „კარგი გოგო ხარ! ბედნიერი იყავი! გვიხარია შენი გადაცემა“; „მიქიაშვილმა ბოდიში საჯაროდ უნდა მოიხადოს. აგვისტოს ომზე სიუჟეტი ყველაზე ამაზრზენი გადაცემა იყო, რაც კი ოდესმე ტელევიზიით გასულა. რატომ კარგავს „ქართული ოცნება“ ასეთი გადაცემების გამო ამომრჩევლებს, ვერ ვხვდები“; „ნათია მიქიაშვილი არის გმირი ქართველი ქალბატონი! ბოდიში ნაცებმა უნდა მოუხადონ საქართველოს, თუმცა ამას ვაჟკაცობა სჭირდება“ – ვკითხულობთ „მე-9 არხის“ ვებგვერდზე, მაყურებლების კომენტარებში.

დავით პაიჭაძისთვის გაუგებარია, თუ როგორ მოიპოვა პოპულარულობა ისეთმა გადაცემამ, როგორიც „ანატომიაა“: მისი აზრით, ის გათვლილია ისეთ მაყურებელზე, რომელსაც გარკვეული მიმართულებით აქვს ჩამოყალიბებული აზრი და არა კრიტიკული განწყობა. „რაც უნდა საგამოძიებო ვეძახოთ, ეს მაინც პუბლიცისტური ხასიათის გადაცემაა, პუბლიცისტიკა კი მკითხველთა და თანამგრძნობელთა წრეს არ იფართოვებს – მხოლოდ კონკრეტული აუდიტორიისთვისაა გათვლილი“.

მაყურებელი ამ გადაცემას არც მანამდე აკლდა, სანამ, როგორც დამოუკიდებელი სტუდია, „ანატომიის“ პროდუქტი, „მე-9 არხის“ ეთერში გამოჩენამდე სოციალური ქსელებით ვრცელდებოდა. „მსგავსი გადაცემის არსებობა ქართულ ტელესივრცეში ძალიან მნიშვნელოვანია. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, თავად ის ფაქტი, რომ ამ გადაცემას ამდენი მაყურებელი ჰყავს, და იქ განხილულ თემებს ფართო გამოხმაურება მოჰყვება, უკვე მეტყველებს იმაზე, რომ ასეთი ტიპის გადაცემა უნდა არსებობდეს“, – ამბობს არხის დირექტორი, კახა ბექაური.

ჟურნალისტი ნინო ჯაფიაშვილი მიიჩნევს, რომ „ანატომიისა“ და მსგავსი ტიპის გადაცემების პოპულარულობა, ძირითადად, ორი მიზეზითაა გამოწვეული: ერთი, რომ ადამიანებს ნაწილს იმის მოსმენა სურს, რასაც ისმენს, და მეორე – მაყურებელი კრიტიკის გარეშე იღებს მოწოდებულ ინფორმაციას: „ასეთი გადაცემები ყოველთვის არსებობდა და იარსებებს: ეს სიტყვის თავისუფლებაა, თუმცა ამავდროულად, მაყურებლის პასუხისმგებლობა ასეთ შემთხვევაში ძალიან დიდია: ყველაფერი, რასაც ტელევიზიით გადმოსცემენ, უტყუარ ფაქტებზე დამყარებული ინფორმაცია არ არის. რაც უფრო კრიტიკულად იქნება აუდიტორია განწყობილი, მით უფრო გაქრება ეთერიდან ნაკლებად სანდო ჟურნალისტური პროდუქტი“, – ამბობს ნინო ჯაფიაშვილი.

თვალთვალი ინტერნეტში

ინტერნეტ-გიგანტები სულ უფრო ბევრს საუბრობენ სხვადასხვა მთავრობისა და სამართალდამცავების მხრიდან ზეწოლის მასშტაბის გაზრდაზე.

ნინო ნატროშვილი

ისმინება თუ არა Skype

ბოლო პერიოდში ინტერნეტ-სივრცეში აქტიურად განიხილებოდა Skype-ის სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის საკითხი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მრავალწლიანი წინააღმდეგობის შემდეგ, კომპანიამ, რომელიც კონფიდენციალურობის დაცვის ხარისხით ამაყობდა, სამართალდამცავებს მომხმარებლების პირად მიმოწერაზე წვდომის უფლება მისცა. საუბარი Skype-ის ახალი პოლიტიკის შესახებ ჯერ კიდევ მას შემდეგ დაიწყო, რაც იგი Microsoft-მა 8,5 მილიარდ დოლარად შეიძინა, ივლისის ბოლოს კი ინტერნეტ-სივრცე სენსაციური სათაურებით აჭრელდა. წერდნენ, რომ Skype-ს არქიტექტურაში განხორციელებული ცვლილებები სწორედ სამართალდამცავებისთვისა და მთავრობებისთვის ჩატებისა და სატელეფონო თუ ვიდეოზარების კონტროლის გამარტივებას ისახავდა მიზნად.

მოგვიანებით სერვისის ადმინისტრაციამ ოფიციალური განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ ეს ცვლილებები მხოლოდ ტექნიკურ სრულყოფას ემსახურებოდა და არა ხელისუფლებების მოთხოვნების შესრულების მზადყოფნას. ხელმძღვანელობამ კატეგორიულად უარყო გავრცელებული ხმები დაცვის პარამეტრების შეცვლისა და სამართალდამცავი ორგანოებისთვის მომხმარებლების საუბრებსა და მიმოწერაზე პირდაპირი წვდომის მინიჭების შესახებ. მაგრამ აქვე აღნიშნეს, რომ Skype-ს უფლება აქვს, მომხმარებლების პირადი მონაცემები ან ინფორმაცია საუბრების შესახებ სრულად ან ნაწილობრივ სამართალდამცავ ან სასამართლო ორგანოებს გადასცეს, თუმცა მხოლოდ კანონიერი მოთხოვნის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ეს პუნქტი სერვისის კონფიდენციალურობის პოლიტიკაში 2007 წლიდან არსებობს, ანუ ის მოქმედებდა მანამდეც, სანამ კომპანიას Microsoft-ი შეიძენდა.

Skype-ს პროტოკოლი ყოველთვის დაცულად ითვლებოდა და კომპანიაც ამ უპირატესობას მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა. ამ მხრივ სხვადასხვა ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურებისთვის სერვისი ერთგვარ თავისტკივილადაც კი იქცა: 2007 წელს გერმანიის ხელისუფლებამ კომპანიას რთული ალგორითმის გამო უსაყვედურა და აღნიშნა, რომ დამნაშავეებზე თვალთვალს Skype ძალიან ართულებდა. 2008 წელს ინტერნეტში გაჩნდა დოკუმენტებიც, სადაც საუბარი იყო გერმანული პოლიციის მიერ სპეციალური ტროიანების შექმნაზე, რომლებიც ეჭვმიტანილების პირადი მიმოწერის თვალთვალისთვის გამოიყენებოდა. 2009 წელს კი იტალიურმა პოლიციამ განაცხადა, რომ დამნაშავეთა ჯგუფები სულ უფრო ხშირად იყენებენ Skype-ს, ხოლო სერვისის დაშიფრული მიმოწერა მათ საუბრების კონტროლის საშუალებას არ აძლევს. ანალოგიური პრეტენზია გამოთქვეს ბრიტანელმა სამართალდამცავებმაც.

სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის შემთხვევათა კონკრეტული რაოდენობა სერვისს არასდროს გამოუქვეყნებია, ამიტომ Skype-ს, სხვა ინტერნეტ-კომპანიების მსგავსად, ინფორმაციის გაცემის შესახებ ოფიციალური ანგარიშების გამოქვეყნება ურჩიეს.

როგორ თანამშრომლობენ ინტერნეტ-კომპანიები სამართალდამცავებთან

ინტერნეტ-კომპანიებს სამართალდამცავებთან თანამშრომლობის სტანდარტული წესები აქვთ. მაგალითად, მომხმარებლების მიმოწერას მუდმივად ამოწმებს Facebook-ი, რისთვისაც ის სპეციალურ სისტემას იყენებს. სისტემა საუბრების სკანირებას ახდენს და იმ ფრაზებსა და სიტყვებზე რეაგირებს, რომლებიც, შესაძლოა, სავარაუდო დანაშაულზე მიუთითებდეს. საეჭვო მიმოწერის აღმოჩენის შემთხვევაში, იგი ინფორმაციას სოციალური ქსელის უსაფრთხოების თანამშრომლებს მომენტალურად გადასცემს. ამის შემდეგ კი ისინი თავად წყვეტენ, შეატყობინონ თუ არა მომხდარი პოლიციას. სოციალურ ქსელში აცხადებენ, რომ სისტემა ეფექტიანად მუშაობს და მას რეალური შედეგები მოაქვს. ერთი დამნაშავე მისი დახმარებით სასამართლოს წინაშე უკვე წარსდგა: საუბარია 30 წლის მამაკაცზე, რომელიც 13 წლის გოგონას სექსუალური შინაარსის წერილებს წერდა და გაკვეთილების დასრულების შემდეგ შეხვედრას სთავაზობდა.

აგვისტოს დასაწყისში ნიუ-იორკის პოლიციამ Twitter-ზე გამოქვეყნებული საგანგაშო შეტყობინება აღმოაჩინა. ერთ-ერთი ინტერნეტ-მომხმარებელი ნიუ-იორკის თეატრში, სპექტაკლ Undisputed Truth-ის პრემიერაზე მისული მაყურებლის დახოცვით იმუქრებოდა. პრემიერა 3 აგვისტოს იყო დანიშნული. პოლიციამ კი შეტყობინებას ყურადღება მხოლოდ იმ დღეს მიაქცია. თეატრში სპეცრაზმი გაიგზავნა, თუმცა პრემიერამ ექსცესების გარეშე ჩაიარა. შეტყობინების ავტორი პოლიციამ დაიკავა, მაგრამ არ დაუპატიმრებია. დაკითხვის შემდეგ ის გაუშვეს, თუმცა ვინაობა, ასაკი, სქესი და მიზეზი, რის გამოც არ დააპატიმრეს, არ დაუკონკრეტებიათ.

ტვიტების ავტორს ნიუ-იორკის პოლიციამ Twitter-ის დახმარებითვე მიაგნო. შეტყობინების აღმოჩენისთანავე მან სოციალურ ქსელს მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია მოსთხოვა, თუმცა თავდაპირველად Twitter-მა პირადი მონაცემების გაცემაზე უარი განაცხადა: მუქარა საკმარისად სერიოზულად არ ჩათვალა, თუმცა მოგვიანებით, შესაბამისი ორდერის წარდგენის შემდეგ, პოლიციას ინფორმაცია გადასცა.

Skype-სგან განსხვავებით, Twitter-ი რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშებს იმ

ქვეყნების შესახებ, რომლებიც კომპანიას სხვადასხვა ინფორმაციის მოთხოვნით მიმართავენ. ბოლო ანგარიშში 23 სახელმწიფოა წარმოდგენილი. სულ 2012 წლის პირველ ნახევარში სოციალურ ქსელს 849 მოთხოვნა გაეგზავნა, მათი დიდი ნაწილი – აშშ-დან და იაპონიიდან. ამერიკელი სამართალდამცავი ორგანოების განაცხადების 75% შესრულდა, სულ კი კომპანიამ ინფორმაცია სრულად ან ნაწილობრივ 1181 მომხმარებელზე გასცა. Twitter-ს სთხოვდნენ არასასურველი ტვიტების წაშლასაც, თუმცა კომპანიას არცერთი მათგანი არ შეუსრულებია. სოციალურ ქსელში აღნიშნავენ, რომ წელს პირველ 6 თვეში მომხმარებლების პირადი ინფორმაციის გაცემის შესახებ გაცილებით მეტი მოთხოვნა მიიღეს, ვიდრე შარშან მთელი წლის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ Twitter-ი იმ მომხმარებლებს, რომელთა ანგარიშითაც სახელმწიფო ან სამართალდამცავი ორგანოები არიან დაინტერესებულები, ფაქტის შესახებ სპეციალურ შეტყობინებას უგზავნის, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სასამართლო აკრძალვა არ მოქმედებს.

სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებთან თანამშრომლობის შესახებ ანგარიშების გამოქვეყნების პრაქტიკა Google-მაც დანერგა და მონაცემებს ყოველ ექვს თვეში ერთხელ აქვეყნებს: ივნისის თვის ანგარიშში ამა თუ იმ კონტენტის წაშლასთან ერთად გაერთიანებულია მოთხოვნები მომხმარებლების ინფორმაციის, მათ შორის IP მისამართების მიწოდების შესახებ. ყველაზე ხშირად Google მსგავს მოთხოვნებს აშშ-ს ხელისუფლებისგან იღებდა, თუმცა მათი დიდი ნაწილის შესრულებაზე კომპანიამ უარი განაცხადა, სიაში მოხვდნენ ინდოეთი, ბრაზილია, ბოლივია, იორდანია, უკრაინა და ჩეხეთი. ჩამონათვალში ფიგურირებს რუსეთიც, მაგრამ კომპანიას მისი არცერთი მოთხოვნა არ შეუსრულებია.

Google-მა წელს მოთხოვნების რაოდენობის გაზრდის გამო განსაკუთრებული შეშფოთება გამოხატა და ცენზურის საფრთხეებზეც ალაპარაკდა. ინტერნეტ-გიგანტი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდში პირადი მონაცემებისა და პოლიტიკური კონტენტის წაშლის მოთხოვნა ტრენდად იქცა.

ინტერნეტთვალთვალი და საქართველო

ინტერნეტთვალთვალი საქართველოში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონით რეგულირდება, თუმცა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ მის კონსტიტუციასთან შეუსაბამობაზე საუბრობს. კონკრეტულად კი, საიას მხედველობაში

აქვს კანონის მე-7 მუხლის „ძ“ ქვეპუნქტი, რომელიც ღია და დახურული ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგს ითვალისწინებს.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” საკონსტიტუციო სამართალწარმოების იურისტი გიორგი გოცირიძე აღნიშნავს, რომ კანონი სადავო ნორმის ორგავარი წაკითხვის შესაძლებლობას შეიცავს. „ერთი ვერსიით წაკითხვა შესაძლებლად მიიჩნევს იმას, რომ დახურულ ინტერნეტჯგუფში სამართალდამცავები ჩანერგავენ აგენტს, რომელსაც ინტერნეტურთიერთობის მონაწილეები ნებაყოფლობით უზიარებენ ინფორმაციას. ამ დროს დახურული ჯგუფის მონაწილეებს არა აქვთ საკუთარი პირადი ცხოვრების დაცვის გონივრული მოლოდინი და შესაბამისად, ამ დროს არ არის აუცილებელი მოსამართლის ბრძანება. მეორე ვერსიით, შესაძლებელია კანონი იმგვარად იქნეს წაკითხული, რომ თუკი ჯგუფის წევრები ვერ მოახერხებენ აგენტის ჩანერგვას, ასეთ შემთხვევაში, სამართალდამცავები დახურულ ინტერნეტურთიერთობას აკვირდებიან დახურული ჯგუფის მონაწილეთა თანხმობის გარეშე, მათგან ფარულად. ასეთი შემთხვევისათვის საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს სასამართლო ბრძანების აუცილებლობას, თუმცა სასამართლო ბრძანებაზე არაფერს ამბობს ჩვენ მიერ გასაჩივრებული ქვეპუნქტი და შესაბამისად, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან“, – აცხადებს გიორგი გოცირიძე.

საიას საკონსტიტუციო სამართალწარმოების იურისტი განმარტავს, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში მსგავსი სახის მონიტორინგი დასაშვებია და ხშირად ის ისეთი სერიოზული დანაშაულის გახსნის საშუალებაა, როგორიც ბავშვთა პორნოგრაფიაა, თუმცა ასეთი მონიტორინგი ყველა დემოკრატიულ საზოგადოებაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს კონტროლის საგანს წარმოადგენს. „ინტერნეტმონიტორინგი არის დახურული ღონისძიება. ადამიანი, რომლის კომუნიკაციაც ფარული დაკვირვების საგანს წარმოადგენს, არ არის ინფორმირებული აღნიშნული მონიტორინგის შესახებ და შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას თავად დაიცვას საკუთარი უფლებები. ამიტომ სასამართლო კონტროლი ასეთი სახის ფარულ ღონისძიებაზე სამართალდამცავი და საგამოძიებო ორგანოების მხრიდან თვითნებობის თავიდან აცილების შესაძლებლობას წარმოადგენს“, – აღნიშნავს გიორგი გოცირიძე.

საიამ ქვეპუნქტი საკონსტიტუციო სასამართლოში უკვე გაასაჩივრა. საქმის განხილვა დასრულებულია. ახალგაზრდა იურისტები გადაწყვეტილებას სექტემბერში ელოდებიან.

ფოტორეპორტაჟი

ომბრის საბუთის სახლში

რეპორტაჟი პანკისის ხეობიდან

გიორგი გოგუა

პანკისის ხეობის 9 სოფელი კახეთში, მდინარე ალაზნის ნაპირზეა განლაგებული. ხედი სოფელ დუისიდან.

მალხა მოღიმარი სახით მიყურებს. რამდენჯერაც შევხედავ, კისკისი უტყდება, შემდეგ მამას გადახედავს, მისი რეაქციის მოლოდინში, სიცილითვე აგრძელებს მაგიდის გაწყობას. პატარა გოგოა მალხა, 9 წლის, მაგრამ დიდი ქალივით იქცევა. თავსაფარსაც მთელი დღის განმავლობაში, მუსლიმური წესის მიხედვით, თავიდან არ იშორებს – დიდი ქალივით. მჭიდროდ მოხვეული თავსაფრიდან მხოლოდ სახე უჩანს – ანთებულთვალებიანი სახე. საერთოდაც, ვერ ვხვდები, პანკისის ხეობაში ყველას ასეთი ანთებული თვალები აქვს, თუ მხოლოდ მე შემხვდნენ ასეთები.

პანკისში წასვლა რომ გადავწყვიტე, ყველა მხრიდან მესმოდა: სად მიდიხარ, გაგიტაცებენ! არ გეშინია? და მსგავსი ფრაზები. სიმართლე გითხრათ, არც მე მქონდა დიდი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ამ ხეობაში. თავი დავადე და მივდიოდი: კაცმა არ იცის, სად.

პანკისის ხეობა აქვეა – კახეთში, სულ რამდენიმე კილომეტრზე გასდევს ალაზნის ნაპირს. პირველი, ვინც

მუსლიმური ტრადიციით, ქალებისათვის აუცილებელია თავსაბურავის ტარება. მეტად მორწმუნე ოჯახებში თავსაბურავს პატარა გოგონებიც ატარებენ.

„ნათესავები ერთმანეთის ოჯახებში თავს ისევე ვგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში“ – ეს ტრადიციაა.

რამადანის დროს ჭამა მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ შეიძლება, ამიტომაც ხინკალს დღის ბოლოს ხარშავენ.

დუისი ხეობის ყველაზე დიდი სოფელია, სადაც მოსახლეობის სრულ უმრავლესობას ჩენნები შეადგენენ.

მექქა, მალხა და მუჰამედ გაურგაშვილები. პანკისელი ჩეჩნები ამბობენ, რომ საქართველო მათი მეორე სამშობლოა. მათ ჩეჩნური სახელები და ქართული გვარები აქვთ.

რამადანის მიუხედავად, ოჯახში მისულ სრულიად უცხო ადამიანსაც აუცილებლად უმლიან სუფრას. სოფელი ომალო.

იქ მისვლისას გამახსენდა, ფერეიდნელი ქართველები არიან: ადამიანები, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში საკუთარი ქვეყნის საზღვარს მიღმა ცხოვრების შემდეგაც შეინარჩუნეს კულტურა. ზუსტად ასევეა პანკისში: საქართველოში ჩამოსახლებული ჩეჩნები ცხოვრობენ ქართველებთან ერთად, ოღონდ საკუთარი კულტურით.

ჟურნალისტები არ უყვართ – ამბობენ, სახელს გვიტეხენო. მხოლოდ ერთი რამის ახსნას ცდილობენ: „ხეობის გარეთ ხალხს ჰგონა, რომ ჩვენ მუდამ ომსა და ადამიანების გატაცებაში ვართ: მართალია, იყო ასეთი პერიოდი, მაგრამ მაშინ ჩვენც ისეთივე ცუდ დღეში გვაგდებდნენ, როგორც ყველას. ქართველებმა მეგობრულად მიგვიღეს, ეს ჩვენი მეორე სამშობლო, მეორე სახლია”.

სოფელ დუისში ორი მეჩეთია: ვაჰაბიტებისა და ორთოდოქსი სუნიტების. მათი თქმით, განსხვავება რელიგიურ რიტუალებშია: ვაჰაბიტები, ორთოდოქსებისგან (სუნიტებისგან) განსხვავებით, ზედმიწევნით იცავენ ყურანის წესებს.

ორთოდოქსების მეჩეთი. ლოცვის დასრულების შემდეგ მორწმუნე უხუცესები წრეზე სხდებიან და ტრადიციულ რიტუალს ატარებენ.

ორთოდოქსულ (ძველ) მეჩეთში, ძირითადად, ხანშიშესული ადამიანები ლოცულობენ, მაშინ, როდესაც ვაჰაბიტურ სალოცავში, ჩვეულებრივ, ახალგაზრდები იკრიბებიან.

არჩევნები ჯერ ჯერ არ იყიდება!

სლოგანებისა და ჯიპების ომები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა

დავით ბუხრიკიძე
ჟურნალისტი



არჩევნები ქართულად რომ უპირველესად, ნერვული სისტემის გამოცდას გულისხმობს, ეჭვი აღარავის ეპარება. დაძაბულობა უკვე კარგა ხანია ყოველგვარ ზღვარს გასცდა და ლამის მონაწილე სუბიექტების ფსიქოლოგიურ ომში გადაიზარდა. 2012 წლის ოფიციალური საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე გასაგები იყო, რომ უმთავრესი ვნებათაღელვა მაინც „ნაციონალურ მოძრაობასა“ და საარჩევნო კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაუკავშირდებოდა. თუმცა „დიდ რბოლაში“ მონაწილე მეტ-ნაკლებად ძლიერ პარტიებსაც საკუთარი ამოცანები და მიზნები აქვთ.

სარეკლამო ბანერები, ვიდეოკლიპები, სლოგანები და გზავნილები ხშირად ამომრჩეველზე „ნადირობის“ ფორმას იღებს. ეფექტური, ზუსტი, ხშირი და იოლად აღსაქმელი რეკლამა ცხადია, ნდობის მოპოვების შანსს აათკეცებს, ამიტომ სატელევიზიო ეთერი ლამის საკრალურ მნიშვნელობას იძენს.

მიუხედავად დროის მცირე მონაკვეთისა, კლიპში ცხადად აისახება პოლიტიკური კურსი (მემარჯვენე-მემარცხენე), ვექტორი, ძალისხმევა, მსოფლმხედველობა, საზოგადოებაზე გავლენა, ძირითადი მესიჯი და ა. შ. თუმცა რეალობაში ბევრი რამ მაინც თავდაყირა დგება. ვთქვათ, კერძო საკუთრების დამცველები და თავგამოდებული ლიბერტარიანელები („ნაციონალური მოძრაობა“) წესით, ცალსახად მემარჯვენეები უნდა იყვნენ, სარეკლამო კლიპებში კი აშკარად მემარცხენე ლოზუნგები აქვთ – უფასო ჯანდაცვისა და მოსახლეობისათვის 1000 ლარიანი ვაუჩერის შეთავაზების სახით. და პირიქით, უკიდურესი მემარცხენეები – „ლეიბორისტები“ მშვენივრად იყენებენ და მანიპულირებენ მემარჯვენეების ლოზუნგებით.

გიგა ნასარიძე, რატომღაც, არასამთავრობო სექტორში მოგვევლინა, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო დატოვა და მაშინვე დააფუძნა ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდება“. რამდენიმე წამყვანი ტელეარხის ეთერში უკვე კარგა ხანია ტრიალებს მათი კლიპები ბიძინა ივანიშვილზე. ეს შავ-თეთრი კლიპები წარმოადგენს უკონტექსტო და ხელოვნურად დაკავშირებულ ფრაგმენტებს თავად ბიძინა ივანიშვილის გამოსვლებიდან, სადაც „ქართული ოცნების“ ლიდერი საუბრობს რუსეთთან მეზობლური ურთიერთობის აღდგენაზე, საბჭოთა კავშირის სოციალური სისტემის მნიშვნელობაზე და ა. შ.

გიგა ნასარიძე თავის კლიპში იყენებს ხერხს, როდესაც საგანგებოდ „უხარისხოდ“ ჩაწერილ თუ გადაღებულ ტელექრონიკას, დეფორმირებული, ირონიით ნაზავი და ასე ვთქვათ, „კონტრაპუნქტული“ ტექსტი მიჰყვება. ეს ხერხი ჯერ კიდევ 2003 წლის ნოემბრის არჩევნებში გამოიყენა ნაციონალურმა მოძრაობამ. თავის საარჩევნო კლიპებში მმართველ პარტიას, „მოქალაქეთა კავშირს“ ამხელდა და ეს „შავ-თეთრი“ მხილება ზუსტად იყო გათვლილი შევარდნაძის დროინდელი საზოგადოების ცნობიერების შეცვლაზე. უბრალოდ, „საქართველო არ იყიდება“-ს დამფუძნებელს გამორჩა, რომ „საბჭოთა“ ივანიშვილის მხილება 90-იანი წლების შავ-თეთრი კადრებით და ქვეყნის ქაოსის ჩვენებით, უბრალოდ, ფაქტოლოგიური შეცდომა და ტყუილია.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამჯერადაც 2008 წლის „ფერადი ესთეტიკა“ გააგრძელა: ეროვნული დროშის ფერები (წითელი და თეთრი), განზრახ ოპტიმისტური ინტონაცია და ჭარმაგი მამაკაცის მშვიდი, ხავერდოვანი ბარიტონი გამოიყენა, რომელიც წუხს, რომ „ბათუმი და თბილისი ძალიან გალამაზდა, სოფელში კი ყველაფერი ნელა იცვლება“, მაგრამ მაინც ისევ ნაციონალურ მოძრაობას ენდობა, რადგან უკვე სოფელში სურს სწრაფი ცვლილებები. ცხადია, 1000 ლარიანი ვაუჩერიც და უფასო დაზღვევაც.

სხვათა შორის, დაახლოებით იმავე მემარცხენე-დამჯერ ინტონაციებს და ვიზუალურ-მონტაჟურ ხერხს ეყრდნობა „ქართული ოცნების“ კლიპიც, რომელშიც თეთრ-წითელის ნაცვლად ლურჯ-ყვითელი ფერებია გამოყენებული (უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ევროკავშირის ფერების ერთგვარი ემანაციაა). ისიც საკმაოდ პრიმიტიულ, მემარცხენე ფსიქოლოგიას ემყარება – ეროვნული პროდუქციის დამკვიდრებას ბაზარზე, სოფლის მეურნეობაში მილიარდი ლარის დაბანდებას, ათასობით სამუშაო ადგილის შექმნას... მოკლედ, თუ გჯერათ ექსცენტრული და უკვე მიზანდასახული მილიარდერის, შეგიძლიათ „ერთად აიხდინოთ ქართული ოცნება“. აი, პარტიის იდეოლოგიური სიჭრელე რამდენად შეუწყობს ხელს ოცნების ახდენას, ეს ცალკე და რთული საუბრის თემაა.

ამასობაში უთანასწორო პარტიულ თუ პოლიტიკურ ბრძოლებში ჭიპმოჭრილი ლეიბორისტები ლამის არსენას საარჩევნო ლოზუნგით გამოდიან, ხოლო მათი ლიდერი, შალვა ნათელაშვილი გვაფრთხილებს: „მდიდარს წავართმევთ, ღარიბს დავუბრუნებთ!“ თანაც, ამ საპატიო საქმეში არც ღმერთს ივიწყებენ. მოკლედ, ტიპური ნათელაშვილისეული კლიპია... შავ-თეთრი გრაფიკით, ავბედითი წი-



ნასწარმეტყველებით (მაგალითად, 2003 წლის გამოსვლის ფრაგმენტი) და მკაცრი მესიჯებით!

ხშირად ტელემაყურებელს პოლიტიკური რეკლამების სიხშირეც აღიზიანებს და კლიპის პათეტიკურობაც; უხარისხობაც და სიყალბის შემცველი ინფორმაციულობაც. მიჯრით მიყოლებულ კლიპებს გარკვეული ფსიქოლოგიური ზემოქმედება აქვთ და რაღაც დოზით აუცილებელია, თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს კლიპის ხარისხს, დროსაც, სად უშვებ – საინფორმაციო გამოშვებაში, რომლის მაყურებელიც, როგორც წესი, პოლიტიზირებულია, თუ სერიალების დროს, რომლის მაყურებელს პერსონაჟების ბედი უფრო აღელვებთ...

ვერ გეტყვით, ჰგავს თუ არა ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის ომახიანი გამოსვლა ლათინური სერიალების მაჩო-კაცების იმიჯს, მაგრამ კლიპით თუ ვიმსჯელებთ, გიორგი თარგამაძეს ურიგოდ არ უმუშავია: კარგად დაწყობილი და სიბრაზეშეპარებული ფრაზები („ვინც ქართულ სახელმწიფოს ასუსტებს, ჩემი პირადი მტერია“... „ოპტიმიზმი არის ნება, რომელიც გვაძლიერებს ჩვენ, ქრისტიან-დემოკრატებს“); რაღაც შუასაუკუნეობრივი თეატრალურობა (დიდი, ბოლნისური ჯვრები შინდისფერ დროშებზე), პლუს კოლეგისა და თანაპარტიელი ჟურნალისტის, ინგა გრიგოლიას მუდმივი ცეცხლი და დრაივი.

აქტიური და ენერგიული თარგამაძის ფონზე ერთობ უფერულად მოჩანს „ახალი მემარჯვენეების“ წინასაარჩევნო რიტორიკა, რომლებიც სოფლის ორღობეებში ჩაიკარგნენ. ოდესღაც შემართული „მეწარმე, ექიმი და ლიდერი“ ახლა საარჩევნო სიების დაზუსტებითაა დაკავებული.

ალბათ, მცირე შესწავლას საჭიროებს კახა კუკავასა და ზოგადად, პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ცოტათი მაზოხისტურ-გულწრფელი გზავნილებიც. კლიპის ფინალში რევაზ ლაღიძის „ჩემო კარგო ქვეყანა“ ერთობ უცნაური ფონია საიმისოდ, რომ „გავასამართლოთ სააკაშვილის პოლიტიკური რეჟიმი“, „უფროსი თაობის ადამიანები სამსახურებში დავაბრუნოთ“, „ავკრძალოთ ნატოს ბაზები საქართველოში“, „გავიტანოთ ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარზე“, „გავყინოთ ბანკის ვალები“, ან „ავკრძალოთ სექტებისა და ჰომოსექსუალიზმის ზღვარგადასული პროპაგანდა“... და ამ დრამატული ჩამონათვალის ფონზე კარგად გავიაზროთ, სლოგანი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

დაბოლოს, არ შეიძლება არ გამოვეხმაუროთ სოციალურ ქსელებში გავრცელებულ კლიპს, რომელშიც შალვა რამიშვილმა აზერბაიჯანული ფოლკლორის „დახმარებით“ რესტორნისა და პოლიტიკის სივრცე ცოტა აურ-დაურია... კლიპი „მიშა დოსვიდანია“ – ეს არის ტრადიციების, ქართული სუფრის, შეზარხოშებული მაჩო-კაცების (არ ჩანან ქალები, რაც საგულისხმოა), ვითომ მოზეიმე, სინამდვილეში კი გამოფიტული, პაროდიული საზოგადოების უხამსი ზეიმი. ხალხურობა ფსევდო-კარნავალურობა (?) თუ უგემოვნება საკმაოდ მდარე აზერბაიჯანულ პლაგიატსა და პაროდიას ეყრდნობა და ეს ყველაფერი ხაშლამის, ხინკლებისა და წარუშლელი „პერსონაჟების“ ფონზე. იქნებ, შალვა რამიშვილმა მხოლოდ დაადასტურა სატირული ჟანრის კრიზისი?!

თავის დროზე, გიორგი ლიფონავას ცნობილი საარჩევნო კლიპი „მიშა მაგარია“ ემყარებოდა პიონერულ-ნაივურ სახეებს და შინაგან დრაივს. რეჟისორ ალექსანდროვის ესთეტიკა (გაიხსენეთ „ვოლგა, ვოლგა“) და უნაპირო ოპტიმიზმი, ვითომ ნორჩები, „გაკრახმალებულები“ ვართ, სუფთა და ევროპულ გარემოში ვცხოვრობთ და შემაწუხებელი წარსული ტვინიდან ამოვირეცხეთ, თავის დროზე კარგად საღდებოდა „ნაციონალების“ გადაღმაც. თან გულუბრყვილოდ გვჯეროდა „მაგარი“ მიშასი და ვიცოდით, რომ ნათელ მომავალში აუცილებლად მასთან ერთად შევაბიჯებდით...

მაგრამ მაშინ 2008 წლის გაზაფხული იდგა; მაშინ ჯერ კიდევ ბევრს სჯეროდა კეთილი და მაგარი მიშასი. ამჟამად ჩვენი გამოცდილება ომებით, ათასგვარი ცოდვით, სიმძიმით და გაყალბებული არჩევნების შიშითაა სავსე. თუმცა ოპტიმისტური მითი (პროცენტულად ყველაზე ბედნიერად ვგრძნობთ თავს მთელს ევროპაში) გვიბიძგებს დავიჯეროთ, რომ არჩევნები ჯერ კიდევ არ იყიდება!

საქართველო - "ბმისთა მოედანი"

ფოტო: ბორის ბოგუა

შოთა იათაშვილი
პოეტი, პუბლიცისტი

რაც თავი მახსოვს, გმირთა მოედანთან ვცხოვრობ. ჩემი სახლიდან ხუთიოდე წუთია საჭირო, რათა იქ ჩახვიდე. პატარა რომ ვიყავი, გმირთა მოედანი ზოოპარკთან და ცირკთან ასოცირდებოდა. თუ იქ ჩავიდოდით, ესე იგი დიდი შანსი იყო, რომ მე და ჩემი და ცხოველების გვერდით აღმოვჩენილიყავით. ალბათ, ამიტომაც იყო, 1970-80-იან წლებში ვარაზის ხევის ასახვევთან არსებულ ერთიბეწო ბაღს მაიმუნების პარკი რომ შევარქვით. კიროვის პარკი (მაშინ ვერის ჯერ კიდევ არ ერქვა) ან სხვა მსგავსი რომ მოგვბეზრდებოდა ხოლმე, მშობლებს ვეხვეწებოდით, მაიმუნების პარკში წაგვიყვანეთო! თუ ვინმე გაიგონებდა, უკვირდა, სადაა ეს მაიმუნების პარკიო, და ჩვენც გაკვირვებულები ვუხსნიდით, როგორ არ იცით, აი, გმირთა მოედანთანაა, ზოოპარკის მეორე მხარესო...

მოკლედ, ალბათ მიხვდით, ეს რა ადგილია: ის, სადაც ახლა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებში დაცემულ გმირთა უკვდავსაყოფად მარადიული ცეცხლი ანთია და ცივა თუ ცხელა, ქარი ქრის თუ ყინავს, ქართველი ჯარისკაცები გაჩიჩინებულები, მარიონეტებივით დგანან იქ და ამ ომებში მხოლოდ საქართველოს მხრიდან გარდაცვლილებს ვიღაცის აზრით ამით პატივს სცემენ.

ამასწინათ მე და ჩემი მეგობარი ამოვდიოდით გმირთა მოედნიდან ზემოთ, ჩემი სახლისკენ და რომ გახედა ამ საცოდავად გაშეშებულ ჯარისკაცებს, თავისთვის ჩაილაპარაკა: რა ტყუილა აყურყუტებენ საათობით აქ, ლოცვების კრებული მაინც მისცენ ხელში, გარდაცვლილების სულთა მოსახსენიებლად რომ იკითხონო. მათთვისაც უკეთესი იქნება და იმათთვისაც, ვისაც ვითომ უნდათ, პატივი მიაგონ ომში დაღუპულებს ამ სულელური რიტუალითო.

ეს მარადიული ცეცხლი საკმაოდ კაი ხანია უკვე ანთია იმ გმირთა მოედანზე, რომელსაც ეს სახელი საბჭოთა კავშირის პირველი გმირების, გემი „ჩელუსკინის“ ეკიპაჟის გადამრჩენი მფრინავების პატივსაცემად ეწოდა 1934 წელს. მაგრამ კონტექსტი იცვლება – გმირების აუცილებლობა კი რჩება. ამიტომაც გარდაიქმნა გმირი „ჩელუსკინელების“ მოედანი სხვა გმირების მოედნად.

მარადიულ ცეცხლს კი „ყველაზე მაღალი“ მემორიალი მოჰყვა:

„გმირთა მოედანზე 26 მაისს თბილისში ყველაზე მაღალი მემორიალი გაიხსნება, სადაც საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე რუსეთის წინააღმდეგ დაღუპულ გმირთა სახელები და გვარები იქნება ამოტვიფრული.

თბილისის მერიის ინფორმაციით, მემორიალი ლითონის კონსტრუქციისა და ორგანული მინის კოშკს წარმოადგენს, რომელიც ესპანელმა დიზაინერმა ალბერტო დომინგო კაბომ დააპროექტა.

მემორიალის სიმაღლე 48 მეტრია და ის თბილისში ყველაზე მაღალი მემორიალი იქნება. მემორიალი 1918 წელს დაღუპული იუნკერების, 1924 წლის აჯანყების მეთაურების, 1992-93 წლებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, 2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულ მეომართა ხსოვნას ეძღვნება. მეომართა სახელები ამოტვიფრული იქნება ორგანულ მინაზე, რომლითაც ეს კოშკი არის აგებული.

გმირთა საუკუნოდ უკვდავსაყოფად მემორიალის ძირში განთავსდება კაფსულა, რომელშიც ჩაიდება სპეციალური ქაღალდი გმირთა სახელებით. კონსტრუქცია დაახლოებით 260 ტონას იწონის. მონუმენტი გათვლილია და გაუძლებს 9-ბალიან მიწისძვრას და ძლიერ ქარებს. მემორიალზე მთლიანად 3 500-მდე ადამიანის სახელი და გვარი ამოიტვიფრება“.

ეს 2011 წლის ინფორმაციაა.

დღეს უკვე ყველამ იცის ეს სვეტი.

სვეტი, რომელიც ყველას, ბოდიში და, თვალში ეჩხირება.

რომელიც ციმციმებს და ბრჭყვიალებს!

სვეტის მერე კი სულ სხვა სამუშაოები დაიწყო: 21-ე საუკუნის, მომავლის ესტაკადების მშენებლობა!

აი, აქ დავიჭირე უცებ საოცარი მსგავსება ყბადაღებულ ფროიდის მოდელთან: ანუ „იგი“-სთან, „მე“-სთან და „ზე-მე“-სთან. სხვანაირად რომ ვთქვათ: ქვეცნობიერთან, ცნობიერთან და ზეცნობიერთან.

ეს პარალელი გროტესკულია (თუ ტრაგიკულია), მაგრამ ვფიქრობ, ძალიან ზუსტია.

გმირთა მოედანს, რაც თავი მახსოვს, აქვს თავისი ქვეცნობიერი: აყროლებული მიწისქვეშა გასასვლელები. ძალიან მწარედ მახსოვს ეს მიწისქვეშა გასასვლელები. სასტიკ 90-იან წლებში, ერთხელ ძლივს ორი კაპიკი გავაკეთე, რამდენიმე ათეული დოლარის სახით მომცეს, გამოვედი სახლიდან, ჩავუყევი კოსტავას (უკვე არა ლენინის) ქუჩას და ვფიქრობ, სადგურზე წავიდე, სადაც საუკეთესო კურსია, მაგრამ იმ ქვეცნობიერში გამომიჭირეს და მთელი ის ფული ამადღლიზეს.

მაგრამ ამის გამო არ გეგონოთ გაღიზიანებული. ეს უბრალოდ ისე მოგიყევით: მთავარი ისაა, რომ დღეს გმირთა მოედანმა ფროიდის მთელი სტრუქტურა გაიმეორა:

დაბლა ქვეცნობიერია – აქოთებული, აუტანელი; ზედაპირზე – კვლავაც გმირთა მოედანი; ზემოთ კი ფანტაზია, მომავალი, ის, რაც თითქოს გვინდა და გვჯერა კიდეც – ესტაკადები, რომლებიც 21-ე საუკუნეში გვაგრიალებენ!

აი, რა მოხდა იმ ცეცხლთან რამდენიმე წლის წინათ – წაიკითხეთ პრეზიდენტის კომენტარი:

„ჩემი საკრებულოში ყოფნის პერიოდში, თბილისის ცენტრში გმირთა უკვდავსაყოფად მემორიალი შეიქმნა, რომელიც ყველა ქვეყანაში უწმინდესია. ანთია მარადიული ცეცხლი. ბოლო პერიოდში მემორიალთან 6 კაცი მივიდა, ესენი იყვნენ ჯარისკაცები. მათ საქართველოს ძველი დროშა თავზე დაიფარეს (რომელიც ოფიციალურად საქართველოს დროშა აღარ არის), დადგეს საწოლები, გამოფინეს საცვლები და მოშარდეს მარადიულ ცეცხლთან. ყოველივე ამის შემდეგ პოლიციის მიერ ჩატარებული ღონისძიება თურმე პოლიტიკური ფორმაა“, – განაცხადა სააკაშვილმა.

გმირთა მოედანზე ყველგან შარდავენ, ბატონო პრეზიდენტო! სადაც მოუხელთდებათ, ყველგან! მარადიული ცეცხლის გვერდით, მიწისქვეშა გასასვლელთან რომ უნდა გავიარო ხოლმე, ჯიბიდან ცხვირსახოცს ვიღებ, სახეზე ვიფარებ და ვცდილობ, 30-40 წამი მაინც არ ვისუნთქო. და მე ორ-სამ დღეში ერთხელ მაინც მიწევს მანდ გავლა და ეგ ამბავი ჩემზე უკეთ თითქმის არავინ იცის!

არადა, იცით, ეს რა ადგილია? შევეშვათ გმირებს. თუ თბილისი დედაქალაქია საქართველოსი, ამ ქალაქში ცენტრის ცენტრი გმირთა მოედანია. აქედან მიდიხარ ვაკეშიც, ვერაზეც, საბურთალოზეც, პლეხანოვზეც. ერთნაირად ახლოს ხარ ყველა უბანთან. თავისუფლების მოედანიც კი არაა რეალურად ისეთი ცენტრი, როგორიც გმირთა მოედანი: სადაც ფსამენ, პატივს მიაგებენ გმირებს და მომავალსაც აშენებენ.

არადა, მე მაინც ის ძველი გმირთა მოედანი მახსენდება, როცა მე და ჩემს დას ჩვენი მაიმუნების პარკი გვქონდა და იქ გვიყვარდა წასვლა. სინამდვილეში კი ახლა გახდა ეს სივრცე მაიმუნების, თუ სამაიმუნო, არადა, კვლავ უაზრო ომებში დაღუპული საწყალი მეომრების სახელს აკერებენ ამ მოედანს – მოედანს, სადაც ბოლო-ბოლო თერთმეტსართულიანია – ჩვენი პირველი ცათამბჯენი, სადაც 100 მეტრში ტელევიზიაა, ვარაზისხევით აუყვები და – უნივერსიტეტი, ხელმარცხნივ და – ფილარმონია, იქით – ცირკი, აქეთ – ზოოპარკი, ბაზარი-ვაგზალიც ყურის ძირშია... მოკლედ, გმირთა მოედანია საქართველო, და ალბათ, რაკი საქართველოა, ამიტომაც ხდება ასე: რომ ფსამენ, პატივს მიაგებენ გმირებს და გაურკვეველ დიად მომავალს აშენებენ...

თქვენი რადიო - ხიდი მსოფლიოსთან



გადაცემა

ლიბერალი

ცხელი
შოკოლადი
98.5 FM

ყოველ სამუშაო დღეს
საღამოს 6 საათზე
რადიო „ცხელი შოკოლადის“ ეთერში

ფოტო: გელა მიქელაძვილი

სპეცოპერაცია ღოპოტას ხეობაში

„რას შვრებიან?“ „რა ხდება?“ „რას გვიპირებენ?“ „დადგმულია წინასაარჩევნოდ“, „რუსები“, „ამათ ეხლა ომი აწყობთ“, „ამერიკა ირანს ურტყამს და რუსეთი კორიდორს იკეთებს გიუმრში თავისი ბაზისკენ“, „არჩევნები გადაიდება“, „არა, არ გადაიდება“ „პიარი“... იყო ერთი რეკვა და „მე იცი, რას ვფიქრობ?“ „მე იცი, რა მიკვირს?“ „მე იმას დავურეკავ, შენ იმას დაურეკე!“

და წავედით.

გზაშიც ბევრი ვიმარჩიელეთ. გომბორის უღელტეხილზე, ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტრო განაცხადებდა, „ლიბერალმა“ დახურული წყაროსგან მიიღო ინფორმაცია ორი დაღუპული ქართველი ჯარისკაცისა და ერთი დაჭრილის შესახებ. უკვე გასაგები გახდა, რომ ეს ყველაფერი დადგმული არ იყო, ყოველ შემთხვევაში, განმუხური არ ხდებოდა, გაცილებით უარესად იყო საქმე.

ბექა ქურხული
გვ.14

ხეჯოხიღელი საარჩევნო სია

3 621 251 ამომრჩეველი – ამ რაოდენობრივი მაჩვენებლით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები 1990 წლიდან საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს შორის პირველ ადგილს დაიკავებს. ცესკოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, შესაძლოა, კიდევ შეიცვალოს – საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანის პროცესი არჩევნებამდე ორი კვირით ადრე დასრულდება.

ზურაბ ვარდიაშვილი
გვ.26

"ნეტა, მშვიდობიანად გადავიტანოთ არჩევნები"

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის გორის რაიონში კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატები განსხვავებულად ემზადებიან – თუ კოალიციის კანდიდატი სოსო ვახტანგაშვილი მოსახლეობას საჯაროდ ხვდება, „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი გიორგი ტატიშვილი ამომრჩევლებთან შეხვედრების

ფოტო: ბიორგი ჯიბვილი

გამართვას მედიის გარეშე ამჯობინებს.

არაერთგვაროვანია მოსახლეობის დამოკიდებულება ოქტომბრის არჩევნებისადმი – გორის რაიონის სოფლების მკვიდრთა ნაწილი არჩევნებს სკეპტიკურად უყურებს, ნაწილი კი შიშით ხვდება.

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, ისევე როგორც, „ნაციონალურ მოძრაობაში“ დარწმუნებულნი არიან, რომ არჩევნების სამართლიანად ჩატარების შემთხვევაში, პოლიტიკურ ოპონენტებს დიდი სხვაობით დაამარცხებენ.

გიორგი ჭეიშვილი
გვ.22

"ყველა ბილბორდი დაკავებულია"

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსების წესი და სარეკლამო ტარიფები „საარჩევნო კოდექსით“ რეგულირდება. საარჩევნო კანონმდებლობაში გარერეკლამასთან დაკავშირებული ჩანაწერი არ არსებობს. წინასაარჩევნოდ, გარერეკლამის განთავსება კერძო კომპანიასა და პოლიტიკურ სუბიექტს შორის მოლაპარაკების საგანია და მასთან დაკავშირებული რაიმე წესი, ან პირობა, რითაც განთავსების დროს თანასწორობის პრინციპის დაცვა მოხდება, კანონით დადგენილი არ არის.

თათია ხალიანი
გვ.30

ფოტორეპორტაჟი

ჰოგორს საჯუთარ სახლში

ფოტო: გიორგი გოგუა

გიორგი გოგუას ფოტორეპორტაჟი
გვ.40–47

ნომერში:

ფოტო: ბარეკანზე
გელა მიქელაძისა

06 მოკლედ
08 რიცხვები, ციტატები
ორი აზრი
10 წარმოადგენს თუ არა რუსეთი ამ ეტაპზე საქართველოსთვის მთავარ საფრთხეს?
ნიკა ჩიტიძე vs *ზაზა შათირიშვილი*
კომენტარი
10 საქართველომ რუსული საქმე გააკეთა
პაატა ზაქარეიშვილი
მთავარი თემა
კომენტარი
20 ლოპოტას ხეობის ტრაგედიის გამო
არჩევნები 2012
26 რეკორდული საარჩევნო სია
მედია
30 „ყველა ბილბორდი დაკავებულია“
ინტერვიუ
32 „უნივერსიტეტი კრიტიკულ აზრს უნდა ემსახურებოდეს“
მარინე ჩიტაშვილთან
მედიაკრიტიკა
36 ნათია მიქიაშვილის „ანატომია“
ტექნოლოგიები
38 თვალთვალი ინტერნეტში
კრიტიკა
48 არჩევნები ჯერ კიდევ არ იყიდება!
ლიბერალის ვებგვერდიდან
50 საქართველო – „გმირთა მოედანი“

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:
„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

წითელმა ჯვარმა პაკისტანში მუშაობა შეწყვიტა

წითელმა ჯვარმა, რომელიც პაკისტანში თავის მისიას 1947 წლიდან ასრულებს, თალიბების თავდასხმების გახშირებისა და ორგანიზაციის თანამშრომლების მკვლელობის გამო პაკისტანში მუშაობა შეწყვიტა. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მუშაობის შეჩერებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საბაბი მისიის ბრიტანელი თანამშრომლის გატაცება გახდა, რომლის უთავო სხეულიც ამ წლის აპრილში აღმოაჩინეს. მაისში ორგანიზაციამ მუშაობა პაკისტანის 4-დან 3 პროვინციაში შეწყვიტა, 29 აგვისტოს კი ორგანიზაციამ განაცხადა, რომ მართალია, ქვეყანაში ნაწილობრივ დარჩება, მაგრამ წყვეტს სხვადასხვა პროექტებს.
წითელი ჯვარი ისევ გააგრძელებს დაჭრილების დახმარებას და გახსნის საველე ჰოსპიტალს პეშავარში, რომელიც იანვარში ექიმ ჰალილა დალეს თალიბანის მებრძოლების მიერ მოტაცების და მოკვლის შემდეგ დაიხურა.
2011 წელს პაკისტანში წითელი ჯვრის 1300-მდე თანამშრომელი მუშაობდა და ეს მსოფლიოში უმსხვილესი მისია იყო.

"ფესი რაიოთის" წევრებს პატიმრობა მიესაჯეს

რუსული ფემინისტური პანკ-როკ-ჯგუფის „ფესი რაიოთის“ წევრები, ნადეჟდა ტოლოკონიკოვა, მარია ალიოხინა და ეკატერინა სამუცევიჩი სასამართლომ დამნაშავედ ცნო მოსკოვის მაცხოვრის სახელობის ტაძარში სიმღერის შესრულებისთვის „ღვთისმშობელო, განდევნე პუტინი“. ფემინისტები სასამართლომ რელიგიური შუღლის გაღვივებაში დაადანაშაულა და 2-2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. „ფესი რაიოთის“ წევრების მხარდასაჭერად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ათეულობით აქცია გაიმართა. საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-მა კი „ფესი რაიოთის“ წევრებს სინდისის პატიმრები უწოდა.

ასანჟმა პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო

Wikileaks-ის დამფუძნებელმა, ჟულიან ასანჟმა პოლიტიკური თავშესაფარი ეკვადორში მიიღო.
ასანჟი ლონდონში 2 წლის წინ დააპატიმრეს, ამ წლის 30 მაისს კი ლონდონის სასამართლომ მისი შვედეთში ექსტრადირების გადაწყვეტილება მიიღო. მას შვედეთის პროკურატურა სექსუალურ დანაშაულში სდებს ბრალს, თუმცა Wikileaks-ის

დამფუძნებელი თავს დამნაშავედ არ აღიარებს და მიაჩნია, რომ მისი დევნა პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და მის საქმიანობას უკავშირდება.
ჟულიან ასანჟმა Wikileaks-ზე 2010 წელს ათასობით საიდუმლო დიპლომატიური ჩანაწერი გამოაქვეყნა.
ასანჟი ფიქრობს, რომ შვედეთში ექსტრადირების შემდეგ მას ამერიკას გადასცემენ, სადაც შპიონაჟის ბრალდება ემუქრება.
ამჟამად ასანჟი ლონდონში, ეკვადორის საელჩოში იმალება. „შვედეთმა ვერ შეძლო ასანჟის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“, – განაცხადა ეკვადორის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რიკარდო პატინომ. „ერთი კვირის განმავლობაში ეკვადორის, შვედეთის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს მთავრობებს შორის კონსულტაციები მიმდინარეობდა. შვედეთს ვთხოვდით, ექსტრადირების შემდეგ არ მომხდარიყო ასანჟის მესამე ქვეყნისთვის გადაცემა. სტოკჰოლმმა ეს პირობა არ მიიღო, აშშ-მ კი Wikileaks-ის დამფუძნებლის მიმართ ძიების შესახებ ინფორმაციის წარდგენაზე უარი თქვა. ჩვენ მივიღეთ მტკიცე გადაწყვეტილება, რომელიც საერთაშორისო ნორმებითაა გამყარებული“, – ამბობს პატინო.
ეკვადორის მთავრობის გადაწყვეტილებას სიხარულით შეხვდნენ ასანჟის მხარდამჭერები და ჰაკერული დაჯგუფება Anonymous-ის წევრები. თუმცა, ეკვადორის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ბრიტანეთის მთავრობა ლონდონში ეკვადორის საელჩოს ტერიტორიაზე შეჭრით იმუქრება.

სირიაში დაპირისპირება გრძელდება

სირიაში უკვე მე-16 თვეა პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ გამოსვლები გრძელდება. შეტაკებებია დამასკოსა და მის გარეუბნებში, ასევე ალეპოში. უფლებადამცველი ორგანიზაციების ინფორმაციით, 2011 წლის მარტიდან დღემდე სირიაში 25 000-ზე მეტი ასადის მოწინააღმდეგე მოკლეს.
ასადის მთავრობა აღარ მალავს, რომ ქიმიური იარაღი აქვს, თუმცა ამბო-



ბს, რომ საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ არ გამოიყენებს.
პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა სირიაში მიმდინარე სისხლისღვრაში სატელევიზიო გამოსვლისას თურქეთს დასდო ბრალი – აგვისტოს დასაწყისში თურქეთმა განაცხადა, რომ მზად იყო სირიის ტერიტორიაზე საკუთარი მებრძოლები გაეგზავნა თუ იქ ჰუმანიტარული კატასტროფა დაიწყებოდა ან სირია ქურთების მუშათა პარტიის მებრძოლებს მისცემდა თავშესაფარს. მოგვიანებით, თურქეთმა სირიის მთავრობა ქურთი მებრძოლების მხარდაჭერაში დაადანაშაულა და გაეროს მოუწოდა დევნილების თავშესაფრად ჩრდილოეთ სირიაში ბუფერული ზონის დაარსებისაკენ. თურქეთში მოქმედებს სირიელ ამბოხებულთა დახმარების ცენტრიც, რომელსაც მხარს ვაშინგტონი და რამდენიმე არაბული სახელმწიფო უჭერს.
ამერიკა და ევროპის ლიდერები სირიაში ჩარევის აუცილებლობაზე საუბრობენ მას შემდეგაც, რაც რუსეთმა და ჩინეთმა ვეტო დაადო გაეროს რეზოლუციას, რომელიც ბაშარ ასადს გადადგომისკენ მოუწოდებდა.
ბაშარ ალ-ასადს პოლიტიკური თავშესაფარი შესთავაზა ტუნისმა, ხელშეუხებლობას შეპირდნენ არაბულ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრები, თუმცა ალ-ასადი დანებებას არ აპირებს, რეგიონულ და საერთაშორისო ბრძოლაზე საუბრობს და ამბობს, რომ მეამბოხეების სრულად გასანადგურებლად დრო დასჭირდება. ასადის მთავრობა სამოქალაქო დაპირისპირებას არ აღიარებს და მოვლენებს ისლამისტ ტერორისტებთან დაპირისპირებად აფასებს.

ბიძინა ივანიშვილმა დასავლეთისადმი სპეციალური მიმართვა გაავრცელა

ბიძინა ივანიშვილმა დემოკრატიული სამყაროსადმი სპეციალური მიმართვა გაავრცელა.
„თუ დღეიდან არჩევნებამდე ხელისუფლების ქმედებებში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოხდება, საქართველოში ვერ შედგება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები“, – ამბობს ივანიშვილი.
„ქართული ოცნების“ ლიდერის მიმართვაში, მოუგვარებელი საკითხები, პუნქტობრივად არის გამოყოფილი.
„ერთადერთი ქმედითი მექანიზმი, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი ჯერ კიდევ ანგარიშს უწევს, ეს არის საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის პოზიცია. ყველაფრის მიღწევა შეიძლება, თუ იქნება თქვენი ნება, მიუთითოთ სააკაშვილს და მკაცრად მოსთხოვოთ, შეწყვიტოს საკუთარ ხალხზე ძალადობა და საარჩევნო გარემო ოდნავ მაინც მიუახლოვოს საერთაშორისო სტანდარტებს“, – წერია მიმართვაში.

რიცხვები, ციტატები

11 დივერსანტი დაიღუპა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სოფელ ლაფანყურში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს. ამავე ოპერაციისას დაიღუპა სამი ქართველი სამართალდამცავი.

75 მსჯავრდებულმა საპატიმრო ვადაზე ადრე დატოვა. მათი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივმა საბჭოებმა ზეპირი მოსმენის დასრულების შემდეგ მიიღეს.

3 461 851
ამომრჩეველია ერთიან საარჩევნო სიაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო მონაცემებით.

17 მილიონამდე ლარით დაჯარიმდა კახი კალაძე „ქართული ოცნებისთვის“ უკანონო შემოწირულობის ბრალდებით. დაყადაღდა კახი კალაძის უძრავ-მოძრავი ქონებაც – კომპანიები „მაქს ბეტი“, „კალა კაპიტალი“, საცხოვრებელი სახლები და ავტომობილები. ასევე, სასამართლომ დააყადაღა კალაძის საბანკო ანგარიშები.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად 15 პარტია, 2 ბლოკი და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი 4 კანდიდატი დარეგისტრირდა.

„ლოპოტას ოპერაცია საქართველოს საბრძოლო მზადყოფნის გამოცდა იყო“.
საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ლაფანყურის მოვლენებზე ყვარლის რეზიდენციიდან

„თავდაპირველად მოტაცებული იყვნენ ახალგაზრდები, ადგილობრივი მცხოვრებლები. შემდეგ, მესაზღვრეთა პატრული, რომელსაც ინფორმაცია ჰქონდა მოტაცების შესახებ, აიყვანეს მძევლად ამ ახალგაზრდების ნაცვლად და ამას მათ თვითონაც შეუწყვეს ხელი.
ხოლო შემდეგ, შსს-მ ოფიცრები გაგზავნა ამ ჯგუფთან მოსალაპარაკებლად, რომლებმაც ამჯერად უკვე თვითონ დაიკავეს მძევლის ადგილი მესაზღვრეების ნაცვლად“.
საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია ლაფანყურის მოვლენებზე „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში

„ერთადერთი ქმედითი მექანიზმი, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი ჯერ კიდევ ანგარიშს უწევს, ეს არის საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის პოზიცია“.
„ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობას

„თუ არჩევნები უსამართლოდ ჩატარდა, შეერთებული შტატები საქართველოსთან თანამშრომლობის ინტერესს დაკარგავს“.
უილიამ კორტნი, ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში „მეცხრე არხთან“ ინტერვიუში

ლიბერალი

ეწვიეთ „ლიბერალის“
განახლებულ ვებგვერდს
www.liberali.ge

ლელა რეხვიაშვილის ბლოგი

„მომეცი/მოგეცის“ ენა – გენდერული იერარქიები ქართულში

ქართული ენის ერთ-ერთი მომხიბლავი მახასიათებელი მისი გენდერული დაყოფისგან თავისუფლებაა. გენდერის არარსებობა ენაში, უპირველესად, იმას გამოხატავს, რომ ადამიანებზე საუბრისას გენდერის ცოდნა/ცნობა/ გამოყოფა არარელევანტურია. თანასწორობაც მხოლოდ მაშინ არის სრულფასოვანი, როცა გარკვეულ მახასიათებელს მნიშვნელობა აქვს დაკარგული და მისი ხაზგასმა აღარ არის საჭირო.

თუმცა, ჩვენი ენა ასევე სავსეა ძველი და ახალი ტერმინებით, რომლებიც მუდმივად ხაზს უსვამს ქალის სუბორდინაციას და ქალის კომოდიფიკაციას ახდენს. ერთ-ერთი ასეთი შემაწუხებელი სიტყვაა „გათხოვება“. ჩემს თვალში „გათხოვების“, როგორც ზმნის ყველაზე ცუდი ფორმაა „გავათხოვე“.

გიორგი კიკონიშვილის ბლოგი

კულტურა გვშია?

შეიძლება კი კულტურა გშიოდეს? ვინმე მოვიდა და შენი წილი კულტურა შეგიჭამა? ჩართე ინტერნეტი, გადი ქუჩაში, აიღე ფუნჯი, აიღე გიტარა, იფიქრე, იხტუნავე, გაბრაზდი, იყვირე – გამოთქვი შენი სათქმელი, არა ისე, როგორც ამას ყველა აკეთებს... არამედ ისე, როგორც ამას გონება გიკარნახებს. ოღონდ, რესტარტის შემდგომი გონება. გადაარესტარტე გონება იმისგან, რაც უკვე ათეულობით წლებია ტრიალებს, გვესმის. დავიწმინდოთ იმისგან, რასაც ძალით გვაზეპირებინებენ, გვტენიან თავში და გავისროლოთ ახალი იდეა. სხვა კი არაფერია კულტურა – ადამიანთა კომუნიკაციის „ენა“... და როცა ენა „ჯოს! ჯოს“ და ყანწებს ვერ სცდება – ეს ნიშნავს, რომ ამ „ენამ“ ატროფია განიცადა.

ბექა ქურხულის ბლოგი

მათუსალიზმი ქართულ პოლიტიკაში

ამ ხუმრობა-ხუმრობაში, საარჩევნო წეწვა-გლეჯვაში, ცემა-ტყეპაში და ქვის სროლაში, ახალი პოლიტიკური მიმდინარეობაც გაჩნდა – მათუსალიზმი. ხომ გახსოვთ მათუსალა? შენ მოიყარე მათუსალას ხნისაო, ან მათუსალაა ეს ოჯახქორიო, თუ ვინმე იმქვეყნად წასვლას ძალიან დააგვიანებდა და ცოცხალი თავით არ სურდა უფლისთვის სული მიებარებინა. სწორედ ასეთი ახალი პოლიტიკური პლატფორმა წარმოგვიდგინა უკანასკნელ დღეებში დიდმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მათმა პრეზიდენტმა, ჩვენმა მიშა სააკაშვილმა! დიახ, არსადაც არ აპირებენ წასვლას. მათთვის ხელისუფლებიდან წასვლა პირდაპირ სიკვდილს ნიშნავს და ამიტომ მათუსალასავით ებღაუჭებიან მათი სიცოცხლის მთავარ გარანტს და სიმბოლოს – ძალაუფლებას! მერე რა, რომ პრეზიდენტს ყველანაირი ვადა ამოეწურა, კონსტიტუციური, იურიდიული, ეთიკური, მორალური, ფსიქოლოგიური, ფსიქიკური, მერე რა! რამეს მოიფიქრებენ!

დიას
ნიკა ჩიტიძე
პოლიტოლოგი

ნაჰმოადგენს თუ აჰ
საქართველოსთვის

საარჩევნო კონტექსტში გარკვეულწილად ძლიერდება ეს საფრთხე. კრემლთან დაახლოებული ექსპერტებისგან მომისმენია, რომ თუ საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება, რუსეთს და საქართველოს შორის ურთიერთობებიც შეიცვლება და რუსეთის მიზანია საქართველოში რუსეთისთვის მისაღები ხელისუფლება მოვიდეს.

რა თქმა უნდა, რუსეთი დღესაც საფრთხეს წარმოადგენს. ერთია, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის მიერ, მეორე ისაა, რომ რუსეთი საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასუსტებას მუდმივად ცდილობს. ამ მიზნით ის საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დივერსიული თუ ტერორისტული აქტების განხორციელებას გეგმავს. ადგილი ჰქონდა რამდენიმე ტერორისტულ და დივერსიულ აქტს ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე და ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოში ტერორისტები იგზავნებოდნენ. თუ გავითვალისწინებთ დღეს განვითარებულ მოვლენებს და გავრცელებულ ინფორმაციას, რომ დაღესტანი-საქართველოს საზღვართან რუსული ჯავშანტექნიკაა მობილიზებული, შეიძლება ითქვას – რუსეთი მთავარ პრობლემად რჩება დღესაც.

რუსეთის მიზანია „ბოევიკების“ გადმოსვლის ხელშეწყობა საქართველოს ტერიტორიაზე, დივერსიული ტერორისტული აქტების მოწყობა, ასევე საინფორმაციო ომის წარმოება საქართველოს წინააღმდეგ. მუდმივად იმის მტკიცება, რომ საქართველო აფინანსებს იმ ტერორისტებს, რომლებიც შემდეგში ჩრდილოეთ კავკასიაში ტერაქტებს ახორციელებდნენ. რუსეთის მიზანია, რაც შეიძლება მეტმა სახელმწიფომ ცნოს აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაციის წევრი გახდა, ის არ აპირებს საქართველოსთან ნორმალური ეკონომიკური კავშირების აღდგენას.

ჩემი აზრით, საარჩევნო კონტექსტში გარკვეულწილად ძლიერდება ეს საფრთხე. კრემლთან დაახლოებული ექსპერტებისგან მომისმენია, რომ თუ საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება, რუსეთს და საქართველოს შორის ურთიერთობებიც შეიცვლება და რუსეთის მიზანია საქართველოში რუსეთისთვის მისაღები ხელისუფლება მოვიდეს. ამ შემთხვევაში საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ვექტორს საქართველო დასავლეთიდან ჩრდილოეთისკენ გადახრის და ამგვარად, რუსეთს თავისი გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელება გაუადვილდება. რუსეთი ცდილობს წააქეზოს გარკვეული პრორუსული ძალები და არ არის გამორიცხული, რომ არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ დაძაბულობა ამას უკავშირდებოდეს. გარკვეული ძალების მიერ აქტიურად განიხილება არა მარტო არჩევნები, არამედ 2 ოქტომბერიც და შემდეგი პერიოდი, არჩევნების გაყალბების საბაბით გარკვეულ ძალებს რუსეთის ხელშეწყობით დესტაბილიზაციის შექმნა სურთ.

...ა ჩუსეთი ამ ეტაპზე მთავარ საფრთხეს?

ასეთი ტიპის ხელისუფლებას, როგორიც ჩვენია, მტერი აუცილებლად სჭირდება. მით უმეტეს – წინასაარჩევნოდ. აქ რომ ნორმალური პროცესი იყოს, მაშინ მტერი არ იქნება საჭირო – ვიღაც წააგებს, ვიღაც მოიგებს. ესენი ხომ მუდმივად უნდა იყვნენ – სწორედ ამიტომაა მუდმივად საჭირო რუსული არგუმენტი.

არა

ზაზა შათირიშვილი
ფილოსოფოსი

რუსეთი დღეს საფრთხე, შეიძლება მართლაც იყოს, შეიძლება – არა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს რუსული არგუმენტი გაუფასურებულია. როცა რაღაცას მრავალჯერ იმეორებ, იცვითება. არადა, ამ დროს, სინამდვილეში, რუსეთი შესაძლოა მართლაც იყოს საფრთხე.

ამ არგუმენტს ხელისუფლების წარმომადგენლები იმიტომ იყენებენ, რომ ეს ერთადერთი ენაა, რა ენაზეც ოპოზიციასთან ლაპარაკი შეუძლიათ. ხელისუფლების ენა რელიგიური და ფსევდორელიგიურია. რადგან ენა რელიგიურია, საარჩევნო კამპანია კი არ მიდის, არამედ – არმაგედონი. არგუმენტია, რომ რუსეთი არის ყველაზე დიდი ბოროტება და აქედან გამომდინარე – ყველა ცუდი ტიპი რუსეთის აგენტია.

ასეთი ტიპის ხელისუფლებას, როგორიც ჩვენია, მტერი აუცილებლად სჭირდება. მით უმეტეს – წინასაარჩევნოდ. აქ რომ ნორმალური პროცესი იყოს, მაშინ მტერი არ იქნება საჭირო – ვიღაც წააგებს, ვიღაც მოიგებს. ესენი ხომ მუდმივად უნდა იყვნენ – სწორედ ამიტომაა მუდმივად საჭირო რუსული არგუმენტი. მაგრამ ამ არგუმენტის დაუსრულებლად გამოყენება ცვეთს მას, ამ დროს შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ მგელი, მგელიო და საბოლოოდ არავის ეშინია მგლის.

არ არსებობს ძალა მიწაზე, რომელსაც ყველაფერი შეუძლია. როცა რაღაც არ გამოდის, ჩემი პასუხისმგებლობაა – ეს ევროპული არგუმენტია.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ხელისუფლების მენტალური წყობა არაევროპულია. აბსოლუტურად ინფანტილური მდგომარეობაა, როდესაც ჩემ გარშემო არსებობს რაღაც, რასაც ყველაფერი შეუძლია. ის რასაც რუსეთზე ვამბობთ, თურქეთზე, სომხეთზე ან ჩინელებზე რომ ვთქვათ, ქსენოფობია იქნება. რუსეთი ამ მხრივაც გენიალური არგუმენტია, შეგიძლია ყველაფერი თქვა და ეს არც რასიზმი იქნება, არც ქსენოფობია, არც ანტისემიტიზმი. ეს ნიშნავს, რომ თუ რასის და ეთნოსის ნიშნები არ აქვს, ე.ი. რუსეთი კი არა – რაღაც დემონური ძალაა.

საქართველომ ჩუსული საქმე გაარკვია

პაატა ზაქარეიშვილი
რესპუბლიკური პარტიის წევრი

ის ვერსია, რაც ხელისუფლებამ ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ გაავრცელა, სარწმუნო არ უნდა იყოს. როგორც წესი, საზოგადოების ინტერესების შემცველი მოვლენების შეფასებისას, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მოწოდებული ვერსიების უმრავლესობა ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას შეიცავს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, აშკარავდება ხოლმე მათ მიერ შემოთავაზებული ვერსიების ფარისევლური და ყალბი შინაარსი.

თუმცა, იმ დროისთვის საზოგადოება მორიგი სკანდალური მოვლენის ამოხსნით არის დაკავებული და წარსული ამბები ბურუსში იკარგება. ამის ნიმუშად შეიძლება გამოდგეს თუგინდ 2008 წლის 21 მაისს (საპარლამენტო არჩევნების დღე) ტერაქტის ინსცენირება ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში. იმ დღეს გალის რაიონის საზღვართან დაიწვა ორი ავტობუსი და სროლების შედეგად დაიჭრა ერთი ქალბატონი. არჩევნების მთელი დღის განმავლობაში ხელისუფლების პროპაგანდა ამტკიცებდა, რომ ავტობუსებს გალიდან ზუგდიდში ამომრჩევლები გადაჰყავდათ, ისინი აფხაზმა სეპარატისტებმა ააფეთქეს და სროლა აუტეხეს, რათა არ დაეშვათ გალელების მონაწილეობა არჩევნებში. მოგვიანებით ჩატარებულმა ჟურნალისტურმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ეს საქართველოს სპეცსამსახურების მიერ ინსცენირებული ტერაქტი იყო და არავითარი კავშირი არ ჰქონდა აფხაზური მხარის აქტიურობასთან.

ლოპოტის ხეობაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, საზოგადოებაში ძალიან ბევრი შეკითხვა ჩნდება:

როგორ აღმოჩნდნენ ჩრდილოკავკასიელი შეიარაღებული პირები საქართველოს ტერიტორიაზე? როდის გადმოვიდნენ? მაშინვე დაიწყო დევნა, როცა გადმოვიდნენ, თუ მოგვიანებით? რა ვითარებაში და რატომ აიყვანეს მძევლები? ამ კატეგორიის ჯგუფებს, როგორც წესი, მძევლები არ აჰყავთ, თუ არა გამოუვალი და ექსტრემალური ვითარება. როგორ მოხდა, რომ მძევლების გასათავისუფლებლად ჩვენს სამართალდამცველებს ბრძოლა არ დასჭირვებიათ და შემდეგ, დღენახევარი მიდიოდა ოპერაცია? მათი მხრიდან 11 კაცი დაიღუპა, რატომ დაიღუპა სამი ქართველი სამართალდამცავი?

რუსეთი დიდი ხანია ამტკიცებს, რომ საქართველოს ხელისუფლება თავის ტერიტორიაზე ტერორისტებს იფარებს. პირადად მე რუსეთის მთავრობის არასდროს მჯერა, მაგრამ როგორც ჩანს, ამჯერად მათ საქართველოს დისკრედიტაციისათვის საკმარისი არგუმენტი ჩაუვარდათ ხელში.

30 აგვისტოს დაღესტნის ვიალეთის მოჯაჰედებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სააკაშვილმა ისინი მოატყუა და მათ არანაირი მძევლები არ აუყვანიათ. მათ განცხადებაში მუქარაც გაისმა, მაგრამ არა მგონია, ეს მუქარა ქართველი ხალხის წინააღმდეგ იყოს მიმართული. შეიძლება, მუქარა იმ კონკრეტული ჩინოვნიკების მიმართ არის, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონდათ. ეს ჯგუფი ტერორისტულ აქტებს რუსეთის ტერიტორიაზე ახორციელებს, მათი მთავარი მტერი რუსეთია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ძალოვანმა სტრუქტურებმა ტერორისტები გაანადგურეს, ვფიქრობ, ეს ოპერაცია სააკაშვილის იმიჯზე დასავლეთში ძალიან უარყოფითად იმოქმედებს. აშკარაა, რომ შეიარაღებული პირები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე იყვნენ გადმოსული.

მსოფლიო იმდენად დადებითად აფასებს პუტინის ხელისუფლების ტერორიზმთან ბრძოლას, რომ მას მაშინაც კი არ აკრიტიკებენ, როცა ქალები, ბავშვები და მოხუცები იღუპებიან. გავიხსენოთ „ნორდ-ოსტის“ მოვლენები. როგორც წესი, რუსეთს ვერავინ უბედავს მკაცრ კრიტიკას ამის გამო, გარდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა. მსოფლიო, ზოგადად, მიესალმება რუსეთის ანტიტერორისტულ ოპერაციებს. სწორედ ამ კონტექსტში რუსეთის ხელისუფლებას უვარდება ხელში მტკიცებულება, რომ საქართველო ტერორისტების ბუდეა.

უცნაურია, რომ ქართული სახელმწიფო სტრუქტურები დაღესტნიდან გადმოსულ ადამიანებს „დივერსანტებს“ უწოდებენ. როგორ შეიძლება, მათ დივერსია განეხორციელებინათ საქართველოში? გამოდის, რომ ისინი რუსეთისგან იღებდნენ დავალებებს და რუსებთან არიან შეკრულები. რა ხდება, რუსეთი ვაჰაბიტებს აგზავნის საქართველოში ტერაქტებისთვის? თუ რუსეთი დევნის და საქართველო იფარავს მათ? ტერორისტები გავანადუ-

ფოტო: ბელა მეიბლიშვილი

რეთ და რუსული საქმე გავაკეთეთ, მაგრამ მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ ჩვენთან არიან ტერორისტები. სჯობდა, რამდენიმე მათგანი მაინც აგვეყვანა ცოცხლად და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე წარგვედგინა, როგორც კონტრარგუმენტი რუსეთის პროპაგანდის საწინააღმდეგოდ. ის, რომ ვერცერთი ტერორისტი ვერ დავატყვევეთ, ადასტურებს იმას, თუ რამდენად არაკომპეტენტურად ჩატარდა ოპერაცია. იქნებ საქართველოს ხელისუფლებას არცკი აწყობდა მათ შორის ვინმე ცოცხალი გადარჩენილიყო? ესეც კიდევ ერთი პასუხგაუცემელი კითხვაა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ეპიზოდსაც, როგორც სხვა ნებისმიერ სახელმწიფოს წინაშე მდგარ გამოწვევას, სააკაშვილი არჩევნების წინ სათავისოდ გამოიყენებს.

დაბოლოს, არ მგონია, რომ ამ ოპერაციას გაგრძელება უნდა მოჰყვეს. თუმცა, აშკარაა, ჩრდილოკავკასიელი ხალხები, ვისაც ეს ექსტრემისტები და მოჯაჰედები მოსწონთ, ჩვენს მიმართ გულს აიცრუებენ. ქართულმა ხელისუფლებამ, როცა ჩეჩენთა გენოციდის აღიარების კამპანია წამოიწყო (რაც, ჩემი აზრით, შეცდომა იყო), ჩრდილოკავკსიელების ნაციონალისტური და რელიგიური წრეების სიმპათია დაიმსახურა. ახლა, ამ სპეცოპერაციის შემდეგ, ეს წრეები საქართველოს ალბათ კვლავ გაუუცხოვდებიან.

უცნაურია, რომ ქართული სახელმწიფო სტრუქტურები დაღესტნიდან გადმოსულ ადამიანებს „დივერსანტებს“ უწოდებენ. როგორ შეიძლება, მათ დივერსია განეხორციელებინათ საქართველოში? გამოდის, რომ ისინი რუსეთისგან იღებდნენ დავალებებს და რუსებთან არიან შეკრულები. რა ხდება, რუსეთი ვაჰაბიტებს აგზავნის საქართველოში ტერაქტებისთვის?

ადგ. დიღომი
ადგ. ბოლოთანი
ადგ. ბოლოთანი
ადგ. ბოლოთან



რეპორტაჟი

სპეცოპერაცია ლოპოტას ხეობაში

ბექა ქურხული

სოფელი ლაფანყური ლოპოტას ხეობაშია შემალული და თელავის რაიონს ეკუთვნის. ეს ხეობა საქართველო-დაღესტნის საზღვრიდან 30 კილომეტრში მდებარეობს.

ალაზნის ველისა და კავკასიონის ქედის შესაყარზე შეყუჟული, ფშაველებით დასახლებული ეს პატარა სოფელი საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისათვის უცნობი დარჩებოდა, მარიამობის ღამეს, მოულოდნელად დაწყებული სპეცოპერაცია რომ არა, რომელმაც მთელი საქართველო შეაშფოთა და კავკასია აალაპარაკა.

ლაფანყურისკენ მიმავალი გზა ნაფარეულიდან უხვევს და ისეა გადათხრილი და დანგრეული, რომ ეტყობა, ხელისუფლების წარმომადგენლებს აქეთ ჯერ არ გამოუვლიათ და არც არაფერი საქმე ჰქონიათ. შესაბამისად, სოფელი თავისთვის მშვიდად ცხოვრობდა. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველოს თავზე დატრიალებული დიდი თუ პატარა კონფლიქტი ამ სოფელს არასოდეს შეხებია. პირიქით, ჩრდილოეთკავკასიელებთან საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ.

„ჩვენ ფშავლები ვართ, მესაქონლე ხალხი, საქონელი გვაჭმევს პურსა და გვინახავს ოჯახს. საქონელს საძოვარი უნდა, ტყე. ჩვენც სულ ტყე-ღრესა ვართ მოდებული და აბა, რაც თავი გვახსოვს, ჯერ არ ყოფილა აქ კაცი დაკარგულიყოს“, – ამბობენ ლაფანყურელები. სწორედ ამიტომ შეაშფოთა სოფელი საქეიფოდ წასული 5 ბიჭის გაუჩინარებამ. ამ სოფლის შესასვლელ-გამოსასვლელი გზა მხოლოდ ერთია. ამიტომ, ის ვერსია, რომ ხევში „შლოპანცებით“ წასული 18-იდან 24 წლამდე ახალგაზრდები იქიდან კიდევ სადმე წავიდოდნენ, გამორიცხულია. ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ იქ დაბადებულ-გაზრდილ ბიჭებს გზა აბნეოდათ და დაკარგულიყვნენ.

როგორც ადგილობრივები ჰყვებიან, თითქმის ერთი დღე-ღამის ძებნის შემდეგ ე.წ. მარმარილოებთან, ანუ მარმარილოს კარიერებთან, ადამიანების კვალს და ნაბინავარს წასწყდომიან. ადგილობრივი მოსახლეობა დაჟინებით იმეორებს, რომ იმ ადგილას, სადაც ნაბინავარს წააწყდნენ, „ბარამბოს“ შოკოლადის ნაფცქვენები

ფოტო: გელა მეიერხანოვი

დაკარგულების მოსაძებნად წასული ლაფანყურელები აცხადებენ, რომ მძევლების გამოხსნის დროს არ ყოფილა არანაირი შეტაკება ან სროლა. მძევლები გამოიხსნეს ძალიან მალე. რაც მთავარია, ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მესაზღვრეები იმავე მანქანებით და შემადგენლობით ჩამობრუნდნენ, როგორც აიარეს.

და ჩურჩხელები აღმოაჩინეს. გასაგებია, რომ მთაში მოსიარულე სხვადასხვა შეიარაღებულ დაჯგუფებებს საგზლად ძალიან ხშირად დააქვთ ტკბილეული. ალპურ ზონაში სასიარულოდ გლუკოზა აუცილებელია, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას უკვირს, საიდან გაუჩნდათ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულ დივერსანტებს ქართული წარმოების შოკოლადი და მით უმეტეს – ჩურჩხელა.

მას შემდეგ, რაც ადგილობრივი მოსახლეობა ნაბინავარს წააწყდა, ნაკვალევს მიჰყვა, რომელიც ზევით მთებში მიდიოდა. ახალგაზრდების საძებნელად წასულთა დიდი ნაწილი მონადირე იყო და ნაკვალევის ცნობა და იქაური ბილიკებიც ძალიან კარგად იცოდა, თან, ნაწვიმარიც ყოფილა.

ძებნის დროს ერთ-ერთი გატაცებულის ბიძამ გზაზე სამხედრო ქუდი და გულზე ჩამოსაკიდებელი პატარა ფარანი იპოვა. ცოტა ხანში, მოსახვევთან, სამი შეიარაღებული პირი შეუმჩნევიათ. სასწრაფოდ გამობრუნდნენ და სასაზღვრო პოსტს, ე.წ ლოპოტას სექტორს დაუკავშირდნენ.

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, მესაზღვრეებმა ძალიან ოპერატიულად იმოქმედეს. ორი სამხედრო „პიკაპით“ ამოვიდნენ, დაკარაგული ახალგაზრდების საძებნელად წასულ მოსახლეობას ადგილზე დარჩენა სთხოვეს და გზა გააგრძელეს. ადგილობრივი მოსახლეობა ქვევით, საგუშაგოსთან დარჩა და მოვლენების განვითარებას დაელოდა.

„ლიბერალთან“ საუბრისას გატაცებულის ბიძამ განაცხადა, რომ დაახლოებით ნახევარ საათში მესაზღვრეებმა საგუშაგოს აცნობეს: „ყველაფერი კარგადაა, დაკარგული და გატაცებული ბიჭები ვიპოვეთ და ყველაფერი ისე არის, როგორც ჩვენ გვინდაო“.

ცოტა ხნის შემდეგ მესაზღვრეებმა უკან ჩამოიარეს. მანქანებში, მესაზღვრეებთან ერთად, დაკარგული და გატაცებული ახალგაზრდებიც ისხდნენ. თუმცა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, ბიჭებთან არა მხოლოდ გასაუბრების, მიახლოების საშუალებაც არ მისცეს. დაველაპარაკებით და ცოტა ხანში უკან მოვიყვანთო. დახსნილი მძევლები ჯერ ნაფარეულში და შემდეგ თელავში (ზოგიერთი ინფორმაციით, თბილისშიც) გადაიყვანეს და არცთუ ცოტა ხანი, მთელი ორი დღე-ღამე ჰყავდათ იზოლირებული ისე, რომ ოჯახის წევრებმაც ვერ ნახეს. ადგილობრივები ვარაუდობენ, რომ ალბათ „ამუშავებდნენ“, რა ეთქვათ და რა – არა. უფრო სწორად – არაფერი რომ არ ეთქვათო.

დაკარგულების მოსაძებნად წასული ლაფანყურელები აცხადებენ, რომ მძევლების გამოხსნის დროს არ ყოფილა არანაირი შეტაკება ან სროლა. მძევლები გამოიხსნეს ძალიან მალე. რაც მთავარია, ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მესაზღვრეები იმავე მანქანებით და შემადგენლობით ჩამობრუნდნენ, როგორც აიარეს. ბიჭებიც ჩამოიყვანეს, მანქანებში დავინახეთო. ეს კი ეწინააღმდეგება ხელისუფლების ვერსიას, თითქოს მესაზღვრეები მძევლებს ჩაენაცვლნენ და თვითონ ჩაბარდნენ მძევლებად გამტაცებლებს.

ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ სპეცოპერაცია მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც მძევლები გათავისუფლდნენ. ამასვე ადასტურებს „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“, რომელმაც დღის 2 საათზე გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ საზღვრისპირა სოფლიდან დაკარგული 5 ახალგაზრდა იპოვეს. ამის შესახებ „კახეთის საინფორმაციო ცენტრს“ თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნუგზარ ხუცაიძემ განუცხადა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ღამის 12 საათზე გაავრცელა სპეციალური განცხადება. მათი ინფორმაციით, „საქართველო-რუსეთის საზღვართან, დაღესტნის მონაკვეთთან, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია შეიარაღებული ჯგუფი. შსს მიერ ხორციელდება

აღნიშნული ჯგუფის დევნის ოპერაცია“.

იმავე ღამით „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ „სოფელში პოლიციისა და სამხედროების დამატებითი ძალები შევიდნენ. ოპერაციაში რამდენიმე ვერტმფრენი ჩაერთო. დაჭრილების და გარდაცვლილების შესახებ ინფორმაცია ამ დრომდე არ ვრცელდებოდა.

ასევე გავრცელდა ამბავი, რომ თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურში, სადაც ქართული ძალოვანები სპეცოპერაციას ატარებდნენ, წინა დღეს სოფლის მცხოვრებმა, თავდაცვის სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა, თავი მოიკლა.

მოსახლეობაში გაჩნდა ბუნებრივი კითხვები, რა სპეცოპერაცია ტარდება? რომელი შეიარაღებული ჯგუფია საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილი და აღმოჩენილი? ვის ვებრძვით? მთელი დღის განმავლობაში ამ კითხვებზე კონკრეტული პასუხი არ იყო.

ამის შემდეგ გაჩნდა ბევრი ვერსია, ეჭვი და ვარაუდი.

29 აგვისტოს „ლიბერალი“ ესაუბრა ორ წყაროს, რომელიც სამთავრობო სტრუქტურებში მსახურობენ. მაგრამ მათ არა მარტო ის არ იცოდნენ, რა სპეცოპერაცია ტარდებოდა და ვის წინააღმდეგ, არამედ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ საერთოდ რაიმე ხდებოდა. არაფერი არ იცოდნენ მომხდარის შესახებ იქვე პანკისის ხეობაშიც, სადაც ძალიან ბევრი რამე მომხდარა და სულ „იციან“, სად რა ხდება.

ასეთმა საინფორმაციო ბლოკადამ ხელი შეუწყო მითქმა-მოთქმას და ჭორებს. პირველი, რაც ყველას გაახსენდა, ეს იყო 2008 წლის მაისის არჩევნების დროს ენგურზე, განმუხურთან მომხდარი ამბავი და გამაყრუებელი სროლა, როდესაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, დაცვის ანაბარამ, და ის დაცვაც რატომღაც უკან მისდევდა, შიშველი ხელებით გარეკა ენგურიდან შემოჭრილი, კბილებამდე შეიარაღებული რუსი ჯარისკაცები.

„რას შვრებიან?“ „რა ხდება?“ „რას გვიპირებენ?“ „დადგმულია წინასაარჩევნოდ“, „რუსები“, „ამათ ეხლა ომი აწყობთ“, „ამერიკა ირანს ურტყამს და რუსეთი კორიდორს იკეთებს გიუმრში თავისი ბაზისკენ“, „არჩევნები გადაიდება“, „არა, არ გადაიდება“ „პიარი“... იყო ერთი რეკვა და „მე იცი, რას ვფიქრობ?“ „მე იცი, რა მიკვირს?“ „მე იმას დავურეკავ, შენ იმას დაურეკე!“

და წავედით.

გზაშიც ბევრი ვიმარჩიელეთ. გომბორის უღელტეხილზე, ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტრო განაცხადებდა, „ლიბერალმა“ დახურული წყაროსგან მიიღო ინფორმაცია ორი დაღუპული ქართველი ჯარისკაცისა და ერთი დაჭრილის შესახებ. უკვე გასაგები გახდა, რომ ეს ყველაფერი დადგმული არ იყო, ყოველ შემთხვევაში, განმუხური არ ხდებოდა, გაცილებით უარესად იყო საქმე.

დაახლოებით ერთ საათში შსს-მ გაავრცელა ინფორმაცია 3 დაღუპული ჯარისკაცის და 5 დაჭრილის შესახებ. ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში სამხედრო ვერტმფრენი დაჯდა.

გამოიკვეთა ისიც, თუ ვის წინააღმდეგ მიმდინარეობდა სპეცოპერაცია. ჩრდილოეთ კავკასიელი დივერსანტები, იგივე მოჯაჰედები. თუმცა კვლავ უცნობი იყო მათი რაოდენობა. ათი, ოცი, ასი, რამდენი? როგორ გაჩნდნენ ისინი თელავის სოფლიდან 3 კილომეტრში, სადაც ხალხი მძევლად აიყვანეს? რას ითხოვდნენ? რის დივერსია? და ისევ მარჩიელობა. თითქოს ლოგიკური იყო ყველაფრის დაღესტანში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირება, სადაც ამ ბოლო დროს ძალიან დაძაბული ვითარებაა. იქაურობა წლების განმავლობაში საათზე დაყენებულ, მოწიკწიკე ნაღმს ჰგავს. როდის იფეთქებს, კაცმა არ იცის. სულ უნდა ელოდო.

სამშაბათს თვითმკვლელმა შაჰიდმა ქალმა დაღესტნის მუფტი ააფეთქა. ბუნებრივია, ამას დიდი ამბები მოჰყვა. საქართველოს მოსაზღვრე ბოთლიხისა და ბეჟტის რაიონში რუსებმა და ადგილობრივმა მილიციამ დამატებითი ძალები შეიყვანეს. ოფიციალური ინფორმაციით, მთებში გამაგრებული დოკუ უმაროვის კავკასიის იმარატის მებრძოლების – მოჯაჰედების საზამთრო ბაზების აღმოსაჩენად და მათ საბოლოოდ გასანად-

"დევნის ოპერაციის" ქრონოლოგია

28 აგვისტო

▸ დილით ტელეკომპანიებმა „რუსთავი 2“-მა და „იმედმა“ სოფელ ლაფანყურის ტყიდან 5 ახალგაზრდის დაკარგვის შესახებ ინფორმაცია გაავრცელეს. პოლიცია 25 წლამდე მამაკაცებს – ლერი ხუცურაულს, ლევან გარაშვილს, ბესიკ მიჯახკაშვილს, ტატო ღაღოლიშვილს და თამაზ გამიერაშვილს ეძებდა. ახალგაზრდები საქეიფოდ სასაზღვრო სოფელ ლაფანყურიდან დაახლოებით 4 კილომეტრში, ტყეში წავიდნენ. მათი კვალი 26 აგვისტოს, დღის 4 საათიდან დაიკარგა.

▸ დღის 2 საათზე „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“ ინფორმაციას აქვეყნებს, რომ საზღვრისპირა სოფლიდან დაკარგული 5 ახალგაზრდა იპოვეს. ამის შესახებ „კახეთის საინფორმაციო ცენტრს“ თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნუგზარ ხუცაიძემ განუცხადა.

▸ ღამის თორმეტ საათზე შინაგან საქმეთა სამინისტრო სპეციალურ განცხადებას ავრცელებს. მათი ინფორმაციით, საქართველო – რუსეთის საზღვართან, დაღესტნის მონაკვეთთან, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია შეიარაღებული ჯგუფი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ხორციელდება აღნიშნული ჯგუფის დევნის ოპერაცია.

▸ იმავე ღამით „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ სოფელში პოლიციის და სამხედროების დამატებითი ძალები შევიდნენ. ოპერაციაში რამდენიმე ვერტმფრენი ჩაერთო. დაჭრილებისა და გარდაცვლილების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

გურებლად. შენდება ახალი სამხედრო საველე ჰოსპიტალები.

გამოითქვა ვარაუდი, რომ ამ სპეცოპერაციის დროს მოჯაჰედების, ან როგორც ოფიციალური ხელისუფლება აცხადებს, „დივერსანტების“ ჯგუფმა რუსებს გადმოასწრო და საქართველოს მთებს შეაფარა თავი. ასეთი რამ ადრეც ხშირად მომხდარა. გადმოდიოდნენ, მაგრამ ეს ჯგუფები იარაღს ყოველთვის და უპრობლემოდ აბარებდნენ, იმის იმედით, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსებს არ გადასცემდა. ხელისუფლებაც ხან გადასცემდა ამ ხალხს რუსებს, ხან – არა. გააჩნია, როგორ ხასიათზე იყვნენ და როგორ უჭირდათ.

ვთქვათ, მართლაც, გადმოვიდნენ დივერსანტები, რომლებიც დაღესტნის მუფტის აფეთქების შემდეგ ალყაში მოაქციეს. წააწყდნენ ლაფანყურელებს და მძევლებად აიყვანეს, მაგრამ ერთი ამბავი არ გამოდის: ეს ბიჭები კვირას დაიკარგნენ, ხოლო მუფტი სამშაბათს ააფეთქეს, ანუ როცა დაღესტნის საზღვარზე ვითარება გამწვავდა და ამის შემდგ „დივერსანტთა ჯგუფმა“ ლოპოტას ხეობაში შემოაღწია, ეს ბიჭები უკვე ორი დღის დაკარგულები იყვნენ.

ლაფანყურელები სხვა რამეებსაც ამბობენ, მაგალითად იმას, რომ ამ ფაქტამდე ორი-სამი კვირით ადრე ქართველი ძალოვანები აქტიურად მოძრაობდნენ ხეობაში, ატარებდნენ წვრთნებს. ადგილობრივები იქვე, სოფელ ართანასთან წააწყდნენ ახლად ამოთხრილ სანგრებს. თითქოს აქ არაფერია გასაკვირი, ერთი ფაქტი რომ არა – ადგილობრივები ირწმუნებიან, არასოდეს, არცერთი ომის დროს, 2008 წლის აგვისტოს ომის ჩათვლით, ჩვენი ძალოვანები ასე აქტიურად არ მოძრაობდნენ ამ ხეობაში და საერთოდ, აქ დისლოცირებული ლოპოტას სექტორის მესაზღვრეების გარდა, იშვითად შეხვდებოდით ფორმიან ადამიანს.

მეტიც, ამ მოვლენამდე ასევე რამდენიმე კვირით ადრე, თვითმხილველი აცხადებს, რომ ტყეში ორ საეჭვო უცხო ადამიანს შეხვდა და როდესაც მათი ვინაობა იკითხა, ერთ-ერთმა მკვეთრი ჩრდილოკავკასიური აქცენტით უპასუხა, რომ ქისტი მწყემსები იყვნენ და ამხანაგს ელოდებოდნენ. თვითმხილველი ამბობს, რომ უცნობები იტყუებოდნენ, რადგან ამ ხეობაში ერთადერთი ქისტი მწყემსია და ისიც ჩემი ახლობელი, ჩემს ოჯახში ხშირად მოდის და ძალიან კარგად ვიცნობო.

დღეს, როდესაც ლოპოტას ხეობაში სპეცოპერაცია დასრულებულია, უამრავი კითხვა და თეთრი ლაქა რჩება. რატომ იყო სრული საინფორმაციო ვაკუუმი? გასაგებია, რომ სპეცოპერაციის დროს აუცილებელია გარკვეული კონფიდენციალობის დაცვა, მაგრამ ახლა, როდესაც ყველაფერი დამთავრდა, რატომ არის ყველაფერი მკაცრად გასაიდუმლოებული? რატომ ჰყავთ ყოფილი მძევლები უმკაცრესი კონტროლის ქვეშ და რატომ უკრძალავენ ნებისმიერ კონტაქტს მედიასთან? არადა, ყველას კარგად გვახსოვს, რომ ცხინვალის 2008 წლის ომს ყველა საინფორმაციო არხი, ფაქტობრივად, თავიდან ბოლომდე გადასცემდა ღია ეთერში, ვინ იყვნენ სინამდვილეში ჩრდილოეთ კავკასიელი „დივერსანტები“ და რა დივერსიებს გეგმავდნენ? რა ბედი ეწია გადარჩენილ ექვს დივერსანტს? როგორ მოხდა, რომ შეტაკებისას თერთმეტივე დაიღუპა და არცერთი არ დაჭრილა და ეს მაშინ, როცა თუნდაც ერთი მათგანის ცოცხლად აყვანა უამრავ რამეს მოჰფენდა ნათელს. როგორ მოახერხა 17-მა შეიარაღებულმა პირმა სახელმწიფო საზღვრის დარღვევა და შუაგულ კახეთში, სოფლიდან სამ კილომეტრში, დღისით-მზისით, ადამიანების მძევლად აყვანა? ის არგუმენტი, რომ ტყე შეფოთლილია და ამიტომ ასეთ დროს საზღვრის დარღვევა ჩვეულებრივი ამბავია, არადამაჯერებელია, მით უმეტეს, საზღვრის ეს მონაკვეთი ალპურ ზონაზე გადის, ამიტომ იქ ვერაფერი შეფოთლილი ვერ იქნება. რა გამოდის, რუსეთ-საქართველოს ყველაზე რთულ, დაღესტნის მონაკვეთზე ფოთოლცვენას უნდა ველოდოთ?

რატომ არ გამოცხადდა სასაზღვრო სექტორში განგაში და საგანგებო მდგომარეობა, თუკი ჯერ ხუთი ახალგაზრდა აიყვანეს მძევლად და მით უმეტეს, თუ მათ მესაზღვრეები მართლა ჩაენაცვლნენ?

"დევნის ოპერაციის" ქრონოლოგია

29 აგვისტო

▸ **დაჭრილების შესახებ ინფორმაცია პირველად 29 აგვისტოს გავრცელდა. „სოფელ ლაფანყურის მიმდებარე ტერიტორიიდან სავარაუდოდ, ერთი დაჭრილი გამოიყვანეს“ – იუწყებოდა „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“.**

▸ **შსს მორიგ განცხადებას ავრცელებს: შეიარაღებული დაჯგუფების გაუვნებელყოფის მიზნით ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაცია გრძელდება. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით კრიზისების მართვის შტაბია შექმნილი, რომელშიც შინაგან საქმეთა, იუსტიციის და თავდაცვის სამინისტროები შედის. შემუშავებულია უწყებათაშორისი კოორდინირებული მოქმედების გეგმა, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს.**

▸ **12 საათიან გამოშვებაში ტელეკომპანია „რუსთავი 2“ იუწყება, რომ ლოპოტას ხეობაში შსს-ს სპეცოპერაციის შედეგად მოკლულია დივერსანტი, არიან დაჭრილებიც. ამავე საინფორმაციო საშუალების ცნობით, ოპერაციის მიზანი მძევალთა გათავისუფლებაა. დივერსიულმა ჯგუფმა მძევალთა სამი ჯგუფი აიყვანა, მათ შორის იყვნენ ის ახალგაზრდებიც, რომლებიც ლაფანყურიდან 26 სექტემბერს გაუჩინარდნენ.**

▸ **დღის 3 საათზე, თბილისში ღუდუშაურის კლინიკაში სამხედრო ვერტმფრენი დაეშვა. ადგილზე შეკრებილმა ჟურნალისტებმა დაინახეს, როგორ გადმოიყვანეს საავადმყოფოს ეზოში დაშვებული ვერტმფრენიდან ორი დაჭრილი.**

▸ **დღის 3 საათზე, „ლიბერალი“ მთავრობის პრესსპიკერს შოთა უტიაშვილს ესაუბრა. უტიაშვილის თქმით, სოფელ ლაფანყურში დაწყე-**

ფოტო: გელა მეიფარაშვილი

ლაფანყურელები სხვა რამეებსაც ამბობენ, მაგალითად, იმას, რომ ამ ფაქტამდე ორი-სამი კვირით ადრე ქართველი ძალოვანები აქტიურად მოძრაობდნენ ხეობაში, ატარებდნენ წვრთნებს.

იმავე საღამოს, ერთ-ერთი მესაზღვრის დედა, რომლის შვილიც ამ დროს ალპურ ზონაში სასაზღვრო საგუშაგოზე იმყოფებოდა, შვილს დაუკავშირდა. მესაზღვრემ ოჯახის წევრებს განუცხადა, რომ იქ აბსოლუტური სიმშვიდე იყო და თავის თანამებრძოლის მძევლად აყვანის შესახებ არაფერი გაუგია. დაუჯერებელია, სასაზღვრო პერიმეტრზე მესაზღვრეები ჰყავდეთ მძევლებად და უახლოეს საგუშაგოს ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდეს.

ლაფანყურში თითქმის ვერ ვნახეთ ადამიანი, რომელიც ოფიციალურ ვერსიას ენდობა. მათ მოვლენების განვითარების საკუთარი სცენარი აქვთ: „საქეიფოდ წასულ ბიჭებს შემთხვევით შეიარაღებული დაჯგუფება შეეჩეხათ. მათ ასე თავისუფლად უკვე ველარ გაუშვებდნენ. თუმცა, ადგილობრივები ირწმუნებიან, რომ გამტაცებლები ძალიან კარგად ექცეოდნენ გატაცებულებს. როდესაც მესაზღვრეები წამოეწივნენ, მათ შორის ასეთი შეთანხმება მოხდა – გაუშვით ჩვენი ხალხი და თქვენს გზაზე წადითო. მოჯაჰედები ამაზე დათანხმდნენ, ბიჭები მესაზღვრეებს ჩააბარეს და თავის გზაზე წავიდნენ. ამის შემდეგ დაიწყო სპეცოპერაცია, რომელიც სროლით და ორმხრივი მსხვერპლით დამთავრდა“.

„ვეხვეწებოდით, გაგვიყოლეთ თან. ყველა ხე, ბუჩქი, ბილიკი ზეპირად ვიცით. ყველა ეხი და ხეობა. არა, არ გვჭირდებითო. აი, ასე აბუჩად აგვიგდეს და ეგრე გამოგვისტუმრეს. რომ წავეყვანეთ, არც ის სამი ახალგაზრდა ჯარისკაცი დაგვეღუპებოდა. თან სულ ჩვენებია, მთისები... ეჰ, ნეტავ, სულ არ დავბადებულიყავ, ამათ შემხედვარე...“

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამ დროს სატელევიზიო ბრიფინგს ატარებდა ყვარელში, ტრიბუნასთან იდგა და წარმატებული სპეცოპერაციის შედეგებს აჯამებდა.

„ლიბერალი“ სამძიმარს უცხადებს დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ოჯახებს და იზიარებს მათ ტრაგედიას.

ბული სპეცოპერაცია „ანტიტერორისტული ხასიათისაა“ და სპეცოპერაცია „ჩრდილოკავკასიელების წინააღმდეგ მიმდინარეობს.

▸ 4 საათისათვის „ლიბერალს“ დახურული წყარო ატყობინებს, რომ გარდაცვლილები არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები სოლომონ წიკლაური და არჩილ ჩოხელი და თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ძალების ექიმი, კაპრალი ვლადიმერ ხვედელიძე. ინფორმაციას მალევე ადასტურებს შსს-ც.

▸ საღამოს 6 საათისათვის, შსს გათავისუფლებული მძევლების ვიდეოს ავრცელებს, გათავისუფლებულები ტყვეობის შესახებ ჰყვებიან.

▸ საღამოს 6 საათისათვის, შსს სპეცრაზმის სამი თანამშრომლის დაღუპვისა და ხუთი დაჭრილის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. შსს ინფორმაციით, ლიკვიდირებულია შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრი და მიმდინარეობს 6 დივერსანტის „დევნის ოპერაცია“.

▸ „ლიბერალის“ კორესპონდენტის ცნობით, ღამის 1 საათზე ლოპოტას ხეობაში ჯარისკაცებით სავსე ცხრა სამხედრო მანქანა შევიდა და 20-მდე პოლიციის პიკაპი გამოვიდა. სოფელში სიმშვიდეა.

▸ საღამოს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია „მძევალთა სამი ჯგუფის“ შესახებ განმარტებებს აკეთებს. „თავდაპირველად მოტაცებული იყვნენ ახალგაზრდები, ადგილობრივი მცხოვრებლები. შემდეგ, მესაზღვრეთა პატრული, რომელსაც ინფორმაცია ჰქონდა მოტაცების შესახებ, აიყვანეს მძევლად ამ ახალგაზრდების ნაცვლად და ამას მათ თვითონაც შეუწყვეს ხელი. ხოლო შემდეგ, შსს-ს ოფიცრები“, – აღნიშნა გიგა ბოკერიამ.

კომენტარი

ლოპოტას ხეობის ტრაგედიის გამო

რამდენად რეალური იყო რუსეთის მხრიდან პოტენციური სპეცოპერაციის საფრთხე, შეიძლებოდა თუ არა, რაიმეს გაკეთება მსხვერპლის თავიდან ასარიდებლად?

ქეთი ქანთარია

ფოტო: გელა მესხიშვილი

შეირაღებული ჯგუფი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ რუსეთ-საქართველოს დაღესტნის მონაკვეთი გადმოკვეთა, ლიკვიდირებულია. სამხედრო ოპერაციას 3 ქართველი სპეცრაზმელი და (31 აგვისტოს დილის მონაცემებით) 11 ჩრდილოკავკასიელი მებრძოლი შეეწირა. თუ რა მოხდა სინამდვილეში 26-29 აგვისტოს, რამდენიმეუცნობიან განტოლებას ჰგავს. სპეცოპერაციის დროს დაღუპული მებრძოლები, რომლებიც გაუგებარი მიზეზის გამო ქართველმა სამართალდამცავებმა თავიდანვე „დივერსანტებად“ მონათლეს, დიდოეთის წუნთის დაჯგუფების წევრები იყვნენ. წუნთა ბოლო ხანებში უკიდურესად მღვრიე დაღესტნის კვალობაზეც კი გამორჩეულად რთული პუნქტია. გასაკვირი არაა, რომ ანალიტიკოსები ამ ტრაგიკული ინციდენტის თაობაზე ჯერჯერობით მოკლე კომენტარით იფარგლებიან.

სამაგიეროდ, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლო ხანებში სიტუაციას არსად მიუღწევია ისეთი დაძაბულობისთვის, როგორც დაღესტანში. ერთ-ერთი ავტორი იმასაც წერს, რომ დაღესტანს ბოლო ასწლეულში ასეთი მძიმე დროება არასდროს დადგომია. ლოპოტის ხეობის ინციდენტამდე ერთი დღით ადრე რესპუბლიკაში რამდენიმე ტერორისტული აქტი მოხდა: ერთ-ერთ სამხედრო პუნქტთან დაღესტნელმა მესაზღვრემ რვა თანამშრომელი მოკლა. იმავე დღეს მომხდარმა ტერაქტმა, რომელიც ბრეიკდანსის ყოფილმა მოცეკვავემ, შემდგომ ოთხჯერ სხვადასხვა მუჯაჰედზე გათხოვილმა გამუსლიმანებულმა რუსმა ქალმა ჩაიდინა, დაღესტნის ახალგაჩენილი იმედები დაამსხვრია. ორსულად შენიღბულმა თვითმკვლელმა ტერორისტმა ცნობილი სუფია შეიხი, საიდ აფანდი ჩირქეელი (აცაევი) საკუთარ სახლში ააფეთქა.

საიდ აფანდიმ 2011 წლიდან სალაფიტებთან (ვაჰაბიტებთან) მძაფრ დაპირისპირებაზე ხელი აიღო და სუფიებთან დიალოგის საჭიროებაზე ალაპარაკდა. ერთი წლის განმავლობაში ბევრი მოახერხა და სწორედ მაშინ მოკლეს, როდესაც პროცესი შეიძლებოდა რეალური გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ შეიხის ფიგურაც არაერთგვაროვნად ფასდება, ეს უზარმაზარი დანაკარგია დაღესტნისთვის. ზოგს არ ავიწყდება, რომ პუტინისათვის დუას (ლოცვა) აღვლენის მოწოდებაც მისგან მოდიოდა და თავიდან სალაფიტების და სუფიების დაპირისპირებაშიც უარყოფითი როლი ითამაშა.

ზოგადად, ჩრდილოეთ კავკასიაში სუფიებს პრობლემა აქვთ: ეს არის ისლამის რბილი, არააგრესიული ფორმა, სამწუხაროდ, ისე გამოვიდა, რომ სუფიების ნაწილი რუსეთის ფედერალურ ხელისუფლებასთან კონფორმისტულ თანამშრომლობაზე წავიდა. რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ ტენდენცია ჩანს.

ყველა „სიამოვნებასთან“ ერთად დაღესტანს არც შიიტების და სუნიტების მძაფრი დაპირისპირება აკლია. სუფიებიცა და სალაფიტებიც (ვაჰაბიტები) სუნიტები არიან, შიიტები ორივე მიმართულებას მწვალებლურად მიიჩნევენ, მაგრამ აგრესიული ვაჰაბიტები მათ, სულ ცოტა, ვალში არ რჩებიან. წელს, 18 აგვისტოს, ხასავიურტის შიიტურ მეჩეთში ატეხილი სროლა და ჩაშლილი ტერაქტი, რომელიც 70 ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავდა, სავარაუდოდ, მათი ნახელავია.

საიდ აფანდის მკვლელს რუსული სპეცსამსახური რამდენიმე წელი უთვალთვალებდა, მაგრამ სწორედ ტერაქტამდე რამდენიმე დღით ადრე დაეკარგათ თვალთახედვის არედან. სალაფიტებს შეიხის მოკვლა მაშინაც კი არ განუზრახავთ, როცა მათთან დაპირისპირებაში იმყოფებოდა და ამ მკვლელობას საკუთარ თავზე არ იღებენ. შიიტური მეჩეთის ისტორიაც, როგორც წერენ, ძალზე საეჭვოდ გამოიყურება.

ზოგადად, დაღესტანში სიტუაცია 1999 წლის შემდეგ აიმღვრა, მეორე ჩეჩნური კამპანიის თანადროულად, როდესაც ჩრდილოკავკასიური ვაჰაბიზმის ერთ-ერთი იდეოლოგის, ბაჰაუდინ ქებედოვის და მისი თანამოზარეების მიერ დაღესტანში, წუმადის რაიონში, შარიათის ყაიდის მმართველობა გამოცხადდა. დღემდე სალაფიტების და მათთან მეტ-ნაკლებად მიახლოებული აზროვნების კავკასიელებისთვის ესაა იდეალური სახელმწიფო, კავკასიის იმარატი, რომელიც მათი სურვილით მთელ ჩრდილოეთ კავკასიას უნდა გადაწვდეს და მხოლოდ ვირტუალურად არსებობს. ჩრდილო-აღმოსავლეთ

კავკასიისთვის ტრადიციული ტარიყათული ისლამი, სუფიზმი, ისლამის შემწყნარე და ერთობ საინტერესო ფორმა, სალაფიტებისთვის ჩვეულებრივი წარმართობაა. ქებედოვი მუსლიმების ამნაირი სახელებით გამოყოფის წინააღმდეგი იყო, თვლიდა, რომ უმა ერთია, მაგრამ სულ სხვაგვარად კი მოხდა.

აი, ამ სულისშემხუთველ გარემოში გაიზარდა უპერსპექტივო, მუდმივი აგრესიით დამძიმებული, უფროსი თაობის კონფორმიზმზე ამრეზილი თაობა, რომელიც აქამდე ვაჰაბიზმს ისე ეტანებოდა, როგორც ჟანგბადის ერთადერთ წყაროს, გამაყუჩებელ ნარკოტიკს. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო აქამადე. ისტორიკოსი მაირბეკ ვაჩაგაევი შარშან წერდა, რომ სალაფიზმი ჩრდილოეთ კავკასიაში გაუნათლებელი ფანატიკოსების არეალიდან გადის და ინტელექტუალური ახალგაზრდობისათვისაც მიმზიდველი ხდება. ასეა თუ ისე, ესკალაციამ რეგიონში ბოლო ხანებში დუღილის ტემპერატურას მიაღწია. ფედერალური სამსახურები ამ ტემპერატურის შენარჩუნების მუდმივ რეჟიმში მოქმედებენ.

ამ ვითარებაში ე.წ. ტყის, ანუ მიწისქვეშა წინააღმდეგობის ძალების არსებობა ჯერაც ძალზე ანგარიშგასაწევი ფაქტორია. რაკი რუსეთისგან პროვოკაციის საშიშროება მუდმივად არსებობს, საქართველოს საზღვარი ამ სარისკო პერიმეტრზე დაცული უნდა იყოს. თუ საზღვარი არ არის კარგად დაცული, ახლა უნდა დგებოდეს შესაბამისი უწყებების და ამ უწყებათა პირველი პირების პასუხისმგებლობის საკითხი, ხოლო გიგა ბოკერიას არგუმენტი – რთული რელიეფური პირობები ამ მონაკვეთზე – არაადეკვატურია. თუ საზღვარი დაცული არ გვაქვს, სრულიად დაუჯერებელია, რომ მისი გადმოლახვის პრეცედენტები აქამდე არ ყოფილა. გულწრფელად ვთქვათ, ამ თუ არა, სხვა მონაკვეთებში, წლების წინ საზღვარზე გადმოსული ჩრდილოკავკასიელი მეომრები ადგილობრივ მცხოვრებლებს ერთხელ და ორჯერ არ უნახავთ. არ მინდა, ქართული სპეცსამსახურების და „ბოევიკებთან“ კონტაქტების შესახებ რუსულ ვერსიას ავყვე – მაგრამ დაუჯერებელია, რომ ქართულ სპეცსამსახურებს მსგავს პრეცედენტებთან დაკავშირებული გამოცდილება არ ჰქონდეთ. დაღესტნიდან გადმოსული მებრძოლების მძევლები მოწმობენ, რომ „დივერსანტებს“ საზღვრის გადალახვა და უკან დაბრუნება სურდათ.

ის ადამიანები, ვინც საზღვარი გადმოლახა, საქართველოსთვის რომ არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ, ამის მტკიცება მხოლოდ სრულიად გაუთვითცნობიერებელ ადამიანებს სჭირდებათ. ამისთვის არც „კავკაზცენტრის“ და არც vdagestan.com-ის ინფორმაცია არაა საჭირო. მათ ინტერესებში არ იყო მინიმალურად კონფლიქტური სიტუაციის შექმნა საზღვრის აქეთა მხარეს. ირაკლი ალასანია არაპროფესიონალურად ჩატარებულ სპეცოპერაციაზე საუბრობდა. მას მსგავს ვითარებაში მოქმედების გამოცდილება პანკისის ხეობიდან აქვს. რჩება კითხვები – რამდენად რეალური იყო რუსეთის მხრიდან პოტენციური სპეცოპერაციის საფრთხე, შეიძლებოდა თუ არა, თუნდაც მოლაპარაკების პროცესის გაჭიმვა და რომელიმე ნეიტრალური მხარის ჩართვა — ერთი სიტყვით, ყველაფრის გაკეთება მსხვერპლის თავიდან ასარიდებლად?

გაჩენილ პრეტენზიებზე საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა ჩვენგან „მინიმალური სტანდარტი საღი აზრის და პატიოსნების“ მოითხოვა. დიდი ხანია, ჩვენც იმავეს მოვითხოვთ ამ ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურებისგან, თუ ამ მოთხოვნებზე ისევ ღირს სერიოზულად საუბარი...

ბიძინა ივანიშვილის არაერთი უპატიებელი საკადრო შეცდომის, „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წევრის გაუაზრებელი, არაკორექტული, ქსენოფობიური თუ ზოგადად, ბრიყვული გამონათქვამების კვალდაკვალ (სხვა ოპოზიციურ ძალებზე მგონი საერთოდ არ ღირს ლაპარაკი) ცუდი ტენდენცია გაჩნდა: ე.წ. ლიბერალური განწყობის ბევრი ადამიანი დაეჭვებით ეკიდება მოსაზრებებს, რომლებიც ხელისუფლების, მისი ბინძური ხერხებით გამორჩეული ძალოვანი სტრუქტურების მიმართ დამსახურებულად ჩნდება. ამ დღეებშიც ასე იყო: ყოველ კითხვას, რომელიც კრიტიკული აზროვნების მქონე საზოგადოებაში ბუნებრივად უნდა გაჩნდეს, ხშირად უხეში კონტრშეტევა ხვდებოდა. ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპმა უნდა შეგვაჩეროს – ხელისუფლება არც ინდივიდია და არც სასიყვარულო ურთიერთობისთვის გვყავს დაქირავებული. სწორედ კითხვების მუდმივი დასმითაა შესაძლებელი მისი მეტ-ნაკლებად კონტროლირება. ამიტომ კორექტულობის სარქველს მოვიხსნი და კითხვას დავსვამ: საინტერესოა, როგორია პრაქტიკა, სახელმწიფოს ინტერესი იმდენად მაღლა დგას, რომ ადამიანების სიცოცხლეს საკუთარ პრესტიჟს ასე ადვილად სწირავს? ნუთუ სხვა ხერხი, თუნდაც გარკვეულ ნორმებზე თვალის წახუჭვით, ვერ მოიძებნა? სიცოცხლე იმდენად არად ფასობს, რომ მის შესანარჩუნებლად განსაკუთრებული მცდელობებისათვის მიმართვა არ ღირს? საინტერესოა, საქართველოს მოქალაქეებს სურთ ისეთი უსაფრთხოება, რომელსაც ადამიანები, ჩვენი სამართალდამცავები და სხვა ქვეყნის მოქალაქეები ტლანქად და დაუფიქრებლად ეწირებიან?

"დევნის ოპერაციის" ქრონოლოგია

30 აგვისტო

▸ დილით დაღესტნის ვილაითის ოფიციალური გამოცემა ხელმძღვანელობის განცხადებას აქვეყნებს, სათაურით „საქართველოში კავკასიის იმირატის მოჯაჰედებს ებრძვიან“. განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველოში ბრძოლა მოჯაჰედების, კავკასიის იმირატის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ მიდის.

▸ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შოთა ხიზანიშვილის განცხადებით, ლოპოტას ხეობაში ოპერაციის ძირითადი ფაზა დასრულებულია. მისივე ინფორმაციით, შეირაღებული დაჯგუფების 12 წევრიდან 11-ის გვამი უკვე ნაპოვნია. ხიზანიშვილის ცნობით, დაჯგუფების ზოგიერთი წევრი ჩრდილოეთ კავკასიიდან არის.

▸ 30 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, შსს დაღუპული 11 დივერსანტის კადრებს აქვეყნებს.

რეპორტაჟი გორიდან

"ნეტა, მშვიდობიანად გადავიტანოთ არჩევნები"

გორის რაიონის მოსახლეობის უმეტესობას უწყლობა, უგაზობა და უმუშევრობა აწუხებს. არჩევნებს ზოგი სკეპტიკურად უყურებს, ნაწილი კი შიშით ხვდება.

გიორგი ჭეიშვილი

პირველი, რაც ქალაქ გორში შესვლისას გხვდებათ თვალში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ბილბორდია, გზის გაყოლებაზე ჩამწკრივებული გარე განათების ბოძები კი კოალიცია „ქართული ოცნების“ მცირე ზომის პლაკატებითაა „გაფორმებული“.

სტალინის გამზირის №48-ში, „ქართული ოცნების“ ოფისთან ხალხია შეკრებილი, ამავე გამზირზე მდებარეობს „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბიც, რომელსაც მთავარი კონკურენტებისაგან პოლიტიკური შეხედულებების გარდა, „დიდი ბელადის“ მუზეუმიც ჰყოფს.

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, ისევე როგორც, „ნაციონალურ მოძრაობაში“ დარწმუნებულნი არიან, რომ არჩევნების სამართლიანად ჩატარების შემთხვევაში, პოლიტიკურ ოპონენტებს დიდი სხვაობით დაამარცხებენ. ამავეს გვამცნობს „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბში გამოკრული კალენდარი წარწერით „გამარჯვებამდე დარჩა X დღე“.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გორის რაიონში – 112 329 ამომრჩეველია დარეგისტრირებული. ქალაქ გორსა და რაიონის სოფლებში 106 საარჩევნო და დაახლოებით 6 დახურული სამხედრო უბანია. 106 საარჩევნო უბნიდან დევნილთა შვიდი და უმისამართო ამომრჩეველთა 1 უბანია. თითოეულ საარჩევნო უბანზე კომისიის 13 წევრი – 6 ოლქისმიერი და პარტიების 7 წარმომადგენელია განაწილებული. საერთო ჯამში 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე მოსახლეობას უბნებზე 1378 ადამიანი მოემსახურება.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ერთიან საარჩევნო სიაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რიცხვი 96 019-ს შეადგენდა. არჩევნებში მონაწილეობა სულ 59 406 ადამიანმა მიიღო. ამომრჩეველთა უმეტესობამ, დაახლოებით 72 პროცენტმა, 42 688 ადამიანმა, ხმა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მისცა.

გორში კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის ყოფილი წევრი სოსო ვახტანგაშვილია, „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით კი შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი გიორგი ტატიშვილი იყრის კენჭს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შიდა ქართლის კოორდინატორის – ზურაბ ჩინჩილაკაშვილის თქმით, შტაბში ჩვეულ რეჟიმში მუშაობენ, თუმცა პიარკამპანიაზე მეტად მოსახლეობასთან შეხვედრებსა და მათი პრობლემების გარკვევაზე ამახვილებენ ყურადღებას – „ადგილობრივთათვის სამი ძირითადი მიმართულება: უმუშევრობის აღმოფხვრა, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და სოფლის მეურნეობის განვითარებაა პრიორიტეტული.

სოსო ვახტანგაშვილის თქმით, მოსახლეობასთან შეხვედრების პარალელურად, ძირითადი აქცენტი ე.წ. შავ სამუშაოზე – იმ ადამიანების მოძიებასა და დატრენინგებაზე იყო გადატანილი, რომლებიც საარჩევნო კომისიებში კოალიციის წარმომადგენლები იქნებიან – „როგორი წინასაარჩევნო კამპანიაც არ უნდა გქონდეს, თუ კომისიებში ერთგული ხალხი არ გვეყოლება, შედეგს ვერ მიაღწევ“.

არჩევნებამდე თითქმის ერთი თვე რომ არის დარჩენილი, ამას ქალაქში მშვიდად მიმდინარე საარჩევნო პერიოდიც მოწმობს, თუმცა განსხვავებული მდგომარეობაა გორის რაიონის სოფლებში.

გორის რაიონის, ისევე როგორც, მთლიანად შიდა ქართლის სოფლების მოსახლეობას უმეტესად ბოსტნეული და ხილი მოჰყავს. ადგილობრივთა შემოსავლის ძირითადი წყაროც სწორედ სო-

ფოტო: ბორის ჯუბგილი

კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბები, გორი, აგვისტო 2012

ფლის მეურნეობაა. ამიტომაც მათთვის ყველაზე მწვავედ უწყლობის პრობლემა დგას. 2008 წლის ომის შემდეგ, გორის რაიონის სოფლების ნაწილს, ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან წყლის მიწოდება შეუწყვიტეს.

„მოდიან, მიდიან, პირობებს გვაძლევენ, ყველა თავისას გაიძახის, გამკეთებელი კი არავინაა. სარწყავი წყალი არ გვაქვს, გაზი არ გვაქვს, ხეხილი გვიხმება, უმუშევრობაა“, – ჩივიან გორიდან 15 კილომეტრის მოშორებით მდებარე სოფელ ქიწნისის მცხოვრებლები. „უგაზობაა, მაგრამ მიშა გვიყვარს შვილო“, – ამბობს შუა ხნის ქალბატონი და კარს მიღმა უჩინარდება.

ეზოში შესულს ლიანა ნაოჭაშვილი გაზის არქონით გამოწვეულ პრობლემაზე მესაუბრება, თუმცა, თემას მალევე ცვლის და მიხსნის – „მადლობლები ვართ მიშასი, რომ აბრალებენ ომი დაიწყოო, ერედვში და ზემო სოფლებში ხალხი ჩახოცეს, რა ექნა ამ კაცს? არც ოცნება და არც არაფერი, ჩემი ოცნება მიშაა“.

სოფელ მარანას შესასვლელში ხის სკამზე ასაკოვანი ბებია ზის. გვერდით შვილიშვილის სათამაშო – სამხედრო მანქანა უდევს, კითხვებზე მოკლედ მპასუხობს – „მარტო იმას ვიტყვი, ვინც არიან მთავრობაში, ისევ ისინი იყვნენ“. იქვე, „ბირჟაზე“, რამდენიმე ადამიანია შეკრებილი, ჩაწერაზე მხოლოდ ერთი მთანხმდება – „არცერთი პარტია არ ყოფილა მოსული და არავის მოუკითხავს ეს სოფელი, გზა გასაკეთებელია, გაზის გაყვანა დაიწყეს, ნახევრამდე მიიყვანეს და მას მერე აღარაფერი შეცვლილა“. „წყალიც არ გვაქვს“ – საუბარში მარანას ერთ-ერთი მკვიდრი ერთვება და თანასოფლელს მიმართავს – „რა გეშინია, ყველაფერი უთხარი!“

გორიდან 20 კილომეტრით დაშორებული ტყვიავი ერთ-ერთია იმ სოფლებიდან, რომლებიც 2008 წლის ომის დროს ყველაზე მეტად დაზარალდა. სოფელში ალაგ-ალაგ ჭურვების ჩამოყრის შედეგად დანგრეული სახლის ნარჩენებსაც შეამჩნევთ.

ტყვიავში შუა ხნის ქალს ვხვდები; კითხვის დასმის შემდეგ თავს მარიდებს და მიხსნის, რომ მისი შვილები „ისეთ ადგილას“ მუშაობენ, „ხმის ამოღების შემთხვევაში“ ხვალვე გაათავისუფლებენ. იმავეს ამბობს სოფელ ზეღდულეთში „ქართული ოცნების“ გორის მაჟორიტარობის კანდიდატთან გამართულ შეხვედრაზე მისული ქალბატონიც – „შვილის გამო მეშინია, ახალბედაა ჯერ. ხომ ხედავთ, ხალხსაც ეშინია, რა ცოტანი გამოვიდნენ, მეზობელი მეზობელს ვეღარ ენდობა“.

„კარდაკარ გვინდა ვიაროთ და თქვენი გასაჭირი გავიგოთ,“ – უხსნის „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი სოსო ვახტანგაშვილი შეკრებილ მოსახლეობას, რომელთა უმრავლესობაც მოზარდები და შუა ხნის ადამიანები არიან.

შეხვედრაზე მისული ზეღდულეთის მცხოვრები ბორის შიუკაშვილიც უმუშევრობასა და უწყლობაზე ჩივის და სოფლის რწმუნებულსა და გამგებელს უყურადღებობაში ადანაშაულებს – „კახეთში ხალხი სტიქიით დაზარალდა, ჩვენ კიდევ მოსავალი საერთოდ ვერ მოგვყავს“; „არც დასალევი წყალი გვაქვს და არც ნაკვეთების მოსარწყავი, სულ ტყუილი, ტყუილი“, – ამატებს ავთო ბერიანიძე.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მხარდამჭერი წინა ღამეს მომხდარ დაშინების ფაქტს იხსენებს და ამბობს, რომ ორმა გაჭირვებულმა ოჯახმა, რომლებთანაც სოსო ვახტანგაშვილი უნდა მისულიყო, მაჟორიტარობის კანდიდატთან შეხვედრა უცებ გადაიფიქრა – „ჯერ დააშინეს, შემდეგ კი ვიღაცამ დაურეკა, ფრთხილად იყავით, თორემ იმ პატარა დახმარებასაც დაკარგავთ, რაც დანიშნული გაქვთო“.

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, ისევე როგორც, „ნაციონალურ მოძრაობაში“ დარწმუნებულნი არიან, რომ არჩევნების სამართლიანად ჩატარების შემთხვევაში, პოლიტიკურ ოპონენტებს დიდი სხვაობით დაამარცხებენ. ამავეს გვამცნობს „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბში გამოკრული კალენდარი წარწერით „გამარჯვებამდე დარჩა X დღე“.

კოალიციის მაჟორიტარობის კანდიდატი სოსო ვახტანგაშვილი ქვემო სობისის მოსახლეობასაც შეხვდა. შეხვედრა სოფლის პროგრამით გათვალისწინებული თანხით აშენებულ სარიტუალო სახლის კარკასში გაიმართა. კარკასი ბეტონის ექვს ბოძზე დგას და გადახურულიცაა, თუმცა არცერთი გვერდი ამოშენებული არ აქვს და არც აქ ჩატარებული რაიმე რიტუალის „ნაკვალევი“ ეტყობა. დარბაზიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით კუსტარული ონკანია მოწყობილი, მილში წყალი ძლივს მოწანწკარებს.

„ისეთი კაცი [ბიძინა ივანიშვილი] გვიდგას სათავეში, რომელიც დაპირებებით კი არა, გაკეთებული საქმეებით მოდის. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ცვლილებების დროა. ქართველი გლეხისთვის გასაღების ბაზარი არ უნდა მოესპოთ. დღეს სოფელში ყველაზე მდიდარი ადამიანი პენსიონერია“, – მიმართა ვახტანგაშვილმა მოსახლეობას.

„ეს რა ხალხია მთავრობაში? დიდებული კაცი რომ გვყავდა, მსოფლიოს რომ აზანზარებდა, სად წაიღეს? ძეგლი ჩამოგვიგდეს, სად წაიღეს სტალინი?“ – კითხულობს შეკრებილთაგან ყველაზე აქტიური.

„შეზღუდულები ვართ ყველანაირად, დაკნინებულია ხალხი, უყურებენ ტელევიზორს, ხედავენ, როგორ იჭერენ ადამიანებს და თვითონაც ეშინიათ“, – ამბობენ ქვემო სობისელები.

ცხინვალის რაიონის მოსაზღვრე სოფელ ფლავში შესასვლელად საგუშაგოს გავლაა საჭირო. გუშაგების თქმით, მიმდებარე სოფლებში სრული სიმშვიდეა. ფლავში რამდენიმე მოსახლეს ვხვდებით, თუმცა, მას შემდეგ, რაც ფრაზა „თბილისიდან ჩამოსული ჟურნალისტი“ ესმით, სხვადასხვა მიზეზით საუბრისაგან ყველა თავს იკავებს.

ფლავიდან გზა ბუფერულ ზონაში მდებარე სოფელ ფლავისმანში გადადის. დასახლების შესასვლელში, სტალინის ბიუსტის გვერდით გაზგასამართ ავზთან ნარდს თამაშობენ. საუბარი არც აქ სურთ, თუმცა მათგან ყველაზე აქტიური ჩამოსული სტუმარია – „აქაური არ ვარ, სამხრეთ ოსეთის სოფლიდან ვარ ჩამოსული და აქეთ რა ხდება, არ ვიცი. თუ საზღვრის იქით გაინტერესებს, თვეში ერთხელ ჩავდივარ ცხინვალში და იქ სრული სიმშვიდეა, მეტი რა გითხრა?!“ – მპასუხობს სტუმარი.

ფლავისმანის მკვიდრი ირმა თედაძე ამბობს, რომ სოფელი ბუფერულ ზონაში მდებარეობს, რაც პოლიტიკური პარტიების მოსახლეობასთან შეხვედრებს ართულებს – „ბევრი პრობლემა გვაქვს, აი, გაიხედეთ, გადმოგვცქერიან ზემოდან. წყალი არ გვაქვს ოჯახებში, საერთო ჭა გვაქვს ამოთხრილი და იმით ვსარგებლობთ. ზამთარში შეშაც რთული საშოვნელია. მთავრობის გვჯერა, საპაკაშვილი ბევრ რამეს გვპირდება, გუშინ „ქრონიკაში“ ყოფილა, ყველა უმუშევარ დიასახლისს, რომელიც პენსიას არ იღებს 80 ლარი დაენიშნებაო. აქ ოპოზიციის მომხრეებიც არიან და ხშირად ვკამათობთ, თუმცა მეც და ძალიან ბევრსაც ამ მთავრობის გვჯერა“.

საპირისპიროს ამტკიცებს ფლავისმანის მცხოვრები გოგი მესტუმრიშვილი, მისი თქმით, სოფელში არც არავინ ჩამოდის, არც არავინ პატრონობთ და ყურადღებასაც არავინ აქცევთ – „უპატრონო სოფელია, ტექნიკა ჩვენ არ გვაქვს, წყალი დაბინძურებულია, ქვემოთ მინდვრისკენ გზაც გაოხრებულია. ამ არჩევნებზეც არაფრის მოლოდინი არ გვაქვს“.

საქართველოს პრეზიდენტი 2012 წლის 6 აგვისტოს სოფელ კარალეთის მოსახლეობას შეხვდა. მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ დიდი ხნის მანძილზე უნდოდა მათთან მისვლა, რადგან მან, ისევე როგორც, მთელმა საქართველომ საკუთარი თვალით იხილა, თუ რა ღირსების მატარებელია აქაური ხალხი – „თქვენ მტერმა წაგართვათ პრაქტიკულად ყველაფერი სიცოცხლის გარდა... ჩვენ აუცილებლად გავათავისუფლებთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხეობებს, ჩვენს სოფლებს და ჩვენს სახლებს დავუბრუნდებით“.

მიხეილ სააკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ადგილობრივები „ვიღაცებს, თქვენ თვითონაც იცით, ვინ არიან ისინი, ვაშლის ხის ძირში მოკალათებული ხალხი ჰგონიხართ, მაგრამ ჩემთვის, ისევე როგორც, მთელი საქართველოსათვის, თქვენ გმირები ხართ“.

„ჩვენ ყველაფერს დავიბრუნებთ და საბოლოო გამარჯვებას მოვიპოვებთ“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის სტუმრობამდე 21 დღით ადრე კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა გორში აქცია გამართა. შეხვედრაზე ივანიშვილი 2008 წლის სამხედრო კონფლიქტსაც შეეხო და განაცხადა: „მე არ მიმაჩნია, რომ ომი საქართველომ დაიწყო. ჩვენ არ გადავსულვართ რუსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ქართული სოფლების დაბომბვის საპასუხოდ სამხედრო მოქმედებები წამოიწყო, თან ისე, რომ შესაძლო შედეგები ვერ გათვალა“.

მანამდე მოხდა კარალეთის ცნობილი ინციდენტი, რომლის დროსაც ერთმანეთს დევნილთა დასახლებისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები დაუპირისპირდნენ.

კარალეთის დევნილთა ჩასახლებაში მცხოვრები ცოტნიაშვილები კარალეთში მომხდარი ქვების სროლის ამბავს და

ფოტო: ბიორგი ძერძელი

კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი სოსო ვახტანგაშვილი სოფელ ზეღდულეთის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს, აგვისტო 2012

პრეზიდენტის სტუმრობასაც იხსენებენ: „ამ ხალხის ნაწილი აქაური იყო, ნაწილი სხვადასხვა ჩასახლებიდან მოყვანილი. საერთო ზონდერ ჯგუფი ჰყავთ, რომლის წევრებიც ადგილობრივი თვიმმართველობის ორგანოებში მუშაობენ. ეს ზონდერ ჯგუფები მთელი დღის მანძილზე ჩასაფრებულები იყვნენ. მოვიდა „ქართული ოცნება“ და გამოლაგდნენ, საჩხუბრად წამოვიდნენ. ლაპარაკით რომ ვერაფერი გაარკვიეს, ქვების სროლა დაიწყეს“.

გია ცოტნიაშვილის მეუღლე კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო კომისიის წევრია. მისი თქმით, სოფელში ამბობენ, რომ ქვების სროლის მონაწილეებს 600-დან 1000 ლარამდე პრემიები მისცეს – „პრეზიდენტის ჩამოსვლისთვის დაახლოებით სამასი ადამიანი მოაგროვეს, ზოგი შავშვებიდან ჰყავდათ მოყვანილი, ნაწილი ბერბუკიდან, ზოგიც ხურვალეთიდან და წეროვანიდან. საწყალი ხალხი 3 საათი მზეზე გააჩერეს. ადგილობრივებიდან მხოლოდ ზონდერ ჯგუფები იყვნენ გასულები. პრეზიდენტთან შეხვედრაზე აქაურებიდან ვინმე თუ მივიდა, უმეტესად ინტერესისთვის“.

გია ცოტნიაშვილი დასახლებაში არსებულ შიშზე საუბრობს. მისი თქმით, დევნილთა მდგომარეობა განსაკუთრებულია, რადგან ზოგს სახლიდან გამოგდების ეშინია, ზოგს შვილის სამსახურიდან გათავისუფლების, ნაწილი ფიქრობს, რომ შემწეობას შეუწყვეტენ, ზოგს კი უბრალოდ სცემენ – „კონფლიქტს ვერიდებით, მეზობლებმაც იციან, ჩვენ ვინ ვართ და ჩვენც ვიცით, ვინ არიან ისინი. ვცდილობთ როგორმე გავიტანოთ ერთმანეთი. ყველა იმას ამბობს, ნეტა მშვიდობიანად გადავიტანოთ არჩევნებიო“.

ლევან გოგიძე საპარლამენტო არჩევნებისაგან კარგ ყოფასა და მშვიდობას ელის – „მიშა უნდა იყოს და უკეთესად იქნება ყველაფერი. არაფერი არ გვიჭირს, ბინები დაგვიდგა, ნაკვეთები მოგვცა, გაინძრეს ადამიანი და ყველაფერს იშოვის. ადრე სად იყო ივანიშვილი?! ერთხელ მოვიდეს და იკითხოს როგორ ვცხოვრობთ, რას ვჭამთ, რას ვსვამთ. „ქართული ოცნებიდან“ რომ იყვნენ მოსულები, მე არც გავსულვარ, ვიღაცებმა გარეკეს, საერთოდ რატომ ჩამოვიდნენ? ჯერ ეკითხათ, სად მოდიოდნენ“.

დასახლების გასასვლელთან საფიხვნოზე რამდენიმე ადამიანი ზის. პრობლემებზე საუბარს მხოლოდ ერთი თანხმდება და გვერდით მსხდომებს ეკითხება – „რა ძირითად პრობლემებზე ვესაუბრო, აბა? სიმინდის მოსავალი და კარტოფილი რომ არ მოვიდა?“ „რას ეკითხებით, დაეხმარებით? თქვენნაირები აქ ბევრნი მოსულან, მაგრამ არავის არაფერი გაუკეთებია“, – ამბობს „ბირჟაზე“ მსხდომთაგან ერთ-ერთი. დამშვიდობებისას მეძახიან – „დახმარება როცა შეგეძლება, მეორედ მაშინ მოდი“.

მომდევნო სოფელი, რომლის მოსახლეობაც 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალდა, ზემო ნიქოზია. სოფელში მისასვლელად საგუშაგოსთან ვჩერდებით, სადაც ზემო ნიქოზში ჩასვლის მიზანს გვეკითხებიან, მონაცემებს ამოწმებენ და გვთხოვენ, რამდენიმე წუთი მოვიცადოთ. საბოლოოდ, გუშაგი სოფლამდე მისასვლელ გზას გვიხსნის და მკაცრად გვაფრთხილებს, რომ გზიდან ხელმარჯვნივ ცხინვალის რაიონი იწყება და იმ მხარეს არ გადავუხვიოთ. აღმართის ავლის შემდეგ, ასფალტის საფარს ბუჩქებითა და ბუნებრივი ეკლებით „გადარაზული“ ლიანდაგი კვეთს, იქვე დგას უფუნქციო, საღებავაცლილი სადისპეტჩერო პოსტიც.

სოფლის ერთ-ერთ ჩიხში პატარა სკამზე ზემო ნიქოზელი ბიჭიკო მჭედლიძე ზის. „ლტოლვილებივით ვცხოვრობთ, წყალი ჩვენთან არ არის, არ გვაძლევენ; ვენახები არ ირწყვება, ვართ ასე უპატრონოდ. ადრე რაღაც პროდუქტები დაგვირიგეს, მას მერე არც არავინ გვკითხულობს, როგორ ვართ, რითი ვცხოვრობთ. წინასაარჩევნოდ კახი კალაძე იყო მოსული, მაგან თავისი თქვა, ხალხმა თავისი უთხრა“, ამბობს მჭედლიძე და იქვე ამატებს – „რა არის, იცი?! მე მიშასი მჯერა, კარგი პიროვნებაა, მაგრამ სახელმწიფოს მართვა სულ სხვა ყოფილა. აი, ახალგაზრდა ქალი მოდის, აბა, ნახე, ჩანთაში 5 ლარი მაინც თუ ექნება; არა აქვს ხალხს ფული. ადრე ცხინვალში გადაგვქონდა პროდუქტი, ახლა ესეც ჩაკეტილია და რა ვქნათ?! შიმშილობს სოფელი! ივანიშვილის საუბარიც მოვისმინე და მომეწონა, ხომ იყვნენ ესენი 8 წელი? ერთი ოთხი წელი სხვასაც აცადონ, იქნებ შეიცვალოს რამე“...

ილუსტრაცია რუსლან ბერიძე

ხეოხიღული საარჩევნო სია

ამომრჩეველთა სიების დაზუსტება გრძელდება და კოდექსის მიხედვით, არჩევნებამდე ორი კვირით ადრე დასრულდება.

ზურაბ ვარდიაშვილი

ერთიანი სია

3 621 251 ამომრჩეველი – ამ რაოდენობრივი მაჩვენებლით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები 1990 წლიდან საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს შორის პირველ ადგილს დაიკავებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, შესაძლოა, კიდევ შეიცვალოს – საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანის პროცესი არჩევნებამდე ორი კვირით ადრე დასრულდება.

რის ხარჯზე გაიზარდა ამომრჩეველთა რაოდენობა? ამ კითხვით „ლიბერალმა“ სიების დაზუსტების კომისიის ხელმძღვანელს მიმართა, მისი თქმით, ერთიანი სიის ზრდა სიაში იმ ამომრჩეველთა ასახვამ გამოიწვია, რომლებსაც მანამდე ხელისუფლებამ ხმის მიცემის უფლება უკანონოდ შეუზღუდა.

მამუკა კაციტაძე ე.წ. „მიწერილ“ ამომრჩევლებთან ერთად იმ პირებსაც გულისხმობს, რომელთაც სხვადასხვა მიზეზით ბინების დაკარგვასთან ერთად მისამართზე რეგისტრირების პრობლემა შეექმნათ, ამ უკანასკნელთა რაოდენობა კი 80 000-ს აღწევს.

საარჩევნო სიების საკითხი ბოლო წლებში ჩატარებული ყველა არჩევნების უმნიშვნელოვანეს პრობლემად მიიჩნეოდა. ამის მოსაგვარებლად პრეზიდენტის N726 ბრძანებულებით, 2011 წლის 15 ნოემბერს შეიქმნა სპეციალური ორგანო, რომელიც ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის სახელითაა ცნობილი.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, „ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის, კარდაკარ გადამოწმების პრინციპით“.

მთელი საქართველოს მასშტაბით კომისიის 12 200 რეგისტრატორი თითოეულ მისამართზე მიდიოდა და ამოწმებდა, იყვნენ თუ არა მისამართზე მცხოვრები პირები საარჩევნო სიაში, იყვნენ თუ არა ჩაწერილნი მისამართზე უცხო პირები, იყო თუ არა დარეგისტრირებული ამომრჩეველი გარდაცვლილი, საზღვარგარეთ გასული, შიდამიგრაციაში მყოფი და ა. შ.

კოდექსის 129\18 მუხლის საფუძველზე შექმნილ კომისიას პოლიტიკური პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე ხელმძღვანელობს. ის „ლიბერალთან“ იმ პრობლემებზე საუბრობს, რომლებმაც კომისიას მუშაობაში ხელი ყველაზე მეტად შეუშალა.

„პირველი პრობლემა რეგლამენტირებული რესურსები გახლდათ, ერთი მხრივ – ფინანსური, მეორე მხრივ კი დროის თვალსაზრისით. ამან საველე სამუშაოებზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა, რადგან ძნელია, ადამიანს სრულფასოვანი მუშაობა მოსთხოვო, როდესაც 110 ან 150 ლარს უხდი“.

კაციტაძე მეორე პრობლემად დაუმისამართებლობას ასახელებს, მისი თქმით, ამ მხრივ, განსაკუთრებული სირთულით რეგიონები გამოირჩეოდნენ.

„მაგალითად, ავიღოთ საგარეჯოს რაიონი. იორმუღალო, სადაც არის 12 უბანი, 4 თემი, 14 000 ამომრჩეველი და პირობითად ვამბობ – 2000 ალი მამედოვი. მისამართი არ არსებობს, ყველას უწერია „იორმუღალო“. და ასეთ პირობებში თითოეული მათგანი უნდა იპოვნო“.

მთელი მუშაობის მანძილზე ამომრჩეველთა ერთიანი სიის დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიას სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მხრიდან კრიტიკა არ აკლდა. კომისიის ხელმძღვანელი მამუკა კაციტაძე ამ კრიტიკას „პოლიტიკურ პოზას“ უწოდებს.

„ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისა თუ მათი სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესებში სახელმწიფო კომისიის პოზიტიური რეზულტატი არ შედის და არც მომავალში შევა. თუმცა, გარკვეული გამოხდომების მიუხედავად, ჩვენი საქმიანობის საფუძვლიანი კრიტიკა არ მსმენია. არავის მოუმართავს ჩვენთვის პრეტენზიით, რომ, ვთქვათ, მეთოდოლოგია, რეგისტრატორების მუშაობა, საზოგადოების ინფორმირებულობა ან ტრენინგი არ გვივარგოდა“.

„მიწერილები“

თუ ამომრჩეველი საარჩევნო სიაში საკუთარი თავის გადამოწმებისას აღმოაჩენს, რომ მის საცხოვრებელ მისამართზე უცნობი ადამიანები არიან დარეგისტრირებულნი, უნდა იცოდეს, რომ საქმე ე.წ. „მიწერილ“ ამომრჩევლებთან აქვს.

ამ კატეგორიის ამომრჩევლებს ხმის მიცემის უფლება აქამდე შეზღუდული ჰქონდათ და „რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებად“ მოიხსენიებდნენ, თუმცა, საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, მათ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა სრულფასოვნად შეეძლებათ.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი თათული თოდუა ამ გადაწყვეტილებას ძალადაკარგული მონაცემისთვის იურიდიული ძალის მინიჭებას უწოდებს და სამართლებრივად გაუმართლებლად მიიჩნევს.

საქმე ისაა, რომ „რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩეველი“ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთვის არ არსებობს, თუმცა იმ მისამართიდან, საიდანაც მოხსნეს, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ. თუ ასეთი ამომრჩეველი რეესტრს მიმართავს, სააგენტო მას ახალ მისამართზე დაარეგისტრირებს, ამ შემთხვევაში ამომრჩეველი ორ საარჩევნო უბანზე აღმოჩნდება – ერთზე ძველი (საიდანაც მოხსნეს და კოდექსი ხმის მიცემის უფლებას უკანონებს) და მეორეზე – ახალი მისამართის მიხედვით, რაც ამომრჩეველს ერთდროულად ორ საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის საშუალებას მისცემს.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, „მიწერილები“ სხვადასხვა მისამართებზე „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თაღლითური ქმედების შედეგად აღმოჩნდნენ, და ასეთ ადამიანთა რიცხვი დაახლოებით 190 000-ია“.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, „მიწერილები“ სხვადასხვა მისამართებზე „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თაღლითური ქმედების შედეგად აღმოჩნდნენ, და ასეთ ადამიანთა რიცხვი დაახლოებით 190 000-ია“.

საარჩევნო კოდექსში ზემოთაღნიშნული ცვლილების შეტანისას „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ „სამართლიანმა არჩევნებმა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ პარლამენტს რეკომენდაციით მიმართეს. არასამთავრობოები მიიჩნევდნენ, რომ პარლამენტს რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემის უფლების ავტომატურად მინიჭება არ უნდა დაეშვა, თუმცა საკანონმდებლო ორგანომ ეს რეკომენდაციები არ გაითვალისწინა.

თათული თოდუა შიშობს, რომ რადგანაც არჩევნებამდე უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება, შესაძლოა, სიების დაზუსტების კომისიამ ასეთ ამომრჩეველთა იდენტიფიცირება ვერ შეძლოს და პრობლემა არჩევნების დღემდე ვერ მოგვარდეს.

საიამ პარლამენტს კომპრომისული ვარიანტიც შესთავაზა. იურისტების აზრით, რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებს მაჟორიტარი კანდიდატებისთვის მაინც არ უნდა მიეცათ ხმა. ახალგაზრდა იურისტების ამ წინადადების წარდგენისას 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების გამოცდილებას ეყრდნობოდნენ: „მაშინ ამ ამომრჩევლებს ცესკომ ხმის მიცემის უფლება მისცა, თუმცა ეს უფლება კანონში არ ასახულა. მიუხედავად იმისა, რომ ცესკოს მაშინდელ გადაწყვეტილებას დიდი კრიტიკა მოჰყვა, თავისი არსით უფრო რბილი და მისაღები იყო. რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებს ხმის მიცემა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების პროპორციული სიისთვის შეეძლოთ, ამასთან სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ მოქალაქეთა რეგისტრაცია დროებით შეაჩერა, რაც გაორების პრობლემას ხსნიდა. თანაც ამ ადამიანებს არჩევნებში მონაწილეობა ავტომატურად კი არ შეეძლოთ, არამედ, მხოლოდ მაშინ, როდესაც საარჩევნო კომისიას სპეციალური განცხადებით მიმართავდნენ“, – ამბობს თათული თოდუა „ლიბერალთან“ საუბარში.

დამოუკიდებელი „კარდაკარი“

დამოუკიდებელ „კარდაკარს“ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ და საზოგადოებრივი მოძრაობა „ამომრჩეველთა ლიგა“ ატარებდნენ. „ამომრჩეველთა ლიგის“ ხელმძღვანელი კოკა გუნცაძე მიიჩნევს, რომ მამუკა კაციტაძეს არგუმენტები არ გააჩნია და გაცვეთილ ფრაზებს მიმართავს:

„ეს ძალიან ნაცნობი ტექსტია და ხელისუფლების ბოლოდროინდელ პრაქტიკაში ხშირად გვხვდება. შემთხვევითი არაა, რომ სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის ხელმძღვანელი ამ ფრაზებს იყენებს“, – ამბობს გუნცაძე „ლიბერალთან“ საუბარში.

მისი თქმით, ამომრჩეველთა რაოდენობის ამსახველი რიცხვი სინამდვილეს არ შეესაბამება და საქართველოში დღესდღეობით ორ მილიონ ნახევარზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება. გუნცაძე უცხოეთში გამგზავრებული ადამიანების რიცხვსაც არარეალურს უწოდებს: „ეს არის მეოთხედი იმ ადამიანებისა, რომლებიც ემიგრირებულნი არიან საქართველოდან“.

„ამომრჩეველთა ლიგა“ თბილისსა და ზუგდიდში დამოუკიდებელ „კარდაკარს“ ატარებდა და შედეგებს პერიოდულად აქვეყნებდა: „უცხოეთში გამგზავრებულები, დაუდგენელი პირები, გარდაცვლილები, ისინი, რომლებიც ჯერ სიაში არ არიან – ასეთების რიცხვი ამომრჩეველთა რაოდენობის 21%-ია. და ეს 21% ფალსიფიკაციის საფუძველია. რას ჩაასწორებს კომისია, ეს ჯერ არ ვიცით“, – აღნიშნავს გუნცაძე.

„ქართული ოცნების“ „კარდაკარის“ პროექტის ხელმძღვანელის, ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, მათი წარმომადგენლები 73 არსებული ოლქიდან 70-ში იმყოფებოდნენ.

მათ 17 აგვისტოს ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიაში საკუთარი „კარდაკარის“ მონაცემები შეიტანეს. მონაცემები შავი სამუშაო მასალაა და ძირითადი ნაწილი მოქალაქეების მიერ შევსებული განცხადებებია.

„კომისიის კარი ყოველთვის ღია იყო სხვადასხვა, მათ შორის, პარტიული ტიპის „კარდაკარისათვის“. თუკი ჩვენ მიერ შესწორებული სიისგან განსხვავებულ მონაცემებს აღმოვაჩენთ, ერთიან სიაში მათ აუცილებლად ავსახავთ. პირველ სექტემბრამდე კომისია იმსჯელებს, როგორ მოხდეს გადამოწმება, რაც მონაცემთა ბაზასთან შედარებას გულისხმობს. 15 სექტემბრამდე კი კომისია არა მხოლოდ პარტიული „კარდაკარების“ მონაცემებზე, არამედ თითოეული მოქალაქის განცხადებაზე მოახდენს რეაგირებას“, – განაცხადა კომისიის მდივანმა ბადრი ნიაურმა.

მამუკა კაციტაძე ორივე დამოუკიდებელი „კარდაკარის“ შედეგებს ეჭვით უყურებს:

„ქართული ოცნების“ „კარდაკარი“ პოლიტიკური კოალიციის ამოსაცნობი ნიშნებით მიმდინარეობდა, რაც, როგორც წესი, პრობლემებს ქმნის. ბევრი ადამიანი მათ უბრალოდ კარს არ გაუღებდა. მიუღებელია მათი გამოკითხვის მეთოდოლოგიაც, მაგალითად, რეგისტრატორები კითხულობდნენ: – „იღებდით თუ არა მონაწილეობას 2008 წლის არჩევნებში და ვის მიეცით ხმა?“ – ისინი თავის მხარდამჭერთა სიას ადგენდნენ“.

კაციტაძე „ამომრჩეველთა ლიგის“ მიერ დადებულ მონაცემებსაც არ ენდობა – „შეიძლება, რომ ორ ქალაქში, ზუგდიდსა და თბილისში გამოკითხვა ჩაატარო და ამომრჩეველთა სიის სრულყოფილებაზე გქონდეს პრეტენზია? ეს გამოკითხვა შესაძლოა სოციოლოგებს გამოადგეთ, ზოგადი ტენდენცია რომ გაარკვიონ. ამხელა კომისიის ხელმძღვანელი ტენდენციის დასადგენად არ ვარ. ზუსტი მონაცემები მჭირდება“.

მისი განცხადებით, კომისია პირველ სექტემბრამდე სიის სიზუსტეს კიდევ გადაამოწმებს. „მაგრამ ამის საფუძველი უნდა იყოს მოქალაქის განცხადება და არა რომელიმე გაურკვეველი ორგანიზაციის მომართვა“.

დღეისთვის არსებული მონაცემებით, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიამ „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი განცხადებების 45% გადაამოწმა, საიდანაც 18%-ში დაზუსტებები შევიდა. „რა შედეგს მოგვცემს დარჩენილი 55%-ის გადამოწმება, ამას კვირის ბოლომდე გავიგებთ“, – ამბობს კაციტაძე.

"ჯარჯარის" შედეგები

კომისიის მონაცემების მიხედვით, 2.160.608 ამომრჩევლის შემთხვევაში მონაცემები ზუსტია, დაზუსტებები შევიდა 39.426 ამომრჩევლის პირად მონაცემში. გარდაცვლილია – 25.949, საზღვარგარეთ გასულია – 291.471, რეგისტრაციის მისამართიდან მოხსნილია – 132.156, შიდა მიგრაციაშია – 649.839, ხოლო კონტაქტი ვერ დამყარდა – 183.621 ამომრჩეველთან.

კომისიის ფინანსები

21 წევრისგან შემდგარი კომისიის საქმიანობა მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა. შრომის ანაზღაურებას 935 000.00 ლარი დასჭირდა, ოფისის ხარჯი 105 000.00 ლარი დაჯდა. პროექტ „კარდაკარის“ რეგისტრატორთა ანაზღაურების თანხამ 2 112 000.00 ლარი შეადგინა. ტექნიკურ აღჭურვილობას და მომსახურებას 147 000.00 ლარი მოხმარდა. 165 000.00 გახდა საჭირო სატრანსპორტო მომსახურების დასაფარად. რეკლამაში 690 000.00 ლარი დაიხარჯა, კადრების მომზადებასა და ტრენინგებში 58 000.00 ლარი. მივლინებისთვის საჭირო თანხამ 4 000.00 ლარი შეადგინა. წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის 40 000.00 ლარი გამოიყო. 2012 წლის 31 ივლისის ჩათვლით სულ 4,256,000.00 ლარი დაიხარჯა.

მედია

"ყველა ბილბოჰდი დაკავებულია"

წინასაარჩევნოდ გარერეკლამის განთავსება კერძო კომპანიასა და პოლიტიკურ სუბიექტს შორის მოლაპარაკების საგანია. მასთან დაკავშირებული რაიმე წესი, ან პირობა, რითაც განთავსების დროს თანასწორობის პრინციპის დაცვა მოხდება, კანონით დადგენილი არ არის.

თათია ხალიანი

სამარშრუტო ტაქსებზე, ყვითელ ავტობუსებზე, მეტროში, ბილბორდებზე, განსაკუთრებით ცენტრალურ უბნებში თვალში არჩევნებში მონაწილე მხოლოდ ერთი პარტიის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" – რეკლამა გვხვდება. სხვა პოლიტიკური პარტიების რეკლამებს კი ქუჩებში თითქმის ვერსად ნახავთ.

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსების წესი და სარეკლამო ტარიფები „საარჩევნო კოდექსით" რეგულირდება. საარჩევნო კანონმდებლობაში გარერეკლამასთან დაკავშირებული ჩანაწერი არ არსებობს. წინასაარჩევნოდ, გარერეკლამის განთავსება კერძო კომპანიასა და პოლიტიკურ სუბიექტს შორის მოლაპარაკების საგანია და მასთან დაკავშირებული რაიმე წესი, ან პირობა, რითაც განთავსების დროს თანასწორობის პრინციპის დაცვა მოხდება, კანონით დადგენილი არ არის.

ქალაქში პოლიტიკური რეკლამების განთავსებას კერძო კომპანია „აუთდორ.ჯი", საზოგადოებრივ ტრანსპორტზე კი სარეკლამო კომპანია „ელეფანტი" უზრუნველყოფს.

კომპანია „აუთდორ.ჯი" 2008 წელს დაარსდა. ის ფლობს უფლებას რეკლამები განათავსოს ბილბორდებზე, მონიტორებზე, თბილისის ლიფტებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე (ავტობუსი, მეტრო) და ქალაქში არსებულ საფეხმავლო ხიდებზე.

2011 წლის დეკემბერში არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" ქვეყნის სარეკლამო ბაზრის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. ანგარიშში გარერეკლამების ბაზარიც მოხვდა.

კვლევის მიხედვით, გარერეკლამების ბაზარზე მთავარი მოთამაშე „ალმა+" იყო. 2009 წელს რეკლამების დიდი ნაწილი კომპანია „აუთდორ.ჯის" ხელში გადავიდა. ამავე წელს თბილისის მერიამ აუქციონის წესით ორი ნებართვა გასცა, რომელიც გარერეკლამების 12 წლით განთავსებას ითვალისწინებს.

მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე აბრები „აუთდორ.ჯის" გადაეცა, მარცხენა სანაპიროზე კი „მაგი სტილ მედიამ" მიიღო. 2011 წლის დასაწყისში, „მაგი სტილ მედია" კომპანია „სმოდ ედვერთაისინგმა" ჩაანაცვლა. მისი ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში ალექსანდრე გოგოხია, რომელიც 2008 წელს „აუთდორ.ჯის" მთავარ ფინანსურ დირექტორად მუშაობდა.

> **„ყველა ბილბორდი დაკავებული იყო. მათ ჰქონდათ მზა პასუხი და გვეუბნებოდნენ,** რომ შეკვეთები უკვე მიიღეს და ჩვენთვის ადგილი არ ჰქონდათ", – ამბობს მანანა ნაჭყებია.

როგორც კვლევაშია ნათქვამი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" თბილისის მერიაში განუცხადეს, რომ გარერეკლამებზე გაცემული ყველა ნებართვის ვადა 2010 წელს ამოიწურა და ბაზარზე დომინანტი პოზიცია სწორედ ამ ორმა კომპანიამ – „აუთდორ.ჯი"-მ და „სმოდმა" – დაიკავა.

არჩევნებში მონაწილე სამი პოლიტიკური პარტია: „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა", „ქართული ოცნება", „ახალი მემარჯვენეები" ბილბორდებსა და ყვითელ სამარშრუტო ავტობუსებზე რეკლამის განთავსებას არ გეგმავს.

„ქართული ოცნების" პრესსამსახურის უფროსის ნონა ყანდიაშვილის განცხადებით, „აუთდორ.ჯი"-მ კოალიციას მათ სულ რვა თავისუფალი ადგილის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. „მხოლოდ ერთი-ორი იყო ცენტრალურ ადგილას, დანარჩენი კი – გარეუბნებში", – გვიპასუხეს კოალიციაში. ბილბორდებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე რეკლამის განთავსებაზე უარს კოალიცია ფინანსების არქონის გამო ამბობს.

პარტია „ახალი მემარჯვენეები", გარერეკლამაზე უარს, მაღალი ტარიფების გამო ამბობს. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა მანანა ნაჭყებიამ 2010 წლის არჩევნები გაიხსენა, მაშინ პარტიამ ბილბორდებზე რეკლამის განთავსების მოთხოვნაზე კომპანიისგან უარი მიიღო.

„ყველა ბილბორდი დაკავებული იყო. მათ ჰქონდათ მზა პასუხი და გვეუბნებოდნენ, რომ შეკვეთები უკვე მიიღეს და ჩვენთვის ადგილი არ ჰქონდათ", – ამბობს მანანა ნაჭყებია.

ნაჭყებიას თქმით, გარერეკლამის განთავსების დროს თანაბრობის პრინციპი დაცული არ არის და მიაჩნია, რომ საკითხი კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პრესსპიკერის განმარტებით, სარეკლამო ბილბორდებზე რეკლამის განთავსება ყველა პოლიტიკურ პარტიას შეუძლია და მისთვის არცერთი კონკრეტული შემთხვევა არ არის ცნობილი, როცა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას სარეკლამო ბანერის განთავსებაზე უარი ეთქვა.

„ქალაქში არაერთი ცარიელი ბილბორ-

ფოტო: გიორგი გოგუა

დია, არ მესმის, რატომ არ არის მათზე რომელიმე პოლიტიკური პარტიის რეკლამა განთავსებული“, – ამბობს ჩიორა თაქთაქიშვილი. ის კოალიცია „ქართული ოცნებისთვის“ ყველა ანგარიშის დაყადაღების ფაქტსაც უარყოფს და ამბობს, რომ „ქართულ ოცნებას“ რეკლამის განთავსებისთვის საჭირო ფინანსები შემოწირულობის სახით აქვს მიღებული.

ჩიორა თაქთაქიშვილის თქმით, საორგანიზაციო პრობლემების თავიდან აცილების მიზნით შესაბამის კომპანიებს ნაციონალურმა მოძრაობამ „დროზე ადრე მიმართა“.

მაისში, კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში, არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებმა საქართველოს პარლამენტს „საარჩევნო კოდექსში“ შესატანი საკანონმდებლო წინადადებები წარუდგინეს.

ერთ-ერთი საკითხი წინაასაარჩევნო რეკლამას, კერძოდ, პოლიტიკური სუბიექტებისთვის გარერეკლამის თანაბარ ხელმისაწვდომობას ეხებოდა. ინიციატივაში ყველა ის მექანიზმი იყო გაწერილი, რომელიც ერთი პოლიტიკური სუბიექტის მიერ წინასაარჩევნოდ გარერეკლამის მონოპოლიზებას გამორიცხავდა. საკანონმდებლო წინადადებაში რეკლამაზე ტარიფების დადგენის წესიც იყო განსაზღვრული.

„პოლიტიკური რეკლამის ტარიფები წინასაარჩევნო პერიოდში საგრძნობლად და შეუსაბამოდ მატულობდა, რის გამოც აუცილებელია დარეგულირდეს, როგორც სატელევიზიო, ისე გარერეკლამის განთავსების წესები, მათი განაწილების თანასწორობის პრინციპი და ტარიფების სტაბილურობა“ – აღნიშნულია საკანონმდებლო წინადადებაში.

საიას იურისტის ირმა პავლიაშვილის თქმით, კერძო კომპანიებს სარეკლამო აბრების და თავისუფალი ბილბორდების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის უნდა მიეწოდებინათ. ცესკო კი თანაბრობის პრინციპის დაცვით გარერეკლამას არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურ პარტიას შესთავაზებდა.

„ეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა გაეკეთებინა და ჩვენი ინიციატივაც ამას ეხებოდა“, – გვითხრა ირმა პავლიაშვილმა.

ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში რამდენიმე სამუშაო შეხვედრაც გაიმართა. პარლამენტმა „ეს შენ გეხებას“ ინიციატივა გარერეკლამების რეგულირებასთან დაკავშირებით არ გაითვალისწინა. საკანონმდებლო ინიციატივების განხილვაში ჩიორა თაქთაქიშვილიც მონაწილეობდა, რომელიც დღეს ამბობს, რომ არასამთავრობოებისთვის პრიორიტეტული „მასთქერი“ იყო: „ჩვენ ვაპირებდით ამ საკითხის განხილვას. მაგრამ რამდენადაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა ჩათვალეს, რომ ეს საკითხები მეორეხარისხოვანი იყო და კონცენტრაცია უნდა გაკეთებულიყო „მასთქერიზე“, ბუნებრივია, საქართველოს პარლამენტმა მთელი ძალისხმევა ამ საკითხის მოგვარებას დაუთმო“.

წინასაარჩევნო პერიოდში გარერეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები ისევ რეგულაციის მიღმა რჩება. უცნობია გარერეკლამისთვის გადახდილი ხარჯების მოცულობაც.

რა დაუჯდა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ გარერეკლამის განთავსება? რამდენ ბილბორდზეა მმართველი პარტიის რეკლამა განთავსებული და არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკურ პარტიებმა თუ მიმართეს რეკლამის განთავსებაზე პასუხისმგებელ კომპანიებს? – ამ კითხვებით „ლიბერალმა“ ორივე სარეკლამო კომპანიას მიმართა. როგორც აღმოჩნდა „აუთდორ. ჯი“-ს ყველა თანამშრომელი შვებულებაშია და ერთი თვის შემდეგ დაკავშირება გვთხოვეს. სარეკლამო კომპანია „ელეფანტის“ მონიტორინგის სამსახურის უფროსმა კი ინფორმაციას კონფიდენციალური უწოდა და კითხვებზე არ გვიპასუხა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრესსპიკერის ჩიორა თაქთაქიშვილის განმარტებით, რეკლამაში გადახდილი ფინანსები საჯარო კანონით დადგენილ ვადებში გახდება. რადგან „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონი არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურ პარტიას არჩევნების დანიშვნის დღიდან სამ კვირაში ერთხელ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ფინანსური ანგარიშის წარდგენას ავალდებულებს.

საარჩევნო კამპანია 1 აგვისტოს გამოცხადდა, მას შემდეგ ოთხი კვირა გავიდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე კი პარტიების წინასაარჩევნო ფინანსური ანგარიშები ამ დრომდე არ არის განთავსებული.

"უნივერსიტეტი ხარისხიან აზრს უნდა ემსახურებოდეს"

ინტერვიუ პროფესორ

მარინე ჩიტაშვილთან

ნიშნავენ თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაღალ აკადემიურ თანამდებობებზე პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. თუ თქვენ აკადემიურ პერსონალს გულისხმობთ, აკადემიური პერსონალი გადის კონკურსს და შესაბამისად, ამ კონკურსის კვალობაზე ირჩევიან. სხვა თემაა, როდესაც შერჩევის დროს აკადემიური თანამდებობის დაკავების საშუალებას უფრო ღირსეულს არ მისცემენ, მაგრამ პოლიტიკური ლოიალობა ამასთან კავშირში არ არის. უნივერსიტეტის პროფესურას თუ გადავხედავთ, ვერ ვიტყვით, რომ იქ პოლიტიკური ლოალობის ნიშნითაა დანიშნული ხალხი.

თუმცა, შერჩევის კრიტერიუმები გამართული არ არის. როდესაც ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კრიტერიუმად სწავლების გამოცდილებას ითხოვენ, ეს უნივერსიტეტში ახალი კადრების შემოსვლას უშლის ხელს. იშვიათია, რომ სხვა უნივერსიტეტიდან კვალიფიცირებული კადრები მოვიდნენ, ისევ ძველი კადრები რჩებიან ახალ თანამდებობებზე.

დებულების მიხედვით, საკონკურსო კომისიის ექსპერტულ დასკვნებს გადაწყვეტილების მიღებაზე არანაირი გავლენა არ აქვს. ისინი აძლევენ რეკომენდაციებს და მერე საბჭო ან ამტკიცებს ან – არა. კითხვაზე უნდა გადაიხედოს თუ არა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შერჩევის კრიტერიუმები, ჩემი პასუხია ერთმნიშვნელოვნად – დიახ. მაგრამ პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახებ არ მსმენია.

შერჩევის კრიტერიუმები ადეკვატური არ არის?

დიახ, სწორედ ამაზე ვსაუბრობდი. კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც პროფესურას არჩევენ, არ არის ადეკვატური იმისათვის, რომ მაღალი კვალიფიკაციის კადრები მოიზიდო და შეინარჩუნო.

ფიქრობენ თუ არა უნივერსიტეტში შერჩევის კრიტერიუმების გადახედვაზე?

რამდენჯერმე დავაყენე კრიტერიუმების გადამუშავების საკითხი, მაგრამ სერიოზულად არ განხილულა. ფაკულტეტების მიხედვით არ არის გათვალისწინებული სპეციფიკა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თვალსაზრისით ყველაზე უფრო ძლიერად საბუნებისმეტყველო ფაკულტეტია წარმოდგენილი. ე.წ. იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში ყველაზე მეტი პუბლიკაციები და საერთაშორისო გრანტები მათ აქვთ. როდესაც იწერება, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატია, ეს აბსოლუტურად არარელევენტურია ჰუმანიტარებისათვის, სოციალური მეცნიერებებისათვის, იურისტებისთვის ეკონომისტებისა და ბიზნესის ფაკულტეტისათვის. ეს არ ნიშნავს, რომ სხვაგან სტანდარტი დავწიოთ. სოციალურ მეცნიერებებში ყველაზე მაღალი იმპაქტფაქტორი გულისხმობს 1.8-ს, მაშინ როდესაც საბუნებისმეტყველოებისათვის – 6.0-ია. თუ მოთხოვნაა, რომ სოციალური მეც-

ფოტო: ლევან ნარიკაშვილი

ნიერების წარმომადგენლის სტატია მაინცდამაინც 6.0. კოეფიციენტის მქონე ჟურნალში დაიბეჭდოს, ასეთი ჟურნალი უბრალოდ არ გვაქვს.

ესტონეთში ყველა დარგში არჩეულია დაახლოებით 100-დან 150-მდე ჟურნალი და აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში ერთ-ერთი კრიტერიუმი ბოლო 5 წლის განმავლობაში ამ ჩამოთვლილი ჟურნალებიდან ერთ-ერთში მაინც გამოქვეყნებული სტატიის ქონაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა დარგისათვის შერჩევის კრიტერიუმი ადეკვატურია. ჩვენთან არსად არაა ჩამოწერილი ის ჟურნალები, სადაც კარგი იქნებოდა, რომ სტატია გამოქვეყნებულიყო. ესტონეთში ეს კრიტერიუმები აკრედიტაციის ცენტრმა აკადემიურ პერსონალთან ერთად შექმნა.

მეორეცაა, ჟურნალში სტატია რომ გამოვაქვეყნო, სამეცნიერო კვლევისთვის დრო უნდა მქონდეს. უნივერსიტეტის ანაზღაურების სისტემა

მიბმულია საათობრივ დატვირთვაზე, რომლის კვალობაზეც სამეცნიერო საქმიანობისათვის დრო, უბრალოდ, აღარ გრჩებათ.

რა როლი აქვს უნივერსიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში აკადემიურ პერსონალს? ვინ მართავს უნივერსიტეტში პროცესებს?

გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იღებს და არა ლექტორებისა და სტუდენტების ჯგუფი. ადმინისტრაციას ჰგონია, რომ მან რაღაც უნიფორმა უნდა შექმნას, რომელსაც ყველას და ყველაფერს მოარგებს. აკადემიური პერსონალი კი ვალდებულია, დაემორჩილოს. თუ არადა – ეუბნებიან, თავისუფალი არიან სამსახურიდანო. 3-წლიანი კონტრაქტები, რომელიც ახლა 6-მდე გაიზარდა, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სწავლებასა და კვლევაში ადამიანი თავისუფლად იყოს ჩართული. ასეთ შემთხვევაში პერსონალი დამოკიდებულია იმაზე, განუახლებენ თუ არა კონტრაქტს. აკადემიური პერსონალი ჩაყენებულია ისეთ სიტუაციაში, რომ მიყვეს ფორმალურ მოთხოვნებს და არ იზრუნოს ახალი ცოდნის გენერირებაზე.

რამდენად აქვს ფინანსურად უნივერსიტეტს იმის საშუალება, რომ დამოუკიდებელი იყოს?

უნივერსიტეტს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ დამოუკიდებელი იყოს. მის განკარგულებაში არსებული ფინანსები უკეთესად რომ გადაალაგოს, თავისუფლად შეეძლება კარგი სასტარტო პირობებით დაახლოებით 5 წელიწადში კვლევისა და სწავლების პროცესი უზრუნველყოს.

მთავარი არგუმენტი უნივერსიტეტის სისუსტისა და კვლევითი პროცესების არარსებობის გასამართლებლად ფინანსების სიმწირეა. თუ ფინანსური პრობლემა არ დგას, მაშინ რატომ ვერ ხერხდება სიტუაციის გამოსწორება?

ფინანსების არქონა ელემენტარული ტყუილია. ძალიან მარტივ მაგალითს მოვიყვან. კანონში მოცემული დეცენტრალიზაციის პრინციპი ფაკულტეტების მიხედვით არაა განხორციელებული. ეს ნიშნავს იმას, რომ ფაკულტეტს უნდა ჰქონდეს თავისი ბიუჯეტი და თვითონ უნდა განკარგავდეს საკუთარ ბიუჯეტს. ჩვენ გვაქვს ცენტრალიზებული ბიუჯეტი, პირდაპირ გეუბნებიან, რაში რამდენი დაიხარჯება.

ფული უნივერსიტეტში სტუდენტებისა და სამეცნიერო გრანტებიდან შემოდის. სამეცნიერო გრანტებს თავი დავანებოთ, სტუდენტების ფული ავიღოთ. დაფარული უნდა იყოს ყველანაირი ხარჯი და პარალელურად, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ პირობები სწავლისა და სამეცნიერო კვლევის. არსებობს ცენტრალური ადმინისტრაცია, სადაც უნდა წავიდეს ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი, ჩვენ შემთხვევაში ეს დაახლოებით 50 პროცენტამდე იყო. ანუ ცენტრალურ ადმინისტრაციას ფაკულტეტის გენერირებული ბიუჯეტიდან თითქმის ნახევარი თავისთვის მიჰქონდა. თუ მოწესრიგებული მექნება რეგისტრაციის, განაწილების, ბიბლიოთეკის და ა.შ ხარჯები, მართვა არაა პრობლემა. რა მოსდის დანარჩენ 50%, რაც ფაკულტეტს დარჩა?

დოქტორანტებს, რომლებიც თავისი შემოსავლით არიან (მათი რაოდენობა დავუშვათ 100-ია), ბიუჯეტში შემოაქვთ 50 000 ლარი, მათ გრაფაში 50 000-ის ნაცვლად ხომ უნდა ეწეროს 25 000? სინამდვილეში წერია პირობითად 10 000, სად მიდის დანარჩენი 15 000? მეორეც, ამ 25 000 ლარიდან ან კვლევა უნდა წაახალისო, ან ხელი შეუწყო სწავლებას. რაში მიდის ამდენი ფული? 2005 წლიდან არანაირი ანგარიში დღევანდელ დღემდე არ მინახავს.

უნივერსიტეტში ფინანსების ხარჯვა გამჭვირვალე არ არის?

ნამდვილად, გამჭვირვალე არაა ხარჯვა. მაგალითად, ძალიან ბევრი დადის მივლინებაში. ვინ დადის მივლინებაში, რატომ დადის, რა პრინციპით ირჩევიან და რამდენი იხარჯება? ეს არაა ჩვენთვის ცნობილი.

ოფიციალურად პროფესორის ხელფასი 920 ლარია, დანამატით 1150. თუ ორჯერ მეტად შეუძლიათ მუშაობა, მათი შემოსავალი ორმაგდება. ვინ არიან ეს ადამიანები, რა კრიტერიუმებით აირჩნენ? არ ვამბობ, რომ ეჭვი შემაქვს მათში, მაგრამ მაინტერესებს, ვინ აირჩია, სტუდენტებს მოსწონდათ თუ არა, როგორც მასწავლებლები? თუ მათ ამდენს უხდი, მაშინ მეორეს რატომ უხდი ნაკლებს? გარდა ამისა, ჩემთვის სრულიად გაუგებარია კიდევ ერთი პრინციპი: თუ ახლა ვინმეს მოუნდება გადავიდეს ორმაგ სასწავლო პროცესზე, აღმოჩნდება, რომ ადგილები შევსებულია. აქაც ჩნდება კითხვები, რა კონკურსის საფუძველზე შეივსო ადგილები? ჩემი აზრით, აქ საუბარი არაა პოლიტიკურ ლოიალობაზე, არამედ, მთავარი ისაა, რომ უნივერსიტეტი უნდა ემსახურებოდეს კრიტიკულ აზრს და თავისუფალი აზროვნების ხელშეწყობას უნდა ცდილობდეს. პროფესორები, ვინც თვალს ხუჭავენ სხვის დისკრიმინაციაზე, ძალიან საეჭვოა, კრიტიკული აზროვნების მქონენი იყვნენ.

როდესაც უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების რაღაც ნაწილს, ვგულისხმობ თუნდაც აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებს, აკრედიტაციის ცენტრი წერს, აყენებს თუ არა ეს უნივერსიტეტის ავტონომიურობას ეჭვქვეშ?

სადაა უნივერსიტეტის ავტონომიურობა? ბოლონიის პროცესის პრინციპი უნივერსიტეტის ავტონომიურობის შესახებ საქართველოში რეალურად არსად მუშაობს. 1921 წლიდან უნივერსიტეტს აღარ უფუნქციონირებია სრულად.იმ სამი წლის ნამუშევარმა დღემდე მოიტანა უნივერსიტეტი. ერთადერთი, რაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ხდება [კვლევითი სამუშაო], ესაა უნივერსიტეტის იდეა. ვებგვერდზე რომ შეხვიდეთ, ნახავთ, რამდენი ადამიანია წასული საზღვარგარეთ და რა თანამდებობებზე

არიან, ისინი ყველანი უნივერსიტეტელები არიან.

ჩვენი ხელისუფლების დაახლოებით 80% თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. დიდი ბრიტანეთის მთავრობაში 65% ოქსფორდის ბაკალავრიატდამთავრებულია, როცა ხელისუფლება უნივერსიტეტში მოდის და მოაქვს ქვეყნის განვითარების იდეები, ოქსფორდის პროფესურა სვამს კრიტიკულ შეკითხვებს, ეჭვქვეშ აყენებს მათი გეგმების ადეკვატურობას. არ უნდა იყოს ისე, რომ ხელების ქნევა დაიწყოს მთავრობის წარმომადგენელმა კრიტიკული კითხვების მოსმენისას, ჩვენ ყველანი ქვეყნის განვითარებაზე უნდა ვფიქრობდეთ.

უნივერსიტეტმა ახალი სტატუსი მიიღო, კერძო სამართლის იურიდიულ პირად იქცა, რაც მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. არცერთ უნივერსიტეტს, რომელიც ახალი სტატუსი მიიღო, წესდების დოკუმენტი შესაბამისად შეცვლილი არ აქვს. რა აზრი აქვს ამას, თუ უფრო მეტს არ დავითვლით, უფრო მოქნილს არ გავხდით. არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ შესყიდვები მარტივი გახდა.

ის ფული, რაც უნივერსიტეტში მოდის, ჩვენი ჯიბიდანაა და ანგარიშვალდებულები არიან გვითხრან, სად ხარჯავენ ამ ყველაფერს. იმას არ ვამბობ, რომ თვითონ იდებენ ჯიბეში ფულს, მაგრამ იქნებ არასწორად იხარჯება?

ადმინისტრაციის მაღალ თანამდებობებზე რა პრინციპით ინიშნებიან?

ადმინისტრაციის პოლიტიკურ ლოიალობას თუ შევეხებით, დიახ, ერთმნიშვნელოვნად ამ ნიშნით ინიშნებიან.

განათლების კანონის პირველი ვარიანტის მიხედვით, რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ორი წლით პრეზიდენტის ბრძანებით ინიშნებოდა. დროებით არჩეულ რექტორს პირველ ჯერზე არჩევნებში მონაწილეობა ვერ უნდა მიეღო, ეს კანონის პირველ ვარიანტში ეწერა. მაგრამ ეს მუხლი უცებ ამოვარდა. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ ყველა პრეზიდენტის დანიშნული დროებითი რექტორი შემდეგ არჩეული რექტორი გახდა. პოლიტიკური ლოიალობის პირველი ნიშანი! როცა ამ რექტორებმა 2 ციკლი ჩაამთავრეს, შეიცვალა კანონი და თურმე რექტორს სულ აღარ სჭირდება აკადემიური გამოცდილება. ამ რექტორების ნაცვლად

როცა ხელისუფლება უნივერსიტეტში მოდის და მოაქვს ქვეყნის განვითარების იდეები, ოქსფორდის პროფესურა სვამს კრიტიკულ შეკითხვებს, ეჭვქვეშ აყენებს მათი გეგმების ადეკვატურობას. არ უნდა იყოს ისე, რომ ხელების ქნევა დაიწყოს მთავრობის წარმომადგენელმა კრიტიკული კითხვების მოსმენისას, ჩვენ ყველანი ქვეყნის განვითარებაზე უნდა ვფიქრობდეთ.

მოვიდნენ სხვები, ისევ დაინიშნა პოლიტიკური ლოიალურობის ნიშნით შერჩეული ხალხი. ამიტომ, თუ თქვენ მეკითხებით, ინიშნებიან თუ არა პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით ადმინისტრაციაში ადამიანები, პასუხი ერთმნიშვნელოვნად დადებითია. არცერთი შემთხვევა არ ვიცი, რომ ხელისუფლების მიმართ არალოიალურად განწყობილი რექტორი არსებობს საქართველოში.

როგორ შეაფასებთ ალექსანდრე კვიტაშვილის რექტორობის ორ წელს? აქვს თუ არა მას უნივერსიტეტის განვითარების განსაზღვრული სამოქმედო კონცეფცია?

კვიტაშვილს, როგორც პიროვნებას დადებითად შევაფასებდი, ადეკვატური და უცხოელებთან და თანამშრომლებთან საკმაოდ კონტაქტურია. შეუძლია კარგი კონტაქტი დაამყაროს სტუდენტებთან და შეინარჩუნოს უნივერსიტეტი, როგორც „წყნარი“ ადგილი – ეს მას კარგად გამოსდის. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არანაირი პრინციპული ცვლილება არ მომხდარა. რაიმე განსაკუთრებული სტარეგიული გეგმა, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტი უნდა განვითარდეს, მე არ მინახავს. კარგია, რომ კონტაქტები გაიზარდა, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებაც განახლდა უნივერსიტეტში, მაგრამ პროფესურის მიმართ დამოკიდებულება არ შეცვლილა.

შეიმჩნევა თუ არა უნივერსიტეტის გაძლიერებისა და გაუმჯობესების ნიშნები?

ნამდვილად ვერ გეტყვით, რომ ამისაკენ მივდივართ. სრულიად შესაცვლელია უმაღლესი განათლების კანონი. იმდენი ცვლილებაა შეტანილი, რომ აღარ იკითხება. ამის პარალელურად ერთმნიშვნელოვნად შესაცვლელია აკრედიტაციის სამსახურის დებულება. რამდენიმე აკრედიტაციის სამსახური უნდა იყოს და სახელმწიფოს კრიტერიუმები უნდა ჰქონდეს შემუშავებული. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა გაიარეს ეს უკვე, გაკეთებულია. აქაც უნდა გაკეთდეს.

განათლება არასოდას არ ყოფილა ამ ქვეყანაში პრიორიტეტი. ის მხოლოდ დეკლარირებული მიზანი იყო. სწორედ ესაა ჩვენი ქვეყნის ძირითადი პრობლემა.

ესაუბრა თინა ყიფშიძე.

ნათია მიქიაშვილის "ანატომია"

მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა „ანატომია“ არღვევს არაერთ ჟურნალისტურ სტანდარტსა თუ ეთიკის ნორმას, ის მაინც პოპულარობით სარგებლობს.

გიორგი გოგუა

ჩამუქებულ ეკრანზე ღამის თბილისის კადრი ჩანს. წამყვანი მძიმე, მონოტონური მუსიკის თანხლებით გადაცემის შესავალი ტექსტის კითხვას იწყებს:

„ხელისუფლება საზოგადოებას მუდმივი კრიზისის რეჟიმში ამყოფებს... მაგრამ კრიზისს, რომელსაც სააკაშვილი გვთავაზობს, აჩრდილიც დაჰყვება. სწორედ ამ აჩრდილთან, რუსეთთან ომში აღმოვჩნდით ჩვენ ხელისუფლების წყალობით და გადავაბარეთ ამ აჩრდილს ასეულობით ჯარისკაცის სული“ – უკვე ერთი თვეა, ტელეკომპანია „მე-9 არხის“ ეთერში ნათია მიქიაშვილის საავტორო გადაცემა „ანატომია“ მსგავსი პათოსით იწყება. გადაცემა ამავე არხის ვებგვერდზე გამოქვეყნებული აღწერილობის მიხედვით, „საგამოძიებო-ანალიტიკური შინაარსისაა“.

„ანატომიის“ ავტორისა და წამყვანის ტექსტში ხშირად ვხვდებით ისეთ მოსაზრებებს, როგორიცაა: „საზოგადოებამ სააკაშვილს საკუთარი ჰალსტუხის ღეჭვიდან დაწყებული, გორის ქუჩებში ხოხვით დამთავრებული, ყველაფერი აპატია“; „არ გამიკვირდება, უახლოეს მომავალში სააკაშვილის ბიზნესინტერესები „გაზპრომშიც“ რომ აღმოვაჩინოთ“; გადაცემაში ასევე უხვადაა ისეთი სიტყვათშეთანხმებები, როგორიცაა: „ნაციონალური სამართალი“, „ნაციონალური აზრი“ და ა.შ., რომელიც, ჩვეულებრივ, პრეზიდენტ სააკაშვილისა და მასთან დაახლოებული პირებისკენაა მიმართული. ეს კი ბადებს კითხვას: ემსახურება თუ არა ეს გადაცემა მიზანმიმართულ პროპაგანდას?

ჟურნალისტი ია ანთაძე ფიქრობს, რომ გადაცემა საინტერესოა, თუმცა, სწორედ ასეთი შეფასებებისა და სპეციალური ეფექტების გამო, გაურკვეველია ჟანრი — „აქ ვხვდებით ისეთ ადამიანებს, რომლებსაც კავშირები აქვთ სახელმწიფო მოხელეებთან, ვიგებთ ელიტური კორუფციის შესახებ, მაგრამ ჟანრი არ ვიცი, რა არის: ზოგჯერ ძალიან საინტერესო ფაქტების ნაკრებია, ზოგჯერ კი გაჯერებულია სპეციალური ეფექტებით, რომლებიც გიბიძგებს ზედმეტი დრამატიზებისკენ“. გარდა ამისა, ჟურნალისტის თქმით, არ შეიძლება, ანალიტიკურ გადაცემაში გვხვდებოდეს ავტორისეული შეფასებები, რადგან ანალიზი და თვალსაზრისი მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული ერთმანეთისგან.

ჟურნალისტ დავით პაიჭაძიძის შეფასებით, ამ გადაცემას არც ჟურნალისტურ გამოძიებასთან აქვს რამე საერთო: „ავტორს არ აქვს ნაკვლევი არცერთი ისეთი ფაქტი, რომელიც აქამდე უცნობი იყო საზოგადოებისათვის – არ არის არცერთი ექსკლუზივი“, – ამბობს პაიჭაძე. მისივე თქმით, ეს სხვა არაფერია, თუ არა „მტრული გადაცემა საქართველოს ხელისუფლებისთვის“: „გადაცემა გათვლილია პროპაგანდაზე და არა მაყურებლისთვის უტყუარი ინფორმაციის მიწოდებაზე“, – მიიჩნევს პაიჭაძე.

გადაცემაში გვხვდება ფაქტობრივი შეცდომებიც. მაგალითად, ფილმში, რომელიც მარკ მალენს მიეძღვნა, ავტორი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარესთან დაკავშირებული კომპანიის, „ვორდროპ ენდ ალექსანდერის“ მიერ აშენებულ ობიექტებზე მოგვითხრობს. ჩამონათვალში ერთ-ერთი ობიექტი საჰაერო ნავიგაციის კოშკია, რომელიც, გადაცემის ავტორის მტკიცებით, სწორედ ამ კომპანიამ ააშენა მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ 4.5 მილიონი აშშ დოლარი გადაუხადა. გარდა ამისა, შენობის არქიტექტორი, გიგა ბოკერიას მამა, ლევან ბოკერიაა. აქედან გამომდინარე, ნათია მიქიაშვილი მიუთითებს მარკ მალენისა და ხელისუფლების ახლო კავშირზე.

სინამდვილეში, სამოქალაქო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანია „ვორდროპ ენდ ალექსანდერ“-ი 2010 წელსაა დარეგისტრირებული, მაშინ, როდესაც საჰაერო ნავიგაციის მართვის კოშკი (რომლის არქიტექტორიც მართლაც ლევან ბოკერიაა), 2004 წელს, კომპანია „არქითრეიდმა“ ააშენა. ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტობრივი სპეკულაციები გადაცემაში მოხმობილ უტყუარ ფაქტებსაც ეჭვქვეშ აყენებს და მთლიანად გადაცემას უკარგავს სანდოობას.

„ვინ არის ის ადამიანი, ვისაც ეს ომი უნდოდა? თქვენთვის ჩუმად, უთქმელად გადაწყვიტეთ, ვინ დაიწყო ომი“ – ამ ფრაზით გახსნა ნათია მიქიაშვილმა გადაცემა რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ. დაახლოებით 40 წუთის განმავლობაში, საარქივო მასალებზე დაყრდნობით, ავტორი ცდილობდა მაყურებლისთვის ეჩვენებინა, რომ ამ ომის წამოწყებაში დამნაშავე სხვა არავინაა, თუ არა საქართველოს ხელისუფლება.

გადაცემამ სოციალურ ქსელებში მძაფრი რეაქციები გამოიწვია. გარემოს დაცვის მინისტრი, გოგა ხაჩიძე თავის „ფეისბუქის“ გვერდზე წერდა: „თუ ჩვენი კანონმდებლობა ამას ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდის და ღალატის კვალიფიკაციას არ აძლევს, მაშინ კანონია დასახვეწი. დარწმუნებული ვარ, მომავალი პარლამენტი გამოასწორებს ამ საკითხს. ესენი ჩვეულებრივი, მარტივი მოღალატეები არიან, ადრე ასეთებს ცხენის კუდზე აბამდნენ... ფუჰ!“

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს თავმჯდომარე, ზვიად ქორიძე მიიჩნევს, რომ „ანატომიის“ ეს გამოშვება, მართალია, თავისი შინაარსით პროპაგანდისტულია, მაგრამ იქ თავმოყრილი ფაქტები მაინც საინტერესო და სასარგებლოა: „ავტორს უნდოდა, ეჩვენებინა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თავისი 8-9 წლიანი მოღვაწეობის შედეგად სრული კაპიტულაცია გამოუცხადა რუსეთს“, – ამბობს ქორიძე და დასძენს, მიუხედავად იმისა, რომ, გადაცემაში ნაჩვენები ფაქტები ანალიტიკური თვალსაზრისით ამყარებდა ავტორის მთავარ სათქმელს, მეტი სარწმუნოობისათვის აკლდა წყაროებისა და დოკუმენტების მრავალფეროვნება.

კრიტიკის მიუხედავად ჟურნალისტები ამბობენ, რომ სიტყვის თავისუფლების პირობებში არ შეიძლება „ანატომიის“ მსგავსი გადაცემები კანონით შეიზღუდოს: „შეიძლება, გადაცემა, ზოგ შემთხვევაში, ეთიკის ნორმებს არღვევს, თუმცა, ეს არ შეიძლება, კანონდარღვევად ჩაითვალოს“, – მიიჩნევს ჟურნალისტი ია ანთაძე. მისივე თქმით, „პროდუქტი „ანატომია“ შვა იმ გარემოებამ, რომ ჩვენთან ინფორმაცია დახურულია. ელიტური კორუფციის პირობებში საგამოძიებო ჟურნალისტიკისათვის ცუდი ნიადაგია, ამიტომაც ჟურნალისტს, ზოგ შემთხვევაში, მუშაობა ეთიკის სტანდარტების გვერდის ავლით უწევს“, – ამბობს ანთაძე.

ერთი თვის მანძილზე „ანატომია“ საკმაოდ რეზონანსული გადაცემა გახდა. შეფასებები მრავალფეროვანია: „კარგი გოგო ხარ! ბედნიერი იყავი! გვიხარია შენი გადაცემა“; „მიქიაშვილმა ბოდიში საჯაროდ უნდა მოიხადოს. აგვისტოს ომზე სიუჟეტი ყველაზე ამაზრზენი გადაცემა იყო, რაც კი ოდესმე ტელევიზიით გასულა. რატომ კარგავს „ქართული ოცნება“ ასეთი გადაცემების გამო ამომრჩევლებს, ვერ ვხვდები“; „ნათია მიქიაშვილი არის გმირი ქართველი ქალბატონი! ბოდიში ნაცებმა უნდა მოუხადონ საქართველოს, თუმცა ამას ვაჟკაცობა სჭირდება“ – ვკითხულობთ „მე-9 არხის“ ვებგვერდზე, მაყურებლების კომენტარებში.

დავით პაიჭაძისთვის გაუგებარია, თუ როგორ მოიპოვა პოპულარულობა ისეთმა გადაცემამ, როგორიც „ანატომიაა“: მისი აზრით, ის გათვლილია ისეთ მაყურებელზე, რომელსაც გარკვეული მიმართულებით აქვს ჩამოყალიბებული აზრი და არა კრიტიკული განწყობა. „რაც უნდა საგამოძიებო ვეძახოთ, ეს მაინც პუბლიცისტური ხასიათის გადაცემაა, პუბლიცისტიკა კი მკითხველთა და თანამგრძნობელთა წრეს არ იფართოვებს – მხოლოდ კონკრეტული აუდიტორიისთვისაა გათვლილი“.

მაყურებელი ამ გადაცემას არც მანამდე აკლდა, სანამ, როგორც დამოუკიდებელი სტუდია, „ანატომიის“ პროდუქტი, „მე-9 არხის“ ეთერში გამოჩენამდე სოციალური ქსელებით ვრცელდებოდა. „მსგავსი გადაცემის არსებობა ქართულ ტელესივრცეში ძალიან მნიშვნელოვანია. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, თავად ის ფაქტი, რომ ამ გადაცემას ამდენი მაყურებელი ჰყავს, და იქ განხილულ თემებს ფართო გამოხმაურება მოჰყვება, უკვე მეტყველებს იმაზე, რომ ასეთი ტიპის გადაცემა უნდა არსებობდეს“, – ამბობს არხის დირექტორი, კახა ბექაური.

ჟურნალისტი ნინო ჯაფიაშვილი მიიჩნევს, რომ „ანატომიისა“ და მსგავსი ტიპის გადაცემების პოპულარულობა, ძირითადად, ორი მიზეზითაა გამოწვეული: ერთი, რომ ადამიანებს ნაწილს იმის მოსმენა სურს, რასაც ისმენს, და მეორე – მაყურებელი კრიტიკის გარეშე იღებს მოწოდებულ ინფორმაციას: „ასეთი გადაცემები ყოველთვის არსებობდა და იარსებებს: ეს სიტყვის თავისუფლებაა, თუმცა ამავდროულად, მაყურებლის პასუხისმგებლობა ასეთ შემთხვევაში ძალიან დიდია: ყველაფერი, რასაც ტელევიზიით გადმოსცემენ, უტყუარ ფაქტებზე დამყარებული ინფორმაცია არ არის. რაც უფრო კრიტიკულად იქნება აუდიტორია განწყობილი, მით უფრო გაქრება ეთერიდან ნაკლებად სანდო ჟურნალისტური პროდუქტი“, – ამბობს ნინო ჯაფიაშვილი.

თვალთვალი ინტერნეტში

ინტერნეტ-გიგანტები სულ უფრო ბევრს საუბრობენ სხვადასხვა მთავრობისა და სამართალდამცავების მხრიდან ზეწოლის მასშტაბის გაზრდაზე.

ნინო ნატროშვილი

ისმინება თუ არა Skype

ბოლო პერიოდში ინტერნეტ-სივრცეში აქტიურად განიხილებოდა Skype-ის სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის საკითხი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მრავალწლიანი წინააღმდეგობის შემდეგ, კომპანიამ, რომელიც კონფიდენციალურობის დაცვის ხარისხით ამაყობდა, სამართალდამცავებს მომხმარებლების პირად მიმოწერაზე წვდომის უფლება მისცა. საუბარი Skype-ის ახალი პოლიტიკის შესახებ ჯერ კიდევ მას შემდეგ დაიწყო, რაც იგი Microsoft-მა 8,5 მილიარდ დოლარად შეიძინა, ივლისის ბოლოს კი ინტერნეტ-სივრცე სენსაციური სათაურებით აჭრელდა. წერდნენ, რომ Skype-ს არქიტექტურაში განხორციელებული ცვლილებები სწორედ სამართალდამცავებისთვისა და მთავრობებისთვის ჩატებისა და სატელეფონო თუ ვიდეოზარების კონტროლის გამარტივებას ისახავდა მიზნად.

მოგვიანებით სერვისის ადმინისტრაციამ ოფიციალური განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ ეს ცვლილებები მხოლოდ ტექნიკურ სრულყოფას ემსახურებოდა და არა ხელისუფლებების მოთხოვნების შესრულების მზადყოფნას. ხელმძღვანელობამ კატეგორიულად უარყო გავრცელებული ხმები დაცვის პარამეტრების შეცვლისა და სამართალდამცავი ორგანოებისთვის მომხმარებლების საუბრებსა და მიმოწერაზე პირდაპირი წვდომის მინიჭების შესახებ. მაგრამ აქვე აღნიშნეს, რომ Skype-ს უფლება აქვს, მომხმარებლების პირადი მონაცემები ან ინფორმაცია საუბრების შესახებ სრულად ან ნაწილობრივ სამართალდამცავ ან სასამართლო ორგანოებს გადასცეს, თუმცა მხოლოდ კანონიერი მოთხოვნის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ეს პუნქტი სერვისის კონფიდენციალურობის პოლიტიკაში 2007 წლიდან არსებობს, ანუ ის მოქმედებდა მანამდეც, სანამ კომპანიას Microsoft-ი შეიძენდა.

Skype-ს პროტოკოლი ყოველთვის დაცულად ითვლებოდა და კომპანიაც ამ უპირატესობას მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა. ამ მხრივ სხვადასხვა ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურებისთვის სერვისი ერთგვარ თავისტკივილადაც კი იქცა: 2007 წელს გერმანიის ხელისუფლებამ კომპანიას რთული ალგორითმის გამო უსაყვედურა და აღნიშნა, რომ დამნაშავეებზე თვალთვალს Skype ძალიან ართულებდა. 2008 წელს ინტერნეტში გაჩნდა დოკუმენტებიც, სადაც საუბარი იყო გერმანული პოლიციის მიერ სპეციალური ტროიანების შექმნაზე, რომლებიც ეჭვმიტანილების პირადი მიმოწერის თვალთვალისთვის გამოიყენებოდა. 2009 წელს კი იტალიურმა პოლიციამ განაცხადა, რომ დამნაშავეთა ჯგუფები სულ უფრო ხშირად იყენებენ Skype-ს, ხოლო სერვისის დაშიფრული მიმოწერა მათ საუბრების კონტროლის საშუალებას არ აძლევს. ანალოგიური პრეტენზია გამოთქვეს ბრიტანელმა სამართალდამცავებმაც.

სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის შემთხვევათა კონკრეტული რაოდენობა სერვისს არასდროს გამოუქვეყნებია, ამიტომ Skype-ს, სხვა ინტერნეტ-კომპანიების მსგავსად, ინფორმაციის გაცემის შესახებ ოფიციალური ანგარიშების გამოქვეყნება ურჩიეს.

როგორ თანამშრომლობენ ინტერნეტ-კომპანიები სამართალდამცავებთან

ინტერნეტ-კომპანიებს სამართალდამცავებთან თანამშრომლობის სტანდარტული წესები აქვთ. მაგალითად, მომხმარებლების მიმოწერას მუდმივად ამოწმებს Facebook-ი, რისთვისაც ის სპეციალურ სისტემას იყენებს. სისტემა საუბრების სკანირებას ახდენს და იმ ფრაზებსა და სიტყვებზე რეაგირებს, რომლებიც, შესაძლოა, სავარაუდო დანაშაულზე მიუთითებდეს. საეჭვო მიმოწერის აღმოჩენის შემთხვევაში, იგი ინფორმაციას სოციალური ქსელის უსაფრთხოების თანამშრომლებს მომენტალურად გადასცემს. ამის შემდეგ კი ისინი თავად წყვეტენ, შეატყობინონ თუ არა მომხდარი პოლიციას. სოციალურ ქსელში აცხადებენ, რომ სისტემა ეფექტიანად მუშაობს და მას რეალური შედეგები მოაქვს. ერთი დამნაშავე მისი დახმარებით სასამართლოს წინაშე უკვე წარსდგა: საუბარია 30 წლის მამაკაცზე, რომელიც 13 წლის გოგონას სექსუალური შინაარსის წერილებს წერდა და გაკვეთილების დასრულების შემდეგ შეხვედრას სთავაზობდა.

აგვისტოს დასაწყისში ნიუ-იორკის პოლიციამ Twitter-ზე გამოქვეყნებული საგანგაშო შეტყობინება აღმოაჩინა. ერთ-ერთი ინტერნეტ-მომხმარებელი ნიუ-იორკის თეატრში, სპექტაკლ Undisputed Truth-ის პრემიერაზე მისული მაყურებლის დახოცვით იმუქრებოდა. პრემიერა 3 აგვისტოს იყო დანიშნული. პოლიციამ კი შეტყობინებას ყურადღება მხოლოდ იმ დღეს მიაქცია. თეატრში სპეცრაზმი გაიგზავნა, თუმცა პრემიერამ ექსცესების გარეშე ჩაიარა. შეტყობინების ავტორი პოლიციამ დაიკავა, მაგრამ არ დაუპატიმრებია. დაკითხვის შემდეგ ის გაუშვეს, თუმცა ვინაობა, ასაკი, სქესი და მიზეზი, რის გამოც არ დააპატიმრეს, არ დაუკონკრეტებიათ.

ტვიტების ავტორს ნიუ-იორკის პოლიციამ Twitter-ის დახმარებითვე მიაგნო. შეტყობინების აღმოჩენისთანავე მან სოციალურ ქსელს მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია მოსთხოვა, თუმცა თავდაპირველად Twitter-მა პირადი მონაცემების გაცემაზე უარი განაცხადა: მუქარა საკმარისად სერიოზულად არ ჩათვალა, თუმცა მოგვიანებით, შესაბამისი ორდერის წარდგენის შემდეგ, პოლიციას ინფორმაცია გადასცა.

Skype-სგან განსხვავებით, Twitter-ი რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშებს იმ

ქვეყნების შესახებ, რომლებიც კომპანიას სხვადასხვა ინფორმაციის მოთხოვნით მიმართავენ. ბოლო ანგარიშში 23 სახელმწიფოა წარმოდგენილი. სულ 2012 წლის პირველ ნახევარში სოციალურ ქსელს 849 მოთხოვნა გაეგზავნა, მათი დიდი ნაწილი – აშშ-დან და იაპონიიდან. ამერიკელი სამართალდამცავი ორგანოების განაცხადების 75% შესრულდა, სულ კი კომპანიამ ინფორმაცია სრულად ან ნაწილობრივ 1181 მომხმარებელზე გასცა. Twitter-ს სთხოვდნენ არასასურველი ტვიტების წაშლასაც, თუმცა კომპანიას არცერთი მათგანი არ შეუსრულებია. სოციალურ ქსელში აღნიშნავენ, რომ წელს პირველ 6 თვეში მომხმარებლების პირადი ინფორმაციის გაცემის შესახებ გაცილებით მეტი მოთხოვნა მიიღეს, ვიდრე შარშან მთელი წლის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ Twitter-ი იმ მომხმარებლებს, რომელთა ანგარიშითაც სახელმწიფო ან სამართალდამცავი ორგანოები არიან დაინტერესებულები, ფაქტის შესახებ სპეციალურ შეტყობინებას უგზავნის, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სასამართლო აკრძალვა არ მოქმედებს.

სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებთან თანამშრომლობის შესახებ ანგარიშების გამოქვეყნების პრაქტიკა Google-მაც დანერგა და მონაცემებს ყოველ ექვს თვეში ერთხელ აქვეყნებს: ივნისის თვის ანგარიშში ამა თუ იმ კონტენტის წაშლასთან ერთად გაერთიანებულია მოთხოვნები მომხმარებლების ინფორმაციის, მათ შორის IP მისამართების მიწოდების შესახებ. ყველაზე ხშირად Google მსგავს მოთხოვნებს აშშ-ს ხელისუფლებისგან იღებდა, თუმცა მათი დიდი ნაწილის შესრულებაზე კომპანიამ უარი განაცხადა, სიაში მოხვდნენ ინდოეთი, ბრაზილია, ბოლივია, იორდანია, უკრაინა და ჩეხეთი. ჩამონათვალში ფიგურირებს რუსეთიც, მაგრამ კომპანიას მისი არცერთი მოთხოვნა არ შეუსრულებია.

Google-მა წელს მოთხოვნების რაოდენობის გაზრდის გამო განსაკუთრებული შეშფოთება გამოხატა და ცენზურის საფრთხეებზეც ალაპარაკდა. ინტერნეტ-გიგანტი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდში პირადი მონაცემებისა და პოლიტიკური კონტენტის წაშლის მოთხოვნა ტრენდად იქცა.

ინტერნეტთვალთვალი და საქართველო

ინტერნეტთვალთვალი საქართველოში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონით რეგულირდება, თუმცა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ მის კონსტიტუციასთან შეუსაბამობაზე საუბრობს. კონკრეტულად კი, საიას მხედველობაში

აქვს კანონის მე-7 მუხლის „ძ“ ქვეპუნქტი, რომელიც ღია და დახურული ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგს ითვალისწინებს.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” საკონსტიტუციო სამართალწარმოების იურისტი გიორგი გოცირიძე აღნიშნავს, რომ კანონი სადავო ნორმის ორგავარი წაკითხვის შესაძლებლობას შეიცავს. „ერთი ვერსიით წაკითხვა შესაძლებლად მიიჩნევს იმას, რომ დახურულ ინტერნეტჯგუფში სამართალდამცავები ჩანერგავენ აგენტს, რომელსაც ინტერნეტურთიერთობის მონაწილეები ნებაყოფლობით უზიარებენ ინფორმაციას. ამ დროს დახურული ჯგუფის მონაწილეებს არა აქვთ საკუთარი პირადი ცხოვრების დაცვის გონივრული მოლოდინი და შესაბამისად, ამ დროს არ არის აუცილებელი მოსამართლის ბრძანება. მეორე ვერსიით, შესაძლებელია კანონი იმგვარად იქნეს წაკითხული, რომ თუკი ჯგუფის წევრები ვერ მოახერხებენ აგენტის ჩანერგვას, ასეთ შემთხვევაში, სამართალდამცავები დახურულ ინტერნეტურთიერთობას აკვირდებიან დახურული ჯგუფის მონაწილეთა თანხმობის გარეშე, მათგან ფარულად. ასეთი შემთხვევისათვის საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს სასამართლო ბრძანების აუცილებლობას, თუმცა სასამართლო ბრძანებაზე არაფერს ამბობს ჩვენ მიერ გასაჩივრებული ქვეპუნქტი და შესაბამისად, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან“, – აცხადებს გიორგი გოცირიძე.

საიას საკონსტიტუციო სამართალწარმოების იურისტი განმარტავს, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში მსგავსი სახის მონიტორინგი დასაშვებია და ხშირად ის ისეთი სერიოზული დანაშაულის გახსნის საშუალებაა, როგორიც ბავშვთა პორნოგრაფიაა, თუმცა ასეთი მონიტორინგი ყველა დემოკრატიულ საზოგადოებაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს კონტროლის საგანს წარმოადგენს. „ინტერნეტმონიტორინგი არის დახურული ღონისძიება. ადამიანი, რომლის კომუნიკაციაც ფარული დაკვირვების საგანს წარმოადგენს, არ არის ინფორმირებული აღნიშნული მონიტორინგის შესახებ და შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას თავად დაიცვას საკუთარი უფლებები. ამიტომ სასამართლო კონტროლი ასეთი სახის ფარულ ღონისძიებაზე სამართალდამცავი და საგამოძიებო ორგანოების მხრიდან თვითნებობის თავიდან აცილების შესაძლებლობას წარმოადგენს“, – აღნიშნავს გიორგი გოცირიძე.

საიამ ქვეპუნქტი საკონსტიტუციო სასამართლოში უკვე გაასაჩივრა. საქმის განხილვა დასრულებულია. ახალგაზრდა იურისტები გადაწყვეტილებას სექტემბერში ელოდებიან.

ფოტორეპორტაჟი

ომბრის საბუთის სახლში

რეპორტაჟი პანკისის ხეობიდან

გიორგი გოგუა

პანკისის ხეობის 9 სოფელი კახეთში, მდინარე ალაზნის ნაპირზეა განლაგებული. ხედი სოფელ დუისიდან.

მალხა მოღიმარი სახით მიყურებს. რამდენჯერაც შევხედავ, კისკისი უტყდება, შემდეგ მამას გადახედავს, მისი რეაქციის მოლოდინში, სიცილითვე აგრძელებს მაგიდის გაწყობას. პატარა გოგოა მალხა, 9 წლის, მაგრამ დიდი ქალივით იქცევა. თავსაფარსაც მთელი დღის განმავლობაში, მუსლიმური წესის მიხედვით, თავიდან არ იშორებს – დიდი ქალივით. მჭიდროდ მოხვეული თავსაფრიდან მხოლოდ სახე უჩანს – ანთებულთვალებიანი სახე. საერთოდაც, ვერ ვხვდები, პანკისის ხეობაში ყველას ასეთი ანთებული თვალები აქვს, თუ მხოლოდ მე შემხვდნენ ასეთები.

პანკისში წასვლა რომ გადავწყვიტე, ყველა მხრიდან მესმოდა: სად მიდიხარ, გაგიტაცებენ! არ გეშინია? და მსგავსი ფრაზები. სიმართლე გითხრათ, არც მე მქონდა დიდი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ამ ხეობაში. თავი დავადე და მივდიოდი: კაცმა არ იცის, სად.

პანკისის ხეობა აქვეა – კახეთში, სულ რამდენიმე კილომეტრზე გასდევს ალაზნის ნაპირს. პირველი, ვინც

მუსლიმური ტრადიციით, ქალებისათვის აუცილებელია თავსაბურავის ტარება. მეტად მორწმუნე ოჯახებში თავსაბურავს პატარა გოგონებიც ატარებენ.

„ნათესავები ერთმანეთის ოჯახებში თავს ისევე ვგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში“ – ეს ტრადიციაა.

რამადანის დროს ქალმა მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ შეიძლება, ამიტომაც ხინკალს დღის ბოლოს ხარშავენ.

ლუისი ხეობის ყველაზე დიდი სოფელია, სადაც მოსახლეობის სრულ უმრავლესობას ჩენნები შეადგენენ.

მექქა, მალხა და მუჰამედ გაურგაშვილები. პანკისელი ჩეჩნები ამბობენ, რომ საქართველო მათი მეორე სამშობლოა. მათ ჩეჩნური სახელები და ქართული გვარები აქვთ.

რამადანის მიუხედავად, ოჯახში მისულ სრულიად უცხო ადამიანსაც აუცილებლად უშლიან სუფრას. სოფელი ომალო.

იქ მისვლისას გამახსენდა, ფერეიდნელი ქართველები არიან: ადამიანები, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში საკუთარი ქვეყნის საზღვარს მიღმა ცხოვრების შემდეგაც შეინარჩუნეს კულტურა. ზუსტად ასევეა პანკისში: საქართველოში ჩამოსახლებული ჩეჩნები ცხოვრობენ ქართველებთან ერთად, ოღონდ საკუთარი კულტურით.

ჟურნალისტები არ უყვართ – ამბობენ, სახელს გვიტეხენო. მხოლოდ ერთი რამის ახსნას ცდილობენ: „ხეობის გარეთ ხალხს ჰგონა, რომ ჩვენ მუდამ ომსა და ადამიანების გატაცებაში ვართ: მართალია, იყო ასეთი პერიოდი, მაგრამ მაშინ ჩვენც ისეთივე ცუდ დღეში გვაგდებდნენ, როგორც ყველას. ქართველებმა მეგობრულად მიგვიღეს, ეს ჩვენი მეორე სამშობლო, მეორე სახლია”.

სოფელ დუისში ორი მეჩეთია: ვაჰაბიტებისა და ორთოდოქსი სუნიტების. მათი თქმით, განსხვავება რელიგიურ რიტუალებშია: ვაჰაბიტები, ორთოდოქსებისგან (სუნიტებისგან) განსხვავებით, ზედმიწევნით იცავენ ყურანის წესებს.

ორთოდოქსების მეჩეთი. ლოცვის დასრულების შემდეგ მორწმუნე უხუცესები წრეზე სხდებიან და ტრადიციულ რიტუალს ატარებენ.

ორთოდოქსულ (ძველ) მეჩეთში, ძირითადად, ხანშიშესული ადამიანები ლოცულობენ, მაშინ, როდესაც ვაჰაბიტურ სალოცავში, ჩვეულებრივ, ახალგაზრდები იკრიბებიან.

არჩევნები ჯერ ჯერ არ იყიდება!

სლოგანებისა და ჯიპების ომები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა

დავით ბუხრიკიძე
ჟურნალისტი



არჩევნები ქართულად რომ უპირველესად, ნერვული სისტემის გამოცდას გულისხმობს, ეჭვი აღარავის ეპარება. დაძაბულობა უკვე კარგა ხანია ყოველგვარ ზღვარს გასცდა და ლამის მონაწილე სუბიექტების ფსიქოლოგიურ ომში გადაიზარდა. 2012 წლის ოფიციალური საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე გასაგები იყო, რომ უმთავრესი ვნებათაღელვა მაინც „ნაციონალურ მოძრაობასა“ და საარჩევნო კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაუკავშირდებოდა. თუმცა „დიდ რბოლაში“ მონაწილე მეტ-ნაკლებად ძლიერ პარტიებსაც საკუთარი ამოცანები და მიზნები აქვთ.

სარეკლამო ბანერები, ვიდეოკლიპები, სლოგანები და გზავნილები ხშირად ამომრჩეველზე „ნადირობის“ ფორმას იღებს. ეფექტური, ზუსტი, ხშირი და იოლად აღსაქმელი რეკლამა ცხადია, ნდობის მოპოვების შანსს აათკეცებს, ამიტომ სატელევიზიო ეთერი ლამის საკრალურ მნიშვნელობას იძენს.

მიუხედავად დროის მცირე მონაკვეთისა, კლიპში ცხადად აისახება პოლიტიკური კურსი (მემარჯვენე-მემარცხენე), ვექტორი, ძალისხმევა, მსოფლმხედველობა, საზოგადოებაზე გავლენა, ძირითადი მესიჯი და ა. შ. თუმცა რეალობაში ბევრი რამ მაინც თავდაყირა დგება. ვთქვათ, კერძო საკუთრების დამცველები და თავგამოდებული ლიბერტარიანელები („ნაციონალური მოძრაობა“) წესით, ცალსახად მემარჯვენეები უნდა იყვნენ, სარეკლამო კლიპებში კი აშკარად მემარცხენე ლოზუნგები აქვთ – უფასო ჯანდაცვისა და მოსახლეობისათვის 1000 ლარიანი ვაუჩერის შეთავაზების სახით. და პირიქით, უკიდურესი მემარცხენეები – „ლეიბორისტები“ მშვენივრად იყენებენ და მანიპულირებენ მემარჯვენეების ლოზუნგებით.

გიგა ნასარიძე, რატომღაც, არასამთავრობო სექტორში მოგვევლინა, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო დატოვა და მაშინვე დააფუძნა ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდება“. რამდენიმე წამყვანი ტელეარხის ეთერში უკვე კარგა ხანია ტრიალებს მათი კლიპები ბიძინა ივანიშვილზე. ეს შავ-თეთრი კლიპები წარმოადგენს უკონტექსტო და ხელოვნურად დაკავშირებულ ფრაგმენტებს თავად ბიძინა ივანიშვილის გამოსვლებიდან, სადაც „ქართული ოცნების“ ლიდერი საუბრობს რუსეთთან მეზობლური ურთიერთობის აღდგენაზე, საბჭოთა კავშირის სოციალური სისტემის მნიშვნელობაზე და ა. შ.

გიგა ნასარიძე თავის კლიპში იყენებს ხერხს, როდესაც საგანგებოდ „უხარისხოდ“ ჩაწერილ თუ გადაღებულ ტელექრონიკას, დეფორმირებული, ირონიით ნაზავი და ასე ვთქვათ, „კონტრაპუნქტული“ ტექსტი მიჰყვება. ეს ხერხი ჯერ კიდევ 2003 წლის ნოემბრის არჩევნებში გამოიყენა ნაციონალურმა მოძრაობამ. თავის საარჩევნო კლიპებში მმართველ პარტიას, „მოქალაქეთა კავშირს“ ამხელდა და ეს „შავ-თეთრი“ მხილება ზუსტად იყო გათვლილი შევარდნაძის დროინდელი საზოგადოების ცნობიერების შეცვლაზე. უბრალოდ, „საქართველო არ იყიდება“-ს დამფუძნებელს გამორჩა, რომ „საბჭოთა“ ივანიშვილის მხილება 90-იანი წლების შავ-თეთრი კადრებით და ქვეყნის ქაოსის ჩვენებით, უბრალოდ, ფაქტოლოგიური შეცდომა და ტყუილია.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამჯერადაც 2008 წლის „ფერადი ესთეტიკა“ გააგრძელა: ეროვნული დროშის ფერები (წითელი და თეთრი), განზრახ ოპტიმისტური ინტონაცია და ჭარმაგი მამაკაცის მშვიდი, ხავერდოვანი ბარიტონი გამოიყენა, რომელიც წუხს, რომ „ბათუმი და თბილისი ძალიან გალამაზდა, სოფელში კი ყველაფერი ნელა იცვლება“, მაგრამ მაინც ისევ ნაციონალურ მოძრაობას ენდობა, რადგან უკვე სოფელში სურს სწრაფი ცვლილებები. ცხადია, 1000 ლარიანი ვაუჩერიც და უფასო დაზღვევაც.

სხვათა შორის, დაახლოებით იმავე მემარცხენე-დამჯერ ინტონაციებს და ვიზუალურ-მონტაჟურ ხერხს ეყრდნობა „ქართული ოცნების“ კლიპიც, რომელშიც თეთრ-წითელის ნაცვლად ლურჯ-ყვითელი ფერებია გამოყენებული (უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ევროკავშირის ფერების ერთგვარი ემანაციაა). ისიც საკმაოდ პრიმიტიულ, მემარცხენე ფსიქოლოგიას ემყარება – ეროვნული პროდუქციის დამკვიდრებას ბაზარზე, სოფლის მეურნეობაში მილიარდი ლარის დაბანდებას, ათასობით სამუშაო ადგილის შექმნას... მოკლედ, თუ გჯერათ ექსცენტრული და უკვე მიზანდასახული მილიარდერის, შეგიძლიათ „ერთად აიხდინოთ ქართული ოცნება“. აი, პარტიის იდეოლოგიური სიჭრელე რამდენად შეუწყობს ხელს ოცნების ახდენას, ეს ცალკე და რთული საუბრის თემაა.

ამასობაში უთანასწორო პარტიულ თუ პოლიტიკურ ბრძოლებში ჭიპმოჭრილი ლეიბორისტები ლამის არსენას საარჩევნო ლოზუნგით გამოდიან, ხოლო მათი ლიდერი, შალვა ნათელაშვილი გვაფრთხილებს: „მდიდარს წავართმევთ, ღარიბს დავუბრუნებთ!“ თანაც, ამ საპატიო საქმეში არც ღმერთს ივიწყებენ. მოკლედ, ტიპური ნათელაშვილისეული კლიპია... შავ-თეთრი გრაფიკით, ავბედითი წი-



ნასწარმეტყველებით (მაგალითად, 2003 წლის გამოსვლის ფრაგმენტი) და მკაცრი მესიჯებით!

ხშირად ტელემაყურებელს პოლიტიკური რეკლამების სიხშირეც აღიზიანებს და კლიპის პათეტიკურობაც; უხარისხობაც და სიყალბის შემცველი ინფორმაციულობაც. მიჯრით მიყოლებულ კლიპებს გარკვეული ფსიქოლოგიური ზემოქმედება აქვთ და რაღაც დოზით აუცილებელია, თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს კლიპის ხარისხს, დროსაც, სად უშვებ – საინფორმაციო გამოშვებაში, რომლის მაყურებელიც, როგორც წესი, პოლიტიზირებულია, თუ სერიალების დროს, რომლის მაყურებელს პერსონაჟების ბედი უფრო აღელვებთ...

ვერ გეტყვით, ჰგავს თუ არა ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის ომახიანი გამოსვლა ლათინური სერიალების მაჩო-კაცების იმიჯს, მაგრამ კლიპით თუ ვიმსჯელებთ, გიორგი თარგამაძეს ურიგოდ არ უმუშავია: კარგად დაწყობილი და სიბრაზეშეპარებული ფრაზები („ვინც ქართულ სახელმწიფოს ასუსტებს, ჩემი პირადი მტერია“... „ოპტიმიზმი არის ნება, რომელიც გვაძლიერებს ჩვენ, ქრისტიან-დემოკრატებს“); რაღაც შუასაუკუნეობრივი თეატრალურობა (დიდი, ბოლნისური ჯვრები შინდისფერ დროშებზე), პლუს კოლეგისა და თანაპარტიელი ჟურნალისტის, ინგა გრიგოლიას მუდმივი ცეცხლი და დრაივი.

აქტიური და ენერგიული თარგამაძის ფონზე ერთობ უფერულად მოჩანს „ახალი მემარჯვენეების“ წინასაარჩევნო რიტორიკა, რომლებიც სოფლის ორღობეებში ჩაიკარგნენ. ოდესღაც შემართული „მეწარმე, ექიმი და ლიდერი“ ახლა საარჩევნო სიების დაზუსტებითაა დაკავებული.

ალბათ, მცირე შესწავლას საჭიროებს კახა კუკავასა და ზოგადად, პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ცოტათი მაზოხისტურ-გულწრფელი გზავნილებიც. კლიპის ფინალში რევაზ ლაღიძის „ჩემო კარგო ქვეყანა“ ერთობ უცნაური ფონია საიმისოდ, რომ „გავასამართლოთ სააკაშვილის პოლიტიკური რეჟიმი“, „უფროსი თაობის ადამიანები სამსახურებში დავაბრუნოთ“, „ავკრძალოთ ნატოს ბაზები საქართველოში“, „გავიტანოთ ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარზე“, „გავყინოთ ბანკის ვალები“, ან „ავკრძალოთ სექტებისა და ჰომოსექსუალიზმის ზღვარგადასული პროპაგანდა“... და ამ დრამატული ჩამონათვალის ფონზე კარგად გავიაზროთ, სლოგანი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

დაბოლოს, არ შეიძლება არ გამოვეხმაუროთ სოციალურ ქსელებში გავრცელებულ კლიპს, რომელშიც შალვა რამიშვილმა აზერბაიჯანული ფოლკლორის „დახმარებით“ რესტორნისა და პოლიტიკის სივრცე ცოტა აურ-დაურია... კლიპი „მიშა დოსვიდანია“ – ეს არის ტრადიციების, ქართული სუფრის, შეზარხოშებული მაჩო-კაცების (არ ჩანან ქალები, რაც საგულისხმოა), ვითომ მოზეიმე, სინამდვილეში კი გამოფიტული, პაროდიული საზოგადოების უხამსი ზეიმი. ხალხურობა ფსევდო-კარნავალურობა (?) თუ უგემოვნება საკმაოდ მდარე აზერბაიჯანულ პლაგიატსა და პაროდიას ეყრდნობა და ეს ყველაფერი ხაშლამის, ხინკლებისა და წარუშლელი „პერსონაჟების“ ფონზე. იქნებ, შალვა რამიშვილმა მხოლოდ დაადასტურა სატირული ჟანრის კრიზისი?!

თავის დროზე, გიორგი ლიფონავას ცნობილი საარჩევნო კლიპი „მიშა მაგარია“ ემყარებოდა პიონერულ-ნაივურ სახეებს და შინაგან დრაივს. რეჟისორ ალექსანდროვის ესთეტიკა (გაიხსენეთ „ვოლგა, ვოლგა“) და უნაპირო ოპტიმიზმი, ვითომ ნორჩები, „გაკრახმალებულები“ ვართ, სუფთა და ევროპულ გარემოში ვცხოვრობთ და შემაწუხებელი წარსული ტვინიდან ამოვირეცხეთ, თავის დროზე კარგად საღდებოდა „ნაციონალების“ გადაღმაც. თან გულუბრყვილოდ გვჯეროდა „მაგარი“ მიშასი და ვიცოდით, რომ ნათელ მომავალში აუცილებლად მასთან ერთად შევაბიჯებდით...

მაგრამ მაშინ 2008 წლის გაზაფხული იდგა; მაშინ ჯერ კიდევ ბევრს სჯეროდა კეთილი და მაგარი მიშასი. ამჟამად ჩვენი გამოცდილება ომებით, ათასგვარი ცოდვით, სიმძიმით და გაყალბებული არჩევნების შიშითაა სავსე. თუმცა ოპტიმისტური მითი (პროცენტულად ყველაზე ბედნიერად ვგრძნობთ თავს მთელს ევროპაში) გვიბიძგებს დავიჯეროთ, რომ არჩევნები ჯერ კიდევ არ იყიდება!

საქართველო - "ბმისთა მოედანი"

ფოტო: ბორის ბოგუა

შოთა იათაშვილი
პოეტი, პუბლიცისტი

რაც თავი მახსოვს, გმირთა მოედანთან ვცხოვრობ. ჩემი სახლიდან ხუთიოდე წუთია საჭირო, რათა იქ ჩახვიდე. პატარა რომ ვიყავი, გმირთა მოედანი ზოოპარკთან და ცირკთან ასოცირდებოდა. თუ იქ ჩავიდოდით, ესე იგი დიდი შანსი იყო, რომ მე და ჩემი და ცხოველების გვერდით აღმოვჩენილიყავით. ალბათ, ამიტომაც იყო, 1970-80-იან წლებში ვარაზის ხევის ასახვევთან არსებულ ერთიბეწო ბაღს მაიმუნების პარკი რომ შევარქვით. კიროვის პარკი (მაშინ ვერის ჯერ კიდევ არ ერქვა) ან სხვა მსგავსი რომ მოგვბეზრდებოდა ხოლმე, მშობლებს ვეხვეწებოდით, მაიმუნების პარკში წაგვიყვანეთო! თუ ვინმე გაიგონებდა, უკვირდა, სადაა ეს მაიმუნების პარკიო, და ჩვენც გაკვირვებულები ვუხსნიდით, როგორ არ იცით, აი, გმირთა მოედანთანაა, ზოოპარკის მეორე მხარესო...

მოკლედ, ალბათ მიხვდით, ეს რა ადგილია: ის, სადაც ახლა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებში დაცემულ გმირთა უკვდავსაყოფად მარადიული ცეცხლი ანთია და ცივა თუ ცხელა, ქარი ქრის თუ ყინავს, ქართველი ჯარისკაცები გაჩიჩინებულები, მარიონეტებივით დგანან იქ და ამ ომებში მხოლოდ საქართველოს მხრიდან გარდაცვლილებს ვიღაცის აზრით ამით პატივს სცემენ.

ამასწინათ მე და ჩემი მეგობარი ამოვდიოდით გმირთა მოედნიდან ზემოთ, ჩემი სახლისკენ და რომ გახედა ამ საცოდავად გაშეშებულ ჯარისკაცებს, თავისთვის ჩაილაპარაკა: რა ტყუილა აყურყუტებენ საათობით აქ, ლოცვების კრებული მაინც მისცენ ხელში, გარდაცვლილების სულთა მოსახსენიებლად რომ იკითხონო. მათთვისაც უკეთესი იქნება და იმათთვისაც, ვისაც ვითომ უნდათ, პატივი მიაგონ ომში დაღუპულებს ამ სულელური რიტუალითო.

ეს მარადიული ცეცხლი საკმაოდ კაი ხანია უკვე ანთია იმ გმირთა მოედანზე, რომელსაც ეს სახელი საბჭოთა კავშირის პირველი გმირების, გემი „ჩელუსკინის“ ეკიპაჟის გადამრჩენი მფრინავების პატივსაცემად ეწოდა 1934 წელს. მაგრამ კონტექსტი იცვლება – გმირების აუცილებლობა კი რჩება. ამიტომაც გარდაიქმნა გმირი „ჩელუსკინელების“ მოედანი სხვა გმირების მოედნად.

მარადიულ ცეცხლს კი „ყველაზე მაღალი“ მემორიალი მოჰყვა:

„გმირთა მოედანზე 26 მაისს თბილისში ყველაზე მაღალი მემორიალი გაიხსნება, სადაც საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე რუსეთის წინააღმდეგ დაღუპულ გმირთა სახელები და გვარები იქნება ამოტვიფრული.

თბილისის მერიის ინფორმაციით, მემორიალი ლითონის კონსტრუქციისა და ორგანული მინის კოშკს წარმოადგენს, რომელიც ესპანელმა დიზაინერმა ალბერტო დომინგო კაბომ დააპროექტა.

მემორიალის სიმაღლე 48 მეტრია და ის თბილისში ყველაზე მაღალი მემორიალი იქნება. მემორიალი 1918 წელს დაღუპული იუნკერების, 1924 წლის აჯანყების მეთაურების, 1992-93 წლებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, 2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულ მეომართა ხსოვნას ეძღვნება. მეომართა სახელები ამოტვიფრული იქნება ორგანულ მინაზე, რომლითაც ეს კოშკი არის აგებული.

გმირთა საუკუნოდ უკვდავსაყოფად მემორიალის ძირში განთავსდება კაფსულა, რომელშიც ჩაიდება სპეციალური ქაღალდი გმირთა სახელებით. კონსტრუქცია დაახლოებით 260 ტონას იწონის. მონუმენტი გათვლილია და გაუძლებს 9-ბალიან მიწისძვრას და ძლიერ ქარებს. მემორიალზე მთლიანად 3 500-მდე ადამიანის სახელი და გვარი ამოიტვიფრება“.

ეს 2011 წლის ინფორმაციაა.

დღეს უკვე ყველამ იცის ეს სვეტი.

სვეტი, რომელიც ყველას, ბოდიში და, თვალში ეჩხირება.

რომელიც ციმციმებს და ბრჭყვიალებს!

სვეტის მერე კი სულ სხვა სამუშაოები დაიწყო: 21-ე საუკუნის, მომავლის ესტაკადების მშენებლობა!

აი, აქ დავიჭირე უცებ საოცარი მსგავსება ყბადაღებულ ფროიდის მოდელთან: ანუ „იგი“-სთან, „მე“-სთან და „ზე-მე“-სთან. სხვანაირად რომ ვთქვათ: ქვეცნობიერთან, ცნობიერთან და ზეცნობიერთან.

ეს პარალელი გროტესკულია (თუ ტრაგიკულია), მაგრამ ვფიქრობ, ძალიან ზუსტია.

გმირთა მოედანს, რაც თავი მახსოვს, აქვს თავისი ქვეცნობიერი: აყროლებული მიწისქვეშა გასასვლელები. ძალიან მწარედ მახსოვს ეს მიწისქვეშა გასასვლელები. სასტიკ 90-იან წლებში, ერთხელ ძლივს ორი კაპიკი გავაკეთე, რამდენიმე ათეული დოლარის სახით მომცეს, გამოვედი სახლიდან, ჩავუყევი კოსტავას (უკვე არა ლენინის) ქუჩას და ვფიქრობ, სადგურზე წავიდე, სადაც საუკეთესო კურსია, მაგრამ იმ ქვეცნობიერში გამომიჭირეს და მთელი ის ფული ამადღლიზეს.

მაგრამ ამის გამო არ გეგონოთ გაღიზიანებული. ეს უბრალოდ ისე მოგიყევით: მთავარი ისაა, რომ დღეს გმირთა მოედანმა ფროიდის მთელი სტრუქტურა გაიმეორა:

დაბლა ქვეცნობიერია – აქოთებული, აუტანელი; ზედაპირზე – კვლავაც გმირთა მოედანი; ზემოთ კი ფანტაზია, მომავალი, ის, რაც თითქოს გვინდა და გვჯერა კიდეც – ესტაკადები, რომლებიც 21-ე საუკუნეში გვაგრიალებენ!

აი, რა მოხდა იმ ცეცხლთან რამდენიმე წლის წინათ – წაიკითხეთ პრეზიდენტის კომენტარი:

„ჩემი საკრებულოში ყოფნის პერიოდში, თბილისის ცენტრში გმირთა უკვდავსაყოფად მემორიალი შეიქმნა, რომელიც ყველა ქვეყანაში უწმინდესია. ანთია მარადიული ცეცხლი. ბოლო პერიოდში მემორიალთან 6 კაცი მივიდა, ესენი იყვნენ ჯარისკაცები. მათ საქართველოს ძველი დროშა თავზე დაიფარეს (რომელიც ოფიციალურად საქართველოს დროშა აღარ არის), დადგეს საწოლები, გამოფინეს საცვლები და მოშარდეს მარადიულ ცეცხლთან. ყოველივე ამის შემდეგ პოლიციის მიერ ჩატარებული ღონისძიება თურმე პოლიტიკური ფორმაა“, – განაცხადა სააკაშვილმა.

გმირთა მოედანზე ყველგან შარდავენ, ბატონო პრეზიდენტო! სადაც მოუხელთდებათ, ყველგან! მარადიული ცეცხლის გვერდით, მიწისქვეშა გასასვლელთან რომ უნდა გავიარო ხოლმე, ჯიბიდან ცხვირსახოცს ვიღებ, სახეზე ვიფარებ და ვცდილობ, 30-40 წამი მაინც არ ვისუნთქო. და მე ორ-სამ დღეში ერთხელ მაინც მიწევს მანდ გავლა და ეგ ამბავი ჩემზე უკეთ თითქმის არავინ იცის!

არადა, იცით, ეს რა ადგილია? შევეშვათ გმირებს. თუ თბილისი დედაქალაქია საქართველოსი, ამ ქალაქში ცენტრის ცენტრი გმირთა მოედანია. აქედან მიდიხარ ვაკეშიც, ვერაზეც, საბურთალოზეც, პლეხანოვზეც. ერთნაირად ახლოს ხარ ყველა უბანთან. თავისუფლების მოედანიც კი არაა რეალურად ისეთი ცენტრი, როგორიც გმირთა მოედანი: სადაც ფსამენ, პატივს მიაგებენ გმირებს და მომავალსაც აშენებენ.

არადა, მე მაინც ის ძველი გმირთა მოედანი მახსენდება, როცა მე და ჩემს დას ჩვენი მაიმუნების პარკი გვქონდა და იქ გვიყვარდა წასვლა. სინამდვილეში კი ახლა გახდა ეს სივრცე მაიმუნების, თუ სამაიმუნო, არადა, კვლავ უაზრო ომებში დაღუპული საწყალი მეომრების სახელს აკერებენ ამ მოედანს – მოედანს, სადაც ბოლო-ბოლო თერთმეტსართულიანია – ჩვენი პირველი ცათამბჯენი, სადაც 100 მეტრში ტელევიზიაა, ვარაზისხევით აუყვები და – უნივერსიტეტი, ხელმარცხნივ და – ფილარმონია, იქით – ცირკი, აქეთ – ზოოპარკი, ბაზარი-ვაგზალიც ყურის ძირშია... მოკლედ, გმირთა მოედანია საქართველო, და ალბათ, რაკი საქართველოა, ამიტომაც ხდება ასე: რომ ფსამენ, პატივს მიაგებენ გმირებს და გაურკვეველ დიად მომავალს აშენებენ...